



ციხესიმაგრე

№ 140 / 10 - 16 ივნისი / 2013

- პოლიტიკური სამართლის ცოდნის ხარჯება 83. 14
განაპირობებული 83. 18
„პოლიტიკური გავთულებართები“ დიდობი 83. 42
რეზიგნის ცვლა რუსეთში 83. 48
პორულის სთან პრემიერის სახელით 83. 36
გადამყვანი პრემიერის საქართველოსთვის 83. 54

ISSN 1987-7528



9 771987 752008

ვასი 2 ლარი

ჩვენი სხვისი ომი

83. 32



აირონი

სამართლის სამართლოს გადაცემა

ერთობლივი ფინანსურის საწინააღმდეგო შემსრულებელი.
ყოველი ვაკატის 19:00

ესა
ლიტერატურ
რი





**მთავარი რედაქტორი
შორენა შავერდაშვილი**

**აღმასრულებელი რედაქტორი
ნინო ბექიშვილი**

**რედაქტორი
ლაგ ზაგვილი
ირაკლი ასანძე**

შურცალისათები:

ზურაბ გარდაშვილი, თათია ხალიანი,
ან ჭანოტაძე, თინა ყიფშძე, გორგო
გოგუა, გორგო ჭეკიშვილი, სოფო
აჯგალური, ევა მალალაძე, ლაპა
ქათარაძე, ქეთევან ლვედაშვილი

კონცენტრაცია:

ვასო კუჭუხიძე, კადრი ლიიკი, ზვად
ლევადრიანი, სემიურ ქაზიმიოვი

რედაქცია:

ფოტო-რედაქტორი
ლევან ხერხეულიძე
გრაფიკული დრამანი
თორნიკე ლიორთქიფანიძე
რედაქტორ-სტილისტი
ნინო ბექიშვილი
კორექტორი
ნათია ორმიცაძე

გამომცემა:

დირექტორი
შორენა შავერდაშვილი

პიზესის განვითარების მარეჟარი:
რუსული ბარათაშვილი

**პარტიონისაბთან ურთიართობის
მარეჟარი:**

ირმა მოსულიშვილი

დისტრიბუტორი:
გაგი გელაშვილი

ურნალის გამოწერის მსურველები
დაგვაკავშირი:

mziakublashvili@gmail.com

ამ ნომრის მთავარი თემა კვირას დაგეგმილი მოსამართლეთა კონფერენცია უნდა ყოფილიყო. ამ დღეს საქართველოს მოსამართლეები იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს აირჩევენ. საბჭოს ახლადარჩეულ წევრებზე იქნება დამოკიდებული, დამსახურებს ქართული სასამართლო ქვეყნის მოქალაქების ნდობას თუ უახლოესი წლების განმავლობაშიც სამზარეულოებსა და ტოქ-შოუებში სისტემის უსამართლობაზე მოგვიხდება წუნული.

ხუთშაბათ საღამოს გავრცელდა ინფორმაცია ავღანეთში 7 ქართველი ჯარისკაცის დაღუპვის შესახებ. თავიდან 6 დაღუპულზე საუბრობდნენ, მაგრამ მოგვიანებით გარდაცვლილებს შორის ყველაზე უმცროსის, გიორგი ლუქაშვილის ცხედარიც იპოვეს ნანგრევებში.

ძალიან გავპრაზდი, როცა ზოგიერთმა ფეისბუქელმა ამ ახალგაზრდების საზარბაზნე ხორცად წარმოდგენა სცადა. თითქოს მხოლოდ გაუსაძლის მატერიალური მდგომარეობისა და მაღალი ხელფასის გამო იყვნენ გადახვეწილები ავღანურ უდაბნოებში.

ხელფასი ყველას გვჭირდება. იმისთვის, რომ ოჯახებთან ერთად, ღირსეული ცხოვრება შევძლოთ. ყოველი ჩვენგანი ცდილობს დაოსტატდეს, კვალიფიკაცია აიმაღლოს, რომ უფრო უკეთესი და უკეთ ანაზღაურებადი სამსახურის პერსპექტივა გაუწინდეს. ასე იქცევიან უურნალისტები, ექიმები, ბუღალტრები, მძღოლები. სამხედროებიც ასე იქცევიან. ქართველი სამხედრო მოსამსახურისთვის გამოცდილებისა და კომპეტენციის დასაგროვებლად ახლა ISAF-ის მისიაზე უკეთესი ადგილი არ არსებობს.

რა თქმა უნდა, ბევრი ჯარისკაცისთვის ერთ-ერთი მთავარი მოტივატორი შედარებით მაღალი ანაზღაურებაც იქნება, მაგრამ ვერავინ დამაჯერებს, რომ იმ ჯოჯოხეთში ახალგაზრდები მხოლოდ მოკრძალებული თანხისთვის მიდიან. ჩემთვის ღრმად შეურაცხმყოფელია დაღუპულ ჯარისკაცებზე ასე ფიქრი. დარწმუნებული ვარ, ავღანეთში სამსახური ამ ახალგაზრდების გააზრებული, ღირსეული არჩევანი იყო. ჩვენ ამ არჩევანს პატივი უნდა ვცეთ.

კვირა საღამოს ღირსეული არჩევის გაკეთება მოსამართლეებსაც მოუხდებათ. მათ უნდა მოიპოვონ სასამართლოების პოლიტიკური და სხვა გავლენებისგან გათავისუფლების უფლება. ისევე როგორც თავისუფალ მედიაგარემოში მუშაობის უფლებისთვის ყოველდღიურად უნდა ვიზრუნოთ უურნალისტებმა, ეკოლოგებმა უნდა დაიცვან მომავალი თაობების უფლება მაქსიმალურად შეურყყენელ ბუნებაზე და ა.შ.

მოკლედ, ჩვენ ყველამ უნდა ვიბრძოლოთ ჩვენ-ჩვენი თავისუფლებებისთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში აღმოჩნდება, რომ 21 წლის პირველი კლასის რიგითი გიორგი ლუქაშვილი ავღანეთის ჰელმანდის პროვინციაში მართლაც მხოლოდ ორიათასრამდენილაც ლარისთვის დაიღუპა.



"პოტიშის მავთებელის ხილი" ღისში

„ძალუებით პატრულირებენ რუსები, ამ პერიოდების 10 საგუშავო აქვთ, თუმცა მავთულხლართები აქ ჯერ არ გაუბამთ. ბოძების ჩასმა სადაც დაიწყეს იქ ვერ მივალთ, სახიფათოა“, – გვეუბნება მეგზური და გვთხოვს, უკან დაგრუნდეთ.

ე.წ. ადმინისტრაციული საზღვრიდან რამდენიმე ასეული მეტრის მოშორებით, საფიხვნოში დიცელები არიან შეკრებილნი. ამბობენ, რომ ბოლოდროინდელ მოვლენებზე საუბარი აღარ სურთ, რადგან აქამდე მათი პრობლემებით არავინ ინტერესდებოდა.

გიორგი ჭავჭავაძე
გ3.42

ბასი სისვაძე: "სახახორის ახავის ისე ახ მოხამთხება, ჩობოჩ მოსახახოვაბა..."

„მოსამართლები ზემოქმედების პირდაპირ ცხადად გამოხატული საკანონმდებლო ბერკეტი არ არსებობს. ეს სასამართლო ცხოვრების კულტურული სფეროა. დღეს თითქმის აღარავინ დავოშს, რომ სასამართლოს წლების მანძილზე სათანადო ხარისხის დამოუკიდებლობა არ გააჩნდა. ხშირად მოსამართლები ზემოქმედების მომხდენ პირებად სასამართლოს სისტემაში ადმინისტრაციული თანამდებობების მქონე პირები გვევლინებოდნენ. ეს არ ეხება ყველა თავმჯდომარეს, რა თქმა უნდა, იყვნენ გამონაკლისებიც. სამნებაროდ, ახლაც არის იმის განცდა, რომ ცალკეულ პირთა წრე მოსამართლები ზემოქმედების ბერკეტების შენარჩუნებას ცდილობს. მე მაქვს განწყობა და სურვილი იმისა, რომ მთელ მოსამართლეთა კორპუსს, მათ შორის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დღევანდელ შემადგენლობას, განსაკუთრებით მოსამართლე წევრებს, ნდობა გამოვუცხადო, მაგრამ ამ ნდობას თავისი ლიმიტი აქვს.“

ზურაბ ვარდიაშვილი
გ3.08

ბანაზის სოფები

მესამე კვირაა დედოფლისწყაროს საზღვრისპირა სოფელი, სამთაწყარო საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოქმედა. ოფიციალური მედია და არსამთავრობო ორგანიზაციები სოფელში რელიგიურ დაპირისპირებაზე, საუბრობენ. ლიბერალი გთავაზობთ რეპორტაჟს იმის შესახებ, რაც სოფელში 5 და 6 მაისს, მუსლიმთა ტრადიციული პარასკევის ლოცვის წინ ვნახეთ. პარასკევის ლოცვა სამლოცველოს შენობაში არც 7 მაისს გამართულა. მედიაში მიზეზად იმას ასახელებენ, რომ იმამს, სულიკო სოზრეცანიძეს ორმა ადგილობრივმა ქალბატონმა არ მისცა მსახურების ჩატარების საშუალება, პოლიციამ კი იმამი სწორედ ლოცვის დროს წაიყვანა დაკითხვაზე. სოფლის მცხოვრებლები კი ლოცვის ჩაშლის მიზეზად სხვა რამეს ასახელებენ: პარასკევის ლოცვის შესასრულებლად მინიმუმ სამი მორწმუნის ერთად ლოცვაა საჭირო, პარასკევს კი სამლოცველოში იმამის გარდა არავინ მივიდა და ლოცვა ამის გამოჩამალა.



ანი ჭანკოტაძე
გ3.18

ჩვენი სხვისი მო

ავღანეთში 6 ივნისს დალუპული 7 ქართველი ჯარისკაცის ოჯახებს ყველაზე პირველად ჯეიმს აპატურაში საკუთარი ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე მიუსამძიმრა. ქართულ მედიაში ამ მოკლე სამძიმრის სწრაფმა გავრცელებამ თავდაცვის სამინისტრო ცაიტნოტში ჩააყენა – მათ 21.00 საათზე საგანგებო პრიფინგი დააანონსეს.

შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსმა, ირაკლი ძელაძემ ავღანეთის პელმანდის პროვინციაში 7 ქართველი ჯარისკაცის დალუპვისა და 9-ის დაჭრის შესახებ ოფიციალური ინფორმაცია მხოლოდ 21.44 საათზე გაავრცელა. მანამდე ყველა ქართული სააგენტო წერდა საგარაუდო ტერაქტის და 5-დან 7-მდე მსხვერპლის თაობაზე.

 ირაკლი აბსანძე
83.32

ცხრილი

იდენტობის კრიზისისას „თურქულ გაზაფხულამდე“



 ვასო კუჭუხიძე
83.22

გამოცემები:

შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი, ჭანტურიას ქ. 5. ტელ.: (995 32) 2933627 ელ-ფოსტა: info@liberali.ge ვებ-გვერდი: www.liberali.ge

სხვა გამოცემები:

გაზეთი „ლიბერალი“

„ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.

შურინგლში გამოქვეყნებული მსალების ნაილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.

გაფლვა:

შპს „სეზანი“. მისამართი: თბილისი, წერეულის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02.

გამოდის კვირაში ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.

ცოდნაში:



- 04 მოკლედ
ორი აზრი
- 06 უნდა შემცირდეს თუ არა ქართველ
სამხედროთა კონტიგენტი
ავღანეთში?
ინტერვიუ
- 08 „სამართლიანობა არავის ისე
არ მოეკითხება, როგორც
მოსამართლეებს...“
სამართლი
- 14 კოპაბიტაცია სამართლიანობის
ხარჯზე
რეპორტაჟი
- 18 განაპირო სოფელი
უცხოეთი
- 22 იდენტობის კრიზისადან „თურქულ
გაზაფხულამდე“
რეგიონი
- 30 სამწლიანი პატიმრობა
ინტერნეტაქტივისტებს
მთავარი თემა
- 32 ჩვენი სხვისი ომი
პოლიტიკა
- 36 კორუფციასთან ბრძოლის სახელით
- 42 „პოლიტიკური მავთულხლართები“
დიკში
- 48 რეჟიმის ცვლა რუსეთში
ლიბერალის ვებგვერდიდან
- 54 გადამწყვეტი ბრძოლა
საქართველოსთვის
- 56 ციტატები

ჰითუნის პროცესიში შვილი კათვითი აუზები დაიღვა



ავლანეთში, ჰელმანდის პროვინციაში მომხდარი თავდასხმის შედეგად შვილი ქართველი ჯარისკაცი დაიღუპა და ცხრა დაიჭრა. ამის შესახებ საქართველოს შეიარაღებული ძალების გარეთანებული შტაბის უფროსმა, პოლკოვნიკმა ირაკლი ძელაძემ თავდაცვის სამინისტროში გამართულ სპეციალურ ბრიფინგზე გამოაცხადა.

ცნობილია შვილივე დაღუპული ჯარისკაცის ვინაობა.

სამინისტროს წარმომადგენლის განცხადებით, ჰელმანდში თვითმკვლელმა ტერორისტმა ასაფეთქებელი მოწყობილობით სავსე ავტომობილი ქართულ ბაზასთან ახლოს ააფეთქა.

ქართული ქვედანაყოფის მიერ ავლანეთში 4-ნობიანი საპრძოლო მისის შესრულების განმავლობაში, ეს ინციდენტი ყველაზე სისხლიანი თავდასხმა აღმოჩნდა.

13 მაისს ავლანეთში ქართული ქვედანაყოფის ბაზაზე განხორციელებული ასეთივე თავდასხმის შედეგად დაიღუპა სამი და დაიჭრა რამდენიმე ქართველი ჯარისკაცი.

ბოლო მსხვერპლის ჩათვლით ქართული ქვედანაყოფის დანაკარგი ავლანეთში 29-მდე გაიზარდა.

ჩემოლანი: პროცესის მიზანავალ "ბაზი პარას"

ჩემოლანის პარას

„ბიბისის“ ინფორმაციით, სტამბოლის აეროპორტში თურქეთის პრემიერს რეჯეფ ტაიპ ერდოღანს 10 ათასამ-

დე მხარდამჭერი დახვდა, სადაც მან ქუჩაში გამოსული მომიტინგების პროტესტი უკანონო უწოდა.

„ეს აქციები, რომელმაც მთელი ქვეყანა მოიცვა, უკანონოა და დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს. ჩვენ ვერ მივესალმებით სისასტიკეს“, – განუცხადა ერდოღანმა მხარდამჭერებს და სიმშვიდისკენ მოუწოდა.

„ბიბისის“ ცნობით, ტაქსიმის მოედანზე ამ დრომდე ათასობით ადამიანია შეკრებილი, ისევე როგორც თურქეთის სხვა ქალაქებში. დემონსტრაციები კვლავ მოითხოვენ ქვეყნის პრემიერის გადადგომას, რომელსაც ავტორიტარიზმი ადანაშაულებენ. თუმცა, მიუხედავად აქციის მონაწილეების მოთხოვნისა, პრემიერი გადაგომას არ აპირებს. ერდოღანის განცხადებით, პროტესტის მიუხედავად, არ შეჩერდება „ეგზი პარკის“ რეკონსტრუქცია, რომლის შეჩერების მოთხოვნითაც თურქეთში აქციები გასულ კვირას დაიწყო. თურქეთში 7 დღის განმავლობაში მიმდინარე აქციებს სამი ადამიანი ემსხვერპლა, 4 ათასზე მეტი კი დამაკებულია.

ალასანი - "ნატოს საქართველოს თავდაცვისან ათო ძირი ნაბიჯი ცაცვა გალიება"

პროესელში ნატოს თავდაცვის მინისტრების ორდღიანი შეხვედრა დამთავრდა, რომლის ბოლოს საქართველო-ნატოს კომისიის სხდომა გაიმართა. საქართველოს თავდაცვის მინისტრი, ირაკლი ალასანია კომისიაზე მოსმენილი შეფასებებით კმაყოფილი დარჩა დამათ „ერთი ძლიერი ნაბიჯი, გადადგმული ნატოს სტრუქტურებთან დაახლოებისკენ და ნატოში გაწევრიანებისკენ უწოდა“.

ალასანის გენერალურმა მდივანმა, ანდრეას ფოგ რასმუსენმა საქართველოს ნატოს ერთ-ერთი მტკიცე მხარდამჭერი უწოდა და გაიხსენა საქართველოს

მისწრაფება, გახდეს ნატოს წევრი. საქართველოს ხელისუფლებას კი ადამიანის უფლებების და უმცირესობების პატივისცემისკენ მოუწოდა.

საქართველო პომოვობის პოლიტიკის მოსახური ახბიზე

პრიტანული გამოცემა „ტელეგრაფი“ ავრცელებს ორგანიზაცია World Values Survey-ის გამოკვლევის შედეგებს, რომლის მიხედვითაც საქართველო მსოფლიოს მასშტაბით ყველაზე პომოვობიურ ქვეყნებს შორის მესამე ადგილზეა.

ეს საკითხი საქართველოში განსაკუთრებით აქტუალური 17 მაისს – პომოვობიასა და ტრანსფორმისათან ბრძოლის საერთაშორისო დღეს განვითარებული მოვლენების შემდეგ – გახდა, როდესაც პომოვობიის ნინა-ალმდევ აქციის მონაწილეებს აქციის ჩატარების საშუალება არ მიეცათ.

ამავე კვლევის მიხედვით, დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან ყველაზე ნაკლებად ტოლერანტული საფრანგეთია,

რომლის მოსახლეობის 28.8% აცხადებს, რომ არ უნდა მეზობლად ჰყავდეს პომოსექსუალი მეზობელი.

რაც შეეხება სხვა ქვეყნების დამოკიდებულებას, შვედების 3.6%-ს, ესპანელების 7.4 % ს, შვეიცარიის 11.1

პროცენტს და ბრტანელი ხალხის 16.8

პროცენტს არ აქვს პომოსექსუალი

მეზობლის ყოლის სურვილი.

მუსლიმურ ქვეყნებს რაც შეეხებათ,

20-დან 19 იორდანელი აცხადებს, რომ

არ სურთ პომოსექსუალების ახლოს ცხოვრება.

ირანში 93.2 პროცენტი კი არატოლერანტულია.


World Values Survey-ის მიერ გავრცელებულ კვლევაში წერია, რომ დასავ-

ლეთ ევროპის ქვეყნებთან შედარებით,

მეტად ტოლერანტული განწყობაა

ლათინურ ამერიკაში – ურუგვაისა და

არგენტინაში.



2020 წლისთვის ბირსნების 47%-ს ბიბოს ეიაბოზი ეცება

კიბოს შემთხვევების რაოდენობა ისეთი სისწრაფით იზრდება, რომ 2020 წლის თვის ბრიტანულების მოსახლეობის ნახევარს დაავადება მათი სიცოცხლის მანძილზე განუვითარდება, თუმცა მაკ-მილანის ცენტრის ანალიზის მიხედვით, კიბოთი დაავადებულთაგან უმრავლესობა გამოჯანმრთელდება.

კიბოს შემთხვევები ბოლო 20 წლის განმავლობაში სამჯერ გაიზარდა. 1992 წელს სამიდან ერთ გარდაცვლილს (32%) კიბოს დიაგნოზი ჰქონდა. ეს სტატისტიკა 2010 წელს 44%-მდე გაიზარდა.

მაკ-მილანის ბოლო დაშვებით, კიბოს სტატისტიკაზე დაყრდნობით, 2020 წლისთვის ეს მაჩვენებელი 47%-მდე გაიზრდება.

ამ ტენდენციის მთავარი მამოძრავებელი ძალა მოსახლეობის დაბერებაა, ამას თან ერთვის ცხოვრების წესი: მწირი და არამრავალფეროვანი საკვები, ალკოჰოლის მომხმარება, ფიზიკური უმოძრაობა.

მაკ-მილანის ანალიზი გენდერულ მაჩვენებლებს არ ითვალისწინებს, თუმცა გასული წლის დეკემბერში კიბოს შემთხვევების კვლევის მიხედვით, 2027 წლისათვის მამაკაცების ნახევარს

კიბოს რომელიმე ფორმა განუვითარდება. მაკ-მილანის ანალიზი კარგ ამბებსაც იუწევება. დაავადებულების 38 პროცენტი გამოიჯამრთელდება. „ჩვენ უნდა ვიფიქროთ, როგორ დავეხმაროთ გამოჯანმრთელებულებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში დაბრუნებისას. ბევრი ფიზიკურად ჯანმრთელი პაციენტი ემოციური პრობლემებით ნავა საავადმყოფოდან,“ - ამბობს მაკ-მილანის ცენტრის წარმომადგენელი.

"The New York Times"

- ალბანები ენათვით სამხედროების შესახებ

ჰელმანდის პროვინციაში დაღუპული 7 ქართველი ჯარისკაცის დაღუპვასთან დაკავშირებით, „ნოუ ორკ თაიმსი“ ინფორმაციას ავრცელებს და წერს, რომ ზოგიერთი ავღანელი მოხუცის თქმით, ქართული სამხედრო ძალები ადგილობრივებს არ მოსწონთ, რადგან ისინი ადამიანებს თვითნებურად აჩერებენ გასაჩერებად, უპატივცემულოდ ეპყრობიან და ვერ იგებენ მათ ენას.

თუმცა ადგილობრივი ავღანური მთავრობის წარმომადგნელები მადლიერებას გამოთქვამენ ქართველების იქ ყოფნის გამო.

„მოთ არ იციან ინგლისური ენა და რაღაც რუსულის მსგავს ენაზე ღა-

პარაკობენ,“ – ამბობს აბდულ რაჰმან მუტმაინ, ლანდი-ნავას მცხოვრები, სადაც ერთ-ერთი ქართული ბაზა მდებარეობს. „ქართველები ბატონებივით გვექცევიან, ადამიანებს კარგად არ ეპყრობიან,“ – აღნიშნავს ის. „ზოგჯერ მგზავრებს აჩერებენ გასაჩერებად და ხალხი წუნებებს, რომ ისინი მათ ნივთებს, ფულს, საათებსა და სხვა ძვირფას ნივთებს პარავენ“.

„ერთხელ მანქანა გამიფუჭდა ლანდი-ნავას ბაზასთან ახლოს, მომგარდნენ და მაძულებდნენ რომ მანქანა გამეუგანა ტერიტორიიდან. ავუსტენი, მანქანის გაყვანას მარტო ვერ შევძლებდი, მაგრამ არც დამეხმარენ და არც იმის საშუალება მომცეს, რომ მე თვითონ შემეკეთებინა ის. მერე დამამცირეს და არც მე ვიცოდი რას ამბობდნენ და ვერც ისინი იგებდნენ ჩემს ენას“ – წერია „ნოუ ორკ ტაიმსის“ ვებ-გვერდზე. □



დიახ

მარინა მუსხელიშვილი

საზოგადოებრივი აზრის კვლევის ცენტრის
დირექტორი

მე მიმაჩნია, რომ ავღანეთიდან ჯარები უნდა გამოვიყვანოთ. ვინაიდან, ჩვენ პირველ რიგში ჩვენი ქვეყნის ინტერესებზე უნდა ვიზრუნოთ და არ უნდა აღმოვჩინდეთ სხვის თამაშში პაიკის როლში. არ უნდა წავიდეთ ისეთ რისკებზე, რომელიც ქვეყნის თავდაცვის შესაძლებლობებს აღემატება.

როდესაც ჩვენი ჯარისკაცები იბრძვიან ავღანეთში, ფაქტობრივად ჯვაროსნული დროშის ქვეშ, ქვეყანაში სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი ამ ომს რელიგიის ინტერპრეტაციას უკეთებს და რელიგიის დაცვისთვის იბრძვის, ეს არის დიდი რისკი ქვეყნისთვის. ჩვენ არ ვართ არც ნატოს წევრი და არც დიდი და ძლევამოსილი ქვეყანა, რომ ამ რისკებისგან მომავალში თავი დავიცვათ. ჩვენი ქვეყანა მაქსიმალურად ნეიტრალური უნდა იყოს, რადგან კარგად ვიცით, რა მოყვება მაღალ რისკებზე ორიენტირებულ პოლიტიკას. 2008 წლის აგვისტოს ომმა რუსეთთან ეს კარგად დაგვანახა. აქედან გამომდინარე, მე მიმაჩნია, რომ ავღანეთიდან ქართული ჯარი უნდა გამოვიდეს. მართალია, ეს პროცესი შესაძლებელია სწრაფად ვერ განხორციელდეს, მაგრამ ვინაიდან იქით მიდის სიტუაცია და ამაზე საუბარი მიმდინარეობს, რომ ჯარის გამოყვანა მოხდეს. ეს პროცესი მაქსიმალურად უნდა დაჩქარდეს.

ვითვალისწინებ იმასაც, რომ ავღანეთში ქართველი ჯარისკაცების მისიის ვადა 2014 წელს ამოინურება. მაგრამ მაინც მიმაჩნია, რომ თუკი შესაძლებელია, პროცესი უნდა დავაჩქაროთ. თუკი არ არის შესაძლებელი ამ ეტაპზე ქართველი ჯარისკაცების გამოყვანა დააჩაქროს სახელმწიფომ, მაშინ, რა თქმა უნდა, მოვგინებს 2014 წლამდე ლოდინი. მაგრამ ვფიქრობ, რომ ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ ეს პროცესი მაქსიმალურად სწრაფად წავიდეს. ■



ცნეა შემსიხუარით სამხედროთა პრინციპები

■ მე მიმაჩნია, რომ ავღანეთიდან ჯარები უნდა გამოვიყვანოთ. ვინაიდან ჩვენ პირველ რიგში ჩვენი ქვეყნის ინტერესებზე უნდა ვიზრუნოთ და არ უნდა აღმოვჩინდეთ სხვის თამაშში პაიკის როლში. არ უნდა წავიდეთ ისეთ რისკებზე, რომელიც ქვეყნის თავდაცვის შესაძლებლობებს აღემატება.

პრეს

სერგო რაჭიანი

საქართველოს პარლამენტის წევრი ნაციონალური მოძრაობიდან

ავლანეთში ქართული კონტიგენტი არ უნდა შემცირდეს. მისი იქ ყოფნა ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ჯარის მშენებლობისთვის, ამ ინსტიტუციისთვის და საერთოდ ქართული საზოგადოებისთვის. ახალ წელს ვიყავი იქ და ვნახე, როგორ მუშაობენ ჩვენი ოფიცრები და რიგითები და გამიჩნდა აზრი, რას შეიძლება შეადარო ეს მოვლენა. ვფიქრობ ეს იმხელა მოვლენაა, როგორიც მეოცე საუკუნის დასაწყისში ქართული უნივერსიტეტის დაარსება. ესაა ძალიან დიდი გამოცდილება.

გარდა ამისა, საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენი უსაფრთხოება დაცული იქნება მაშინ, როცა ჩვენ დასავლეთის ქვეყნებთან ერთად ერთიანი უსაფრთხოების სისტემაში ვიქენებით ჩართულები. ფაქტობრივად ჩვენი ჯარისკაცები იქ ქართულ სახელმწიფობრიობას იცავენ, რადგან ჩვენს მონინააღმდეგესთან, კერძოდ, რუსეთთან პირისპირ ყოფნის დროს ჩვენ ვიცოდეთ, რომ ალიანსი, რომელშიც წვლილს შევიტანთ, ჩვენი ინტერესების დამცველია. 2008 წელს თანამეობრიობამ ძალიან დიდი როლი ითამაშა.

მისიაში ყოფნა სხვისი ომი არაა. სხვისი ომი რუსეთის ჯარში სამსახურია. ქართველები კი ავლანეთში სახელმწიფო დროშის ქვეშ არიან ნასულები. ესაა მოკავშირეების ომი. საზოგადოების ამგვარი დამოკიდებულება კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ საზოგადოებაში განათლების მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრია სამუშაო, რათა მათ დაინახონ განსხვავება იმპერიაში ყოფნასა და თავისუფალი სახელმწიფოს მისიას შორის.

ჩვენ იქ ყოფნას არავინ გვაძალებს, მაგრამ ამას გარკვეული პრიორიტეტები აქვს. რაც შეეხება იმ ხიდათს, რაც შეიძლება იყოს ქართველი ჯარისკაცების დალუპვა, ეს მართლაც ძალიან მძიმეა. თუმცა კონტიგენტის რაოდენობასთან ამას კავშირი არ აქვს – ამით საფრთხე არც იზრდება და არც მცირდება. **¶**



ფოტო ივანე ბარაზეგავარი

დეს თუ ახა უნდა იმპონდო ავლანეთში?

■ გარდა ამისა, საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენი უსაფრთხოება დაცული იქნება მაშინ, როცა ჩვენ დასავლეთის ქვეყნებთან ერთად ერთიანი უსაფრთხოების სისტემაში ვიქენებით ჩართულები. ფაქტობრივად ჩვენი ჯარისკაცები იქ ქართულ სახელმწიფობრიობას იცავენ. ჩვენ დასავლეთის ქვეყნების მონინააღმდეგესთან, კერძოდ, რუსეთთან პირისპირ ყოფნის დროს ჩვენ ვიცოდეთ, რომ ალიანსი, რომელშიც წვლილს შევიტანთ, ჩვენი ინტერესების დამცველია. 2008 წელს თანამეობრიობამ ძალიან დიდი როლი ითამაშა.

მისიაში ყოფნა სხვისი ომი არაა. სხვისი ომი რუსეთის ჯარში სამსახურია. ქართველები კი ავლანეთში სახელმწიფო დროშის ქვეშ არიან ნასულები. ესაა მოკავშირეების ომი. საზოგადოების ამგვარი დამოკიდებულება კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ საზოგადოებაში განათლების მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრია სამუშაო, რათა მათ დაინახონ განსხვავება იმპერიაში ყოფნასა და თავისუფალი სახელმწიფოს მისიას შორის.

ჩვენ იქ ყოფნას არავინ გვაძალებს, მაგრამ ამას გარკვეული პრიორიტეტები აქვს. რაც შეეხება იმ ხიდათს, რაც შეიძლება იყოს ქართველი ჯარისკაცების დალუპვა, ეს მართლაც ძალიან მძიმეა. თუმცა კონტიგენტის რაოდენობასთან ამას კავშირი არ აქვს – ამით საფრთხე არც იზრდება და არც მცირდება. **¶**



ალექსანდრე ბერიძე

"სამათილის აჩვის ისე ას მოვალეობა, რომელს მოსამათლეებს..."

ინტერვიუ თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე
ბესიკ სისვაძესთან

გასული კვირის განმავლობაში საბჭოს დაკომპლექტების წესის ირგვლივ გაცხარებული კამათი მიმდინარეობდა. მოსამართლეთა ნაწილი მიიჩნევს, რომ მოქმედი რეგულაცია კანდიდატებს არათანაბარ პირობებში ამყოფებს.

რაში მდგომარეობს იუსტიციის საბჭოს დაკომპლექტების მოქმედი წესის უსამართლობა, რა უარყოფითი შედეგის მომტანი შეიძლება იყოს წესის ამ სახით შენარჩუნება?

არჩევნების ხიბლი იმაშია, რომ ასარჩევ კანდიდატთა შორის კონკურენტული გარემო უნდა არსებობდეს. ჩვენ პალატების და კოლეგიების თავჯდომარების კონტირების სისტემის მიხედვით 11 მოსამართლიდან სამ ადგილზე კანდიდატები კონკურენციაში არ შედიან დანარჩენ მოსამართლებთან, რომელისაც ადმინისტრაციული თანამდებობები არ უკავიათ. პალატებისა და კოლეგიების 11 თავჯდომარისთვის განკუთვნილია სამი ადგილი, მაშინ როდესაც დანარჩენი 229 მოსამართლე ოთხი ადგილისათვის იბრძვის. აյ ჩანს არათანაბრობა. თუ არჩევნებში მონანილებს არ ეძლევათ თანაბარი შესაძლებლობები, ეს უკვე არჩევნები აღარ არის.

იუსტიციის საბჭო აქამდეც ბევრ-ჯერ დაკომპლექტულა, თუმცა ასეთი ვნებათა ლელვა არ მახსენდება... რატომ გახდა ეს პროცესი მნიშვნელოვანი მაინცდამანც აღლა?

იმიტომ რომ კანონმდებლობა შეიცვალა. კანონმა შექმნა სივრცე და გარემო თავისუფლებისთვის. აქამდე არსებული კანონით იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატების დასახელების უფლება ჰქონდა მხოლოდ უზენაესი სასამართლოს თავჯდომარეს. დღისთვის კანონი იძლევა შესაძლებლობას, ნებისმიერმა მოსამართლემ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატად დასახელოს საკუთარი თავი და ან სხვა მოსამართლე. ამდენად მხოლოდ უზენაესი სასამართლოს თავჯდომარის ნება აღარაა კანდიდატთა წრის განსაზღვრა. ამავდროულად არსებობდა ღია

კენჭისყრის წესი. ღია კენჭისყრა ვერ უზრუნველყოფს თავისუფალი არჩევნის გაკეთების შესაძლებლობას, ის ვერ პასუხობს ნების გამოვლენის დემოკრატიულ სტანდარტს. ამ ტიპის კენჭისყრაზე მმართველობის უკანასკნელ პერიოდში ჯერ კიდევ კომუნისტებმა თქვეს უარი. ახლა კენჭისყრა ფარული იქნება. ამ

■ ახლა კენჭისყრა ფარული იქნება. ამ ყველაფერმა შესაძლებელი გახადა ის, რომ თითოეულმა მოსამართლემ საკუთარი, სხვისი ნებისაგან დამოუკიდებელი არჩევანი გააკეთოს, მოსამართლეებს მოგვეცა შესაძლებლობა დავასახელოთ და ავირჩიოთ ჩვენთვის სასურველი კანდიდატი და ან თავად ვიყაროთ კენჭი. სწორედ ამ საკანონმდებლო სიახლემ გააკეთოს კორპუსი.

ყველაფერმა შესაძლებელი გახადა ის, რომ თითოეულმა მოსამართლემ საკუთარი, სხვისი ნებისაგან დამოუკიდებელი არჩევანი გააკეთოს, მოსამართლეებს მოგვეცა შესაძლებლობა დავასახელოთ და ავირჩიოთ ჩვენთვის სასურველი კანდიდატი და ან თავად ვიყაროთ კენჭი. სწორედ ამ საკანონმდებლო სიახლემ გააკეთოს მოსამართლეთა კორპუსი.

დაგვიანებული ხომ არ არის თქვენი რეაქცია? თავდაპირველად, როდესაც იუსტიციის სამინისტრომ კანონპროექტზე მუშაობა დაიწყო, ის სხვა სახის

იყო. მაგრამ შემდეგ არ ვიცი, რა მოხდა, სადაც ნორმა ისე დარეგულირდა, როგორი სახისაც ახლაა. რატომ გამოტოვეთ ეს პროცესი მოსამართლებმა? რატომ მაშინ არ გააქტიურდით, როცა კანონში ცვლილება ისეთი სახით შეიძლებოდა შესულიყო, რომ ახლა ასეთი ბრძოლა საჭირო აღარ გამხდარიყო?

ასე არ არის, ჩვენ აქტიურები ვიყაროთ და ამ კანონის მიღების პროცესს თვალყურს ვადევნებდით. როცა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, ე.წ. კვოტირებასთან დააკვშირებული ნორმა გაუღერდა, პარლამენტთან ელექტრონული მიმოწერის საშუალებით გამოვთქვით ჩვენი შენიშვნები. ჩვენ პოსტფაქტუმ გვიწევდა აქტიურობა. სამწუხაროდ, პარლამენტის კანონპროექტზე მუშაობისას არ უკითხავს აზრი ჩვენთვის.

ეს იყო პოლიტიკური გადაწყვეტილება? რადგან წესით არც ხელი-სუფლებას არ უნდა აძლევდეს ხელს კანონის ასეთი ფორმით არსებობა... შესაძლოა, ეს იყო პოლიტიკური შეთანხმების საგანი, ამაზე მევრაფერს გეტყვით, მაგრამ სამართლებრივად კვოტირების პრინციპი სამართლიანობის მოთხოვნას ნამდვილად ვერ პასუხობს.

იუსტიციის საბჭოში 15 წევრია. აქედან 6-ს აირჩევს პარლამენტი, ორი ადგილი ისედაც გარანტირებულია ერთი თავჯდომარისთვის და ერთი უკვე კონფერენციის მიერ არჩეული წევრისთვის. საუბარია 7 ადგილიდან კვოტირებულ სამ ადგილზე. რატომ არის თქვენთვის ამ ადგილებისთვის ბრძოლა ასეთი მნიშვნელოვანი? ასეთი გადამწყვეტი?

შევდივართ მოედანზე, სადაც კოლეგიის და პალატის თავმჯდომარებებს ფორმა აქვთ მიცემული,

მათ შეუძლიათ სამი თერთმეტმეტრიანის დარტყმა იმ კარში, სადაც მეკარე არ დგას.

ფიქრობთ, რომ იმ ოთხ ადგილზე, რომელზეც კანდიდატები თანაბარ გარემოში იპროტენებენ, შესაძლოა, რომ თავმჯდომარედ მოსამართლეებმა თავიანთი მომხრეები გაიყვანონ? ყოველ შემთხვევაში, მათ ამის შესაძლებლობა კანონმა მისცა.

რა ბერკეტები რჩება თავმჯდომარის ხელში მოსამართლეებზე გავლენის მოსახდენად?

მოსამართლეზე ზემოქმედების პირდაპირ ცხადად გამოხატული საკანონმდებლო ბერკეტი არ არსებობს. ეს სასამართლო ცხოვრების კულუარული სფეროა. დღეს თითქმის ალარავინ დავობს, რომ სასამართლოს წლების მანძილზე სათანადო ხარისხის დამოუკიდებლობა არ გააჩნდა. ხშირად მოსამართლეზე ზემოქმედების მომხდენ პირებად სასამართლოს სისტემაში ადმინისტრაციული თანამდებობების მქონე პირები გვევლინებოდნენ. ეს არ ეხება ყველა თავმჯდომარეს, რა თქმა უნდა, იყვნენ გამონაკლი-სებიც. სამწუხაროდ, ახლაც არის იმის განცდა, რომ ცალკეულ პირთა წრე მოსამართლეზე ზემოქმედების ბერკეტების შენარჩუნებას ცდილობს. მე მაქვს განწყობა და სურვილი იმისა, რომ მთელ მოსამართლეთა კორპუსს, მათ შორის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დღევანდელ შემადგენლობას, განსაკუთრებით მოსამართლე წევრებს, ნდობა გამოუცხადო, მაგრამ ამ ნდობას თავისი ლიმიტი აქვს. ჩვენ საბჭოს დღევანდელ შემადგენლობას ვთავაზობთ დემოკრატიულ წესებს, თანაბარ პირობებში არჩევნებს და როცა ამაზე არ გთანხმდებან, ჩნდება კითხვა – რატო?

იუსტიციის სამინისტროს და პარლამენტის კანონის გატანისას ჰქონდა ბერკეტი, რომ კვოტირების სისტემა მოესპონ, მაგრამ მათ ეს არ გააკეთეს. როცა თქვენ საუბრობთ, რომ არსებობს გარკვეული ჯგუფი, რომელსაც სასამართლო ხელისუფლებაზე გავლენის შენარჩუნება სურს, ეს ჯგუფი არა მარტო ყოფილი ხელისუფლების ნარმომადგენელი შეიძლება იყოს?

სასამართლოზე ზეგავლენის სურვილის ცდუნება ნებისმიერ ხელისუფლებას შეიძლება ჰქონდეს, რადგან სასამართლოში წყდება და საბოლოოდ წერტილი ესმება სადაც საკითხებს. მე ვერ ვიტყვი, რომ დღევანდელი ხელისუფლებიდან სასამართლოს დამორჩილების ან მასზე ზეგავლენის მოპივების რაიმე ნიშანს ვხედავ. ის ჯერ არ ავლენს ამას. თუმცა ამის რისკი ყოველთვის არსებობს. ამიტომაა აუცილებელი, რომ მოსამართლეები სასამართლოს დამოუკიდებლობას ერთად დგომით და პრინციპულობით გავუფრთხილდეთ.

თითოეულმა მოსამართლემ უნდა ირწმუნოს, რომ მესამე ხელისუფლების ნარმომადგენლები ვართ, ეს ხელისუფლება ხელში უნდა ავიღოთ და როგორც კი ვინმესგან სახელისუფლებლო შტოებს შორის არსებული საზღვარი დაირღვევა, მასზე ადეკვატური და პრინციპული რეაგირება მოვახდინოთ. სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობას სხვა ფაქტორებთან ერთად ჩვენი, მოსამართლეთა სიმტკიცე, სამართლისა და სამართლიანობის ერთგულების პრინციპის დაცვა განაპირობებს.

კანონპროექტზე მუშაობის დროს საქმეში ვენეციის კომისია იყო ჩართული. იუსტიციის სამინისტრომ კანონპროექტი გაუგზავნა, მათ რეკომენდაციები გამოუუგზავნეს, ჩამოსული იყო კომისიის თავმჯდომა-

რე... როცა ბატონი კოტე კუბლაშვილი მოქმედი წესის მართებულობაზე საუბრობს-ხოლმე, ამბობს, რომ ვენეციის კომისიამ მთლიანობაში პროექტი მოიწონა. ეს მართლაც ასე იყო. როგორ ფიქრობთ, თუ მართლაც ხარვეზიანია ეს წესი, რატომ დაეთანხმა ამას ვენეციის კომისია?

ვენეციის კომისიამ არ მოიწონა ის, რომ უკვე არსებულ იუსტიციის მთელ შემადგენლობას უფლებამოსილება შეწყვეტოდა. თუმცა ვენეციის კომისიამ ცალსახად თქვა, რომ თავმჯდომარეობა საბჭოს წევრობასთან შეუთავსებელია. როგორც ჩანს, აქ გამოინახა კომპრომისი და დღევანდელი კანონით არაუმეტეს 3 კოლეგიის და პალატის თავმჯდომარესაც მიეცა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის უფლება და ოუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების ნაწილს უფლებამოსილებაც შეუწყდა.

ეს პოლიტიკა და არა სამართლი... კანონი პოლიტიკური პროცესის შედეგია.

ვისაუბროთ იმ ექვს წევრზე, ვინც პარლამენტმა უნდა აირჩიოს. მათი ვინაობა უკვე ცნობილია. რა შეგიძლიათ გვითხრათ მათზე?

ამ სიაში ღირსეული ადამიანები არიან და იუსტიციის საბჭოში მათი ყოფნა მნიშვნელოვნად წაადგებოდა მართლმასჯულების განვითარებას. თუმცა ბევრ მათგანს არ ვიცნობ.

კონფერენცია ახლოვდება. იქნება თქვენი შემდეგი ნაბიჯი?

იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ კონფერენციის რეგლამენტის პროექტი შეიმუშავა. ამით წარსდგება ის კონფერენციის წინაშე. საბოლოოდ იგი კონფერენციამ უნდა დაამტკიცოს. ასე რომ ჩვენ ბრძოლას კონფერენციაზე გავაგრძელებთ. შევეცდებით ჩვენი კოლეგები ჩვენს



ბრიუსელში - FLY GEORGIA-სთან ერთად!

აფრიკისთანავე ხვდებით, რომ საიმედო ხელში ხართ! ღიმილიანი და ყურადღებიანი ბორტგამცილებლები, უმაღლესი კლასის პილოტები, ევროპული დონის სალონი, მომსახურების ჩვენი ქვეყნისთვის უჩვეულოდ მაღალი სერვისი - ეს Fly Georgia-ა.

ბრიუსელში ავიაკომპანიამ პირველი რეისი განახორციელა და თან ყველაზე მკაცრი კრიტიკოსები - უურნალისტები წაიყვანა.

5 ივნისიდან fly Georgia ბრიუსელის მიმართულებით ყოველ ოთხშაბათსა და შაბათს იფრენს. ეს ერთადერთი ავიაკომპანიაა, რომელიც პირველად საქართველოში, ბელგიის დედაქალაქის მიმართულებით პირდაპირ რეისს განახორციელებს. Fly Georgia-ს აღმასრულებელმა დირექტორმა ბიუან მუგუიმ და თანამშრომლებმა პირველი მგზავრები პირადად გააცილეს. თბილისის საერთაშორისო აეროპორტში საზეიმო მიღებაც გამართეს და რეისის დანიშვნის მნიშვნელობაზე ისაუბრეს.

ბორტზე ბორტგამცილებლებმა გულმოდგინედ და დამაჯერებლად აუხსნეს მგზავრებს სავალდებულო წესები, შემდეგ კი ბალიშები და "პლედები" დაურიგეს კომფოტრულად მოსაკალათებლად. ზუსტად 4 საათსა და 20 წუთში ბრიუსელის საერთაშორისო აეროპორტში უსაფრთხო დაფრენის შემდეგ Fly Georgia-ს გაყიდვების ოფისი გამორჩდა. საშუალო ასაკის სასიამოვნო გარეგნობის ფრანგი ქალბატონი მთელი მონდომებით ესაუბრა სტუმრებს - თუ რა მნიშვნე-

ლობის არის ახალი რეისის გახსნა ბრიუსელის მიმართულებით.

უახლოეს მომავალში Fly Georgia მომხმარებელს არაერთ სასიამოვნო სიახლეს ჰპირდება. იგეგმება ახალი მარშრუტის განხორციელება ბარსელონას, სტოკოლმისა და ლონდონის მიმართულებით. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ავიაკომპანიის სერვისით სარგებლობის ხელშესაწყდომი ტარიფი, რის შესახებაც ბრიუსელის რეისის მგზავრები ხმამაღლა აღნიშნავდნენ.

P.S უურნალისტები ყოველთვის თავს არიდებენ სარეკლამო სტატიების დაწერას, თუმცა ამ სტატიის დაწყებამდე, ინფო-ტურის ყველა მონაწილეს, მათ შორის ტურისტული სააგენტოების წარმომადგენლებს, სურვილი გაუჩნდათ ავიაკომპანიის მიმართ კეთილგანწყობა გამოეხატათ. რადგან: როგორც რიგით მოკვდავებს - აღარ ეშინოდათ ფრენის! როგორც საქმიან ადამიანებს - გაუმარტივდათ მსოფლიოს ყველაზე საქმიან ქალაქში მოხვედრა, ხოლო როგორც ტურისტებს, განტვირთვის საშუალება მიეცათ თუნდაც გრანდ-პლასის მოედანზე გასეირნებით.

ავიაკომპანია fly Georgia-მ უურნალისტებს კრიტიკისთვის პატარა დეტალიც კი არ დაუტოვა. ასე რომ - არ მოიკლოთ სიამოვნება იფრინოთ Fly Georgia-სთან ერთად!

ხედვებში დავარწმუნოთ და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ შემუშავებულ რეგლამენტის პროექტში ცვლილებები შევიტანოთ. კანონში არის ხარვეზი, რომელიც სხვადასხვაგვარად ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლევა. ჩვენ საბჭოს სამართლიანი ინტერპრეტაციის შევთავაზეთ, ჩვენი მოთხოვნა თანაბარ პირობებში ყოფნაა. თუმცა საბჭოს წევრთა უმრავლესობამ სამართლიან წესებზე შეთანხმება არ ისურვა. იმედია კონფერენცია მხარს დაუჭერს ჩვენს წინადადებებს და თანაბარ, თანასწორ და გამჭირვალე არჩევნების პროცედურაზე გააკეთებს არჩევანს.

რა დონის ინტერპრეტირების საშუალებას იძლევა კანონი?

ის, რომ კვოტირებულად უნდა მოხდეს პალატის და კოლეგიის თავმჯდომარეთა არჩევა, ეს ცალსახაა და ვერსად გავექცევით. მაგრამ ამ კვოტირებულ არჩევნებში უნდა არსებობდეს თუ არა ე.ნ. მეორე ტური, ამაზეა დავა. ჩვენი აზრით, კანონი შემდეგნაირად უნდა განიმარტოს: კოლეგიის და პალატის თავმჯდომარება, ისევე როგორც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობა, უდიდესი პასუხისმგებლობაა. განსაკუთრებით რთულია ერთმა ადამიანმა იტვირთოს ორივე ერთად. თუმცა არაა გამორიცხული არსებობდნენ ადამიანები, რომლებიც ორივე თანამდებობის დაკავების პირობებში წარმატებული იქნებიან. ამიტომ კანონმა დაუშვა ეს შესაძლებლობა და იმავდროულად სავალდებულო გახადა მოსამართლეთა მხრიდან მაღალი ნდობის გამოცხადება. თუ მოსამართლეთა კონფერენცია დამსწრე წევრთა 2/3-ით ორივე პასუხისმგებლობას დააკისრებს ვინმეს, აქ სადაც არაფერია. მაგრამ დაბალი ხარისხის ნდობის პირობებ-

ში, ვინმესთვის ამ უდიდესი კომპეტენციის მინიჭება გაუმართლებელია. კვოტირებული წესით არჩევნებში თუ რომელიმე ვერ მოიპოვებს კონფერენციაზე დამსწრე მოსამართლეთა 2/3-ს, მაშინ ყოველი ვაკანტური ადგილი უნდა შეივსოს თანაბარი კონკურენციის პირობებში და ამ ადგილებზე ადმინისტრაციული თანა-

■ თითოეულმა მოსამართლემ უნდა ვირწმუნოთ, რომ მესამე ხელისუფლების წარმომადგენლები ვართ, ეს ხელისუფლება ხელში უნდა ავილოთ და როგორც კი ვინმესგან სახელისუფლებლო შტოებს შორის არსებული საზღვარი დაირღვევა, მასზე ადეკვატური და პრინციპული რეაგირება მოვახდინოთ. სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობას სხვა ფაქტორებთან ერთად ჩვენი, მოსამართლეთა სიმტკიცე, სამართლისა და სამართლიანობის ერთგულების პრინციპის დაცვა განაპირობებს.

მდებობის არმქონე მოსამართლეებს უნდა მიეცეთ არჩევის უფლება. კოლეგიის და პალატის თავმჯდომარებებსაც აქვთ უფლება საერთო წესით, ყველასთან კონკურენციის პირობებში იბრძოლონ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის თანამდებობისათვის, მაგრამ თუ მათგან რომელიმე გაიმარჯვებს აკტომატურად უწყდე-

ბათ თავმჯდომარის თანამდებობაზე ყოფნის უფლება. აი, ამ ვარიანტს ვთავაზობთ ჩვენ, რაზეც არ გვთანხმდებიან.

სამართლიანობა არავის ისე არ მოეკითხება, როგორც მოსამართლეებს. თუ ჩვენ ჩვენი კორსუსის შიგნით ვერ შევთანხმდებით ერთმანეთთან ურთიერთობის სამართლიან წესებზე, მაშინ საზოგადოებისთვის გაუგებარი რჩება, როგორ უნდა ვიზრუნოთ სხვათა უფლებებისთვის შექმნილი პრობლემების სამართლიან გადაწყვეტაზე.

თქვენ თქვით, რომ სასამართლო სისტემა ვერ იდგა მოწოდების სიმაღლეზე, ხდებოდა ზენოლა, ეს თავმჯდომარების მხრიდან ხდებოდა? იმ თერთმეტ თავმჯდომარეში არიან ისინი, ვინც ზენოლას ახორციელებდნენ?

პალატის და კოლეგიის თავმჯდომარები თავისი ინიციატივით ამას არ აკეთებდნენ. მათზეც ზენოლა ხდებოდა, ისინი ამ ზემოქმედების გამტარი და მოსამართლემდე მიმტანები იყვნენ. თუმცა აკეთებდნენ..

როგორც მივხდი, კანონის მოქმედი რედაქციის პირობებშიც კი ყველაფერი სასამართლოს ხელმძღვანელ პირებზე არ არის დამოკიდებული. და კონფერენციას შეუძლია თავისი გავლენა ჰქონდეს. თქვენ დაახლოებით გეცოდინებათ მოსამართლეთა განწყობები, მათი ინტერესები... რა შანსები აქვს კონფერენციას იმისა, რომ დამოუკიდებელად ითამაშოს?

იმედიანად ვარ განწყობილი და, ვფიქრობ, რომ მოსამართლეთა კორსუსი შეძლებს, როგორც სამართლიან რეგლამენტზე შეთანხმებას, ისე იუსტიციის უმაღლესი საბჭოში ღირსეული კანდიდატების არჩევას.

ესაუბრა ზურაბ ვარდიაშვილი



SHERLOCK

ვარასული | გადატოვ | ქვეყნა
22:00 საათზე



წოდებულების სამართლის ნობის ხახზე

9 ივნისს იურისტები ქართული მართლმსაჯულებისთვის გარდამტებ მომენტად მიიჩნევენ, რადგან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ახალი შემადგენლობა ამ დღეს უნდა დაკომპლექტდეს. მოსამართლეთა ნაწილი ფიქრობს, რომ საბჭოს არჩევის წესი პოლიტიკური კონიუნქტურით განისაზღვრა.

ქეთევან ლვედაშვილი



„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებები აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით შევიდა. განსხვავებული შეხედულებებისა და მიდგომების მიუხედავად მხარეები იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან დაკავშირებით საერთო ვერსიაზე შეთანხმდნენ. თუმცა მაინც აღმოჩნდა ისეთი საკითხები, რამაც აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია.

ერთ-ერთი ასეთი საკითხი საბჭოს მოსამართლე წევრთა არჩევის წესია. 15 წევრიდან 6-ს საქართველოს პარლამენტი ირჩევს, 9-ს – მოსამართლეთა კონფერენცია. ამავე რაოდენობაში თანამდებობრივად შედიან უზენაესი

სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილი და კონფერენციის მიერ არჩეული გიორგი შვალიშვილი. შესაბამისად, მოსამართლეებს შეიდადგილიანი კვოტა რჩებათ, საიდანაც ოთხს 240 მოსამართლიდან კონფერენცია ასახელებს, სამ ადგილზე კი კოლეგიისა და პალატის 11 თავმჯდომარე იყრის კენჭს. აზრთა სხვადასხვაობას იწვევს ის ფაქტიც, რომ თავმჯდომარე მოსამართლეებს გამარჯვებისთვის ხმათა ¼ სჭირდებათ, ხოლო რიგით მოსამართლეებს – ხმათა ½-ზე მეტი.

კანონის სწორედ ეს ნაწილი გახდა სადაც მოსამართლეთა ნაწილისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის. მოსამართლეები მიიჩნევენ, რომ არათანაბარ პირობებში არიან, რაც მათი შეფასებით, შეურაცხმყოფელი უნდა



აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის დღის მიზანი

იყოს კოლეგისა და პალატის თავმჯდომარე- ებისთვის: „ასეთი ფსევდო-საარჩევნო ვითა- რება, შესაძლებელია მისაღები იყოს პოლიტი- კური კონიუნქტურისთვის, მაგრამ სრულიად შეუსაბამოა მართლმასულების დაადი იდეის განმახორციელებელი მოსამართლებისთვის, “- აღნიშნულია განცხადებაში, რომელიც უზენაე- სი სასამართლოს მოსამართლე ნათია წევპლა- ძეებ და თეიმურაზ თოდრიამ გაავრცელეს.

მათი აზრით, ეს „პოლიტიკური კომპრო- მისით“ მიღებული გადაწყვეტილებაა. კანონ- პროექტის თავდაპირველ ვერსიაში კოლეგისა და პალატის თავმჯდომარებს საბჭოს არჩევ- ნებზე კენჭისყრის უფლება არ ჰქონდათ, მო- გვიანებით შესული ცვლილებებით კი მათ ეს უფლება მიენიჭათ. საბჭოს წევრად არჩევის

შემთხვევაში კი მათ თავმჯდომარის თანამდე- ბობა უნდა დატოვონ.

ახალგაზრდა ოურისტთა ასოციაციის თა- ვმჯდომარის, კახა კოქიორიძის თქმით, „კა- ნონპროექტში უკანასკნელი ცვლილებები ისე სწრაფად შევიდა, რომ სამოქალაქო საზოგა- დოებამ განხილვა ვეღარ მოასწრო.

მოსამართლეთა არჩევის წესში უზენაესი სა- სამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილი არაკანონიერს არაფერს ხედავს. მისი თქმით, კანონის ასეთი ფორმულირება ვენეციის კო- მისიმაც დაუშვა და პარლამენტმა ამის შემ- დეგ დაამტკიცა: „მოსამართლებმა კარგად უნდა გაიაზრონ, რომ პრობლემა ისაა, რომ თუკი კოლეგისა და პალატის თავმჯდომარე- ბი საბჭოს წევრებად აირჩევიან, შემდეგ მათ

■ „ასეთი ფსევდო- საარჩევნო ვითარება, შესაძლებელია მისაღები იყოს პოლიტიკური კო- ნიუნქტურისთვის, მაგრამ სრულიად შეუსაბამოა მართლმასულების დაადი იდეის განმახორციელებე- ლი მოსამართლეებისთვის;“ – აღნიშნულია განცხად- ბაში, რომელიც უზენაესი სასამართლოს მოსამა- რთლე ნათია წევპლაძემ და თეიმურაზ თოდრიამ გაავრცელეს.

თანამდებობა უნდა დატოვონ, “- განაცხადა ეოტე კუბლაშვილმა. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ ეს 11 მოსამართლე ლირსეულია და 9 ივნისს ძალიან დოდ მხარდაჭერას მოიპოვებს.

საის თავმჯდომარე, კახა კოჯორიძე, მიიჩნევს, რომ ეს გადაწყვეტილება პოლიტიკური კონსესუსის საკითხი უფრო იყო და სასამართლოს რეალურ საჭიროებებს არ დაეფუძნა: „ეს არასწორი მიდგომაა, რადგან პალატისა და კოლეგიის თავმჯდომარეთა საბჭოში ყოფნა არასწორია, ნებისმიერ მოსამართლეს წევრობის თანაბარი შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს. არავის არ უნდა მიენიჭოს უპირატესობა. ერთი ჯგუფის თვის ძალაუფლებისა და პრივილეგიების მინიჭებამ მიგვიყვანა იმ მდგომარეობამდე, რაშიც ვიყავით. ახლაც არის ამის გარკვეული საფრთხე“.

გარდა ამისა, კითხვებს ბადებს მოსამართლეთა ურთიერთობა ძალივანი სტრუქტურისა და ხელისუფლების წარმომადგენლებთან. რამდენიმე დღის წინ არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრისას კოტე კუბალშვილმა განაცხადა, რომ ერთ-ერთი მოსამართლე თავის კოლეგებს ბინების ყიდვასა და ხელფასების მომატებას პპირდებოდა. ხოლო მოსამართლე მიშა ბეჭიაშვილი გარნტიების მისაღებად პროკურორ მაია მნარიაშვილთან თანამშრომლობდა: „პროკურორმა დაავალა, მისულიყო ერთ-ერთი მოსამართლის ახლობელთან, რომელსაც ის კარგად იცნობდა და მისი პირით შეეთვალა მოსამათლისთვის, რომ ერთ-ერთი საქმე განეხილა. იმ მოსამართლემ უარი თქვა, რადგან ეს მისი განსახილველი საქმე არ იყო. „კუბლაშვილის ინფორმაციით, საბჭოს წევრობის კანდიდატებზე მოსამართლეები თევა წულუკიანსაც ესაუბრნენ.“

რაც შეხება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ექვე არამოსამართლე წევრს, რომლებ-საც სხვადასხვა ორგანიზაციის წარდგინებით საქართველოს პარლამენტი აირჩევს, მათი 45-კაციანი სია უკვე პარლამენტშია. კომიტეტები კანდიდატებს სათითაოდ განიხილავენ და შემდეგ უკვე კენჭს უყრიან: „ერთი კვირის განმავლობაში ფრაქციებმა უნდა განიხილონ ეს კანდიდატურები, ფორმას თვითონ ირჩევენ – უნდათ მხოლოდ საბუთებს განიხილავენ,

უნდათ ყველა კანდიდატს ან მათ მხოლოდ ნაწილს მოიჩევენ. 12 ივნისს კი პარლამენტში უნდა გამართოს სხდომა, სადაც საბჭოს წევრებს აირჩევენ, “- აღნიშნა „ლიბერალთან“ საუბარში იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ხმალაძემ.

ხმალაძის განცხადებით, იმის გათვალისწინებით, რომ საბჭოს წევრები 150-მა დეპუტატმა უნდა აირჩიოს, ობიექტურ არჩევნებზე გარანტის მიცემა შეუძლებელია: „მათ არანაირი რეგულაცია არ აქვთ არჩევის პროცესში. ყველა ადამიანი თავისუფალია იმდენად, რამდენადც ამის საშუალებას მისცემს ის თავის თავს.“

ზემოაღნიშული 45 პირიდან საიმ საბჭოს წევრობის სამი და კოლეგიის წევრობის ერთი კანდიდატი დაასახელა. „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ“ – ორი, ხოლო „კონსტიტუციის 42-ე მუხლმა“ – სამი. თუმცა მათ რამდენიმე საერთო კანდიდატი ჰყავთ: დავთ კერძესელი საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ და „კონსტიტუციის 42-ე მუხლმა“ დაასახელა; კახა წიქარიშვილი – „კონსტიტუციის 42-ე მუხლმა“ და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ; ზურაბ ძლიერიშვილი – „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ“, „კონსტიტუციის 42-ე მუხლმა“, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ, გურამ თავართქილაძე და გრიგოლ რობაქიძე აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტებმა დაასახელა; წინო ბაქაური კი – ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ და თბილისის თავისუფალმა უნივერსიტეტმა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ იურისტი გია გვილავა აღნიშნავს, რომ მათ მიერ დასახელებული კანდიდატები რამდენიმე კრიტერიუმით შეირჩენ და ყველა მათგანი თავის სფეროში გამორჩეული და აღიარებული სპეციალისტია: „დათო კერძესელი და ზურაბ ძლიერიშვილი გამორჩეულები არიან. ზურაბი იყო სადისციპლინო კოლეგიის წევრი და იცის, რა პრობლემებია ამ მიმართულებით. დათო ძალიან კარგი ნოვატორი და რეფორმატორი ადამიანია, რომლებმაც განათლების სისტემა კარგად იცის.“

იურისტი იმედს იტოვებს, რომ თუკი დეპუტატები აბიექტური ნშინით მიუდგებიან არჩევის პროცესს და პოლიტიკური ფაქტორები

გამოირიცხება, მაშინ მათ მიერ დასახელებულ კანდიდატებს დიდი შანსები ექნებათ. გვილავას მოწონებას, საისა და ადვოკატთა ასოციაციის მიერ დასახელებული კანდიდატებიც იმსახურებას. თუმცა სხვა ორგანიზაციების რამდენიმე კანდიდატს ეჭვით უყურებს და ამბობს, რომ ზოგიერთ მათგანთან ძალიან დღიდა კოხვის ნიშნები აქვს: „რამდენიმე ადამიანია, რომელიც ადრე სასამართლო სისტემაში მუშაობდა.“

საიამ კანდიდატის შერჩევისას კანონით დადგენილი კრიტერიუმებით, პოლიტიკური დამოუკიდებლობით, პროფესიონალიზმითა და პრაქტიკულ საქმიანობაში მიღწეული წვლილით იხელმძღვანელა: „ჩვენ თითოეულ მათგანს გავესაუბრეთ და დაუსვით ისეთი კითხვები, რაც სასამართლოს დამოუკიდებლობას და არსებული პრობლემების გადაჭრას უკავშირდებოდა. შეიძლება ითქვას, რომ ეს კანდიდატები არჩევნების გზით ავირჩიეთ,“ - აღნიშნა საიამ თაცმელომარჯ კასა კოურორისტე „ლიბერალთან“ საუბრისას.

საკუთარ კანდიდატებზე საუბრობს „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ აღმასრულებელი დირექტორი თამარ გაბისონია. მისი თქმით, ისინი პროფესიული გამოცდილებისა და მათი ხედვების მიხედვით შეარჩიეს. იგი მიიჩნევს, რომ მათ მიერ დასახელებული კანდიდატები თავიანთი განათლებით და გამოცდილებით მართლაც ღირსეულები არიან: „ჩვენი ორგანიზაცია თავიდანვე ჩართული იყო სასამართლო სისტემის რეფორმის პროცესში. შესაბამისად, კარგად გაქცეს გაცნობიერებული ის პასუხისმგებლიბა, რაც სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობისთვის საბჭოსა და კოლეგიის წევრს ეკისრება. შესაბამისად, ჩვენ მიერ წარდგენილი კანდიდატები კარგებს შორის საუკეთესოდ მიგვაჩინა,“ - განუცხადა „ლიბერალს“ გაბისონიამ. მისი თქმით, თუკი პარლამენტი იმ კრიტერიუმებს გაითვალისწინებს, რომლითაც ეს კანდიდატები შეირჩენ, მაშინ დეპუტატები არჩევანს მათ მიერ დასახელებულ პირებზე შეაჩერებენ.

თამარ გაბისონია მიიჩნევს, რომ ხმის მიცემის პროცესში მოსამართლეებმა თავიანთი პასუხისმგებლობა უნდა იგრძნონ და არჩევანი არა გარეშე ძალებზე, არამედ საკუთარ ნებაზე დაყრდნობით უნდა გააკეთონ. ამიტომ იგი მოუწოდებს ყველას თავი შეიკავონ ისეთი

განცხადების გაკეთებისგან, რაც არჩევნების პროცესზე გავლენას იქონიებს.

მოსამართლეთა კონფერენციის იუსტიციის მინისტრი თეა წულუკანიც გამოიხმაურა და აღნიშნა, რომ რეფორმის ხელისუფლებისთვის კი არა, მოსამართლეებისთვისაა და იმის მიხედვით, თუ როგორ განვითარდება მოვლენები 9 ივნისს გამოჩნდება, სალხისთვისაც არის თუ არა იგი: „ჩვენ 9 ივნისს შორიდან ვაკირდებით. მთავარია, მოსამართლეებმა იყოჩალონ.“

პოლიტიკოსთა, მოსამართლეთა და იურისტთა შეფასებით, 9 ივნისი ისტორიული დღეა, რადგან მოსამართლეებს შანსი ეძლევათ, საბჭოს წევრები გარეშე ძალებისგან დამოუკიდებლად აირჩიონ.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტება პირდაპირ კავშირშია ქართულ მართლმასჯულებასა და სასამართლო სისტემასთან, რადგან წყვეტს ისეთ საკითხებს, როგორიცაა - მოსამართლეთა თანამდებობებზე დანიშვნა/გათავისუფლება, საკვალიფიკაციო გამოცდების ორგანიზება, რეფორმებისთვის წინადადებების შემუშავება და სხვა საკითხები.

საბჭო 1997 წლის 13 ივნისს შეიქმნა, მაშინ, როდესაც პარლამენტმა „საერთო სასამართლების შესახებ“ კანონი დაამტკიცა.

საბჭომ მრავალი საკანონმდებლო ცვლილება გაიარა. თავდაპირველად ის 12 წევრისგან შედგებოდა, 2004 წელს განხორციელებული ცვლილების თანახმად ეს რაოდენობა ცხრამდე შემცირდა, ერთი წლის შემდეგ თვრამეტამდე გაიზარდა, 2006 წელს კიდევ ერთი წევრი დაემატა, თუმცა წლის ბოლოს 15-მდე შემცირდა.

ხელისუფლების შეცვლის შემდეგ იუსტიციის სამინისტრომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში შესატან ცვლილებათა პროექტი მოამზადა. თავდაპირველად „ქართული ოცნება“ სამინისტროს ინიციატივის კანონად ქცევას ჩქარობდა, და 20 დეკემბერს პარლამენტმა ის პირველი მოსმენითაც კი მიიღო, თუმცა შემდგომი პროცედურები შეჩერდა. ხელისუფლება დათანხმდა, რომ ვენეციის კომისიის რეკომენდაციებს დალოდებოდა. კანონის ძალში შესვლის შემდეგ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოქმედ წევრებს უფლებამოსილება შეუწყდათ. □

„ეს არასასწორი მიდგომა, რადგან კალატისა და კოლეგიის თავმჯდომარეთა საბჭოში ყოფნა არასასწორია, ნებისმიერ მოსამართლეს წევრობის თანაბარი შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს. არავის უნდა მიერიქოს უპირატესობა. ერთი ჯგუფისთვის ძალუფლებისა და პრივილეგიების მინიჭებამ მიგვიყვანა იმ მდგომარეობამდე, რაშიც ვიყავით. ახლაც არის ამის გარკვეული საფრთხე“. □

ბანაზის სოფელი

მესამე კვირაა დედოფლისწყაროს საზღვრისპირა სოფელი, სამთაწყარო საზოგადოების უურადღების ცენტრში მოექცა. ოფიციალური მედია და არსამთავრობო ორგანიზაციები სოფელში რელიგიურ დაპირისპირებაზე საუბრობენ. ლიბერალი გთავაზობთ რეპორტაჟს იმის შესახებ, რაც სოფელში 5 და 6 მაისს მუსლიმთა ტრადიციული პარასკევის ლოცვის წინ ვნახეთ. პარასკევის ლოცვა სამლოცველოს შენობაში არც 7 მაისს გამართულა. მედიაში მიზეზად იმას ასახელებენ, რომ იმამს, სულიკო ხოზრევანიძეს ორმა ადგილობრივმა ქალბატონმა არ მისცა მსახურების ჩატარების საშუალება, პოლიციამ კი იმამი სწორედ ლოცვის დროს წაიყვანა დაკითხვაზე. სოფლის მცხოვრებლები კი ლოცვის ჩაშლის მიზეზად სხვა რამეს ასახელებენ: პარასკევის ლოცვის შესასრულებლად მინიმუმ სამი მორწმუნის ერთად ლოცვაა საჭირო, პარასკევს კი სამლოცველოში იმამის გარდა არავინ მივიღა და ლოცვა ამის გამო ჩაიშალა.

ანი ჭანკოტაძე

სამთაწყარო ქვიან ფერდობზე შეფენილი საზღვრისპირა სოფელია. ამჟამად იქ 1600-მდე მოსახლე ცხოვრობს. დასახლება ალაზნის ჭალამდე ეშვება. ალაზნის გაღმა მხარეს კი აზერბაიჯანია. სოფლამდე ვინწრო, უასფალტო და ქვა-ლორლიანი გზა მიდის. ამიორმ, ტრანსპორტი იშვიათად მოძრაობს.

„აქ არ იგეგმებოდა და არ იგეგმება არანაირი მეჩეთის და მინარეთის მშენებლობა. საუბარია მხოლოდ ცალკე გამოყოფილ სამლოცველო სახლზე. თუ აქამდეც იქრიბებოდნენ სოფლელები და ერთ-ერთი მათგანის სახლში ლოცულობდნენ, რატომ არის პრობლემა, რომ ახლა უბრალოდ სხვა სახლში შეიკრიბონ, აუცილებელია, ვინმე ცხოვრობდეს შენობაში?“ – მიმართავს საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს წარმომადგენელი, ადამ შანთაძე სამთაწყაროში შეკრებილ აჭარელ მუსლიმებსა და სოფლის ხელმძღვანელებს.

შეკრებაზე მყოფი აჭარლები უკმაყოფილობან და ამტკიცებენ, რომ ცალკე სამლოცველოს ქონა სჭირდებათ, მით უფრო, თუ ეს სოფელში დაპირისპირებას გამოიწვევს. „არ გვინდა არაფრად ეს სამლოცველო, რო-

გორც აქამდე გვილოცია, ისე ვილოცებთ. თუ არადა, მაშინ წაგვიყვანეთ თქვენ და თქვენ გვიპატრონეთ“, – ამბობს ერთ-ერთი მათგანი. სამმართველოს წარმომადგენელთან საუბრიდან ირკვევა, რომ სამლოცველოს გახსნა გარდაუვალია, თუ სოფელს იმიჯის შენარჩუნება სურს. წინააღმდეგ შემთხვევაში, არა-სამთავრობო ორგანიზაციები და უურნალისტები სოფელში ჩამოსვლას არ შეწყვეტენ და ყველა სამთაწყაროში არსებულ რელიგიურ დევზაზე ისაუბრებს. „ჩვენ თუ განვაცხადებთ დღეს ტელევიზიით, რომ სამლოცველო გაიხსნა და აქ არავის არაფრას უშლიან, მორჩება ყველაფერი. ეს ჩამოსვლებიც შეწყდება. თუ არ უნდა ხალხს, არ შევა, ხომ არ ვაძალებთ ვინმეს იქ ლოცვას?“ – ამბობს საქართველოს მუფლის მოადგილე.

„ეს ამბავი სხვანაირად არ მოკვდება,“ – მხარს უბამს შანთაძეს სამთაწყაროელი სერგო ჯაინი: „ყველას ჰავნია, რომ ლოცვას გვიშლიან. მარტო ჩვენ ვიცით, რომ არავინ გვიშლის. სხვებიც რომ დარწმუნდნენ ამაში, იყოს ეს სამლოცველო და რომ არავინ შევა შიგნით, ხომ დაინახავენ?“



ფოტო ანუ ქართლია

სოფლის დეპუტატი შანთაძეს თხოვს, თუ მართლაც სიტუაციის განმუხტვა და სწორი ინფორმაციის გავრცელება უნდა, მაშინ ტელევიზით განაცხადოს, რომ სოფლელებს ლეკვა ერთმანეთის სთვის არასდროს დაუშლიათ და არც ახლა უშლიან. ცალკე მუსლიმურ სამლოცველოს კი სოფელში მცხოვრები მუსლიმებიც არ ითხოვენ და მისი გახსნის მიზანი გაუგებარია.

სამთაწყაროში აქარიდან ჩამოსახლებული ეკომიგრანტი მუსლიმები და ინგილოქრისტი 30 წელიწადზე მეტია, ერთად ახორობენ. სოფლის გამგებელი, გულო ნადირაშვილი იხსენებს, რომ პირველ წლებში მათ შორის კულტურულად მნიშვნელოვანი განსხვავება იყო, მაგრამ დაპირისპირება არც მაშინ ჰქონიათ. „ეგენი რომ ჩამოსახლეს მაშინ 18 წლის ვიყავი. სადმე დღეობაში ან ქორწილში თუ გამოვიცეკვებდით, არ გვეცეკვებოდნენ. ახლა რომ ვახსენებ-ხოლმე ბიჭებს, რად არ გვეცეკვებოდით მაშინ-მეთქი, გაიცინებენ-ხოლმე, ეჭ., სულელები ვიყავით, არ გვეგონა თუ ქრისტიანებთან ცეკვა შეიძლებოდაო“.

თავად ინგილოების უმეტესობა სამთაწყაროში 20-ე საუკუნის 30-იან წლებში ჩამოსახლდა კახიდან, რომელიც 1921 წლიდან აზერბაიჯანის ნაწილია. „1931 წელს ჩამოვიდნენ ჩვენი პაპები. მაშინ კახში მაჰმადიანობის მიღებას აძალებდნენ და ამიტომ ღამით გამოიპარნენ და აქ დასახლების ნებართვა აიღეს“ – ყვება გულო ნადირაშვილი.

აჭარლების უმეტესობა კი ხულოს მაღალ-მთანეთიდან ჩამოსახლეს ეკოლოგიური კატასტროფის შემდეგ. აჭარლები ყვებიან, რომ ინგილოებმა თბილად მიიღეს და რელიგიის გამო არასდროს უგრძენიათ სოფელში ზიზლი ან ცუდი დამოკიდებულება.

„როცა ჩამოვედით, ინგილოებმა გვითხრეს, რომ ჩვენც ქედელები (ქედა – მეზობელი სოფელი) რაკი აზერბაიჯანში ვცხოვრობდით, თავიდან თათრებს გვეძახდნენ. ჩვენ ვიცით ეგ რასაც ნიშნავს, არ გვინდა რომ თქვენც იგივე გამოსცადოთ თქვენს თავზე და ჩვენ-გან ასეთი პრობლემა არ გექნებათო. მართლა გვერდში დაგვიდგნენ მძურად და ახლა ჩვენც პატივი უნდა ვცეთ და გავუგოთ. ეს ხალხი იქიდან გამოექცა ისლამს და აქ მეჩეთი არ

სამთაწყაროელებს არასაკ-მარისი მიწები აქვთ, რომ საკუთარი მეურნეობებიდნ მიღებული შემოსახლით იარსებონ. ამიტომ სოფლის მცხოვრები ქალები და მა-მაკაცები მეზობელი სოფლებში მსხვილ ფერმერებთან დადან დღიურ მუშებად. თუმცა ასეთი სამუშაოც შეზღუდული და რთულად საშორენლია.

■ სოფლელების განსაკუთრებული გამოიზიანება
მუსლიმთა სამმართველოს გამოყოფილ სამლოცვალოში სხვა ორგანიზაციის, მუსლიმთა კავშირის ნარმომადგენერების 31 მაისს ჩასვლამ გამოიწვია. მუსლიმთა კავშირის ნარმომადგენებს, სოფლელების მოათხრისთვის, სამარშუტო ტაქსებით მოყავდათ მუსლიმები სალოცვად სხვა ქალაქიდან. მოსახლეობამ სამარშუტო ტაქსებს გზა გადაუკეტა და სოფლელში არ შეუძლა. ერთ-ერთმა სოფლელმა კი მანქანას ქვაც ერთმა ამბობს სოფლის მცხოვრები, ოთარ ფუტკარაძე. „57 წლის კაცი ვარ და ახლა რომ მოვინათლო, ჩემი თავის უპატივცემლობა იქნება, თორემ ჩემი შვილები და შვილიშვილები ქრისტიანებად მოინათლნენ და იმას აგრძელებენ, რასაც ჭეშმარიტი სარწმუნოება ჰქვია“, – ამბობს კიდევ ერთი აქარელი.

რელიგიური დოგმატიზმი არც ქრისტიანებს ახასიათებთ. მათთვის ქრისტიანად თვითადება უმნიშვნელოვანესია, მაგრამ ინგილობრივი ქრისტიანობას ქართველობას უკავშირებენ, და სწორედ ამიტომ ანიჭებენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას. სხვა მხრივ, რელიგიურ ცხოვრებაში მონაწილეობა ამ წლების მანძილზე ძირითადად ნათლობებსა და ქრისტიანული დღესასწაულების აღნიშვნებით მოყვავდათ მუსლიმები სალოცვად სხვა ქალაქიდან. მოსახლეობამ სამარშუტო ტაქსებს გზა გადაუკეტა და სოფლელში არ შეუძლა. ერთ-ერთმა სოფლელმა კი მანქანას ქვაც ესროლა. სოფლელში ამბობენ, რომ კვის სროლა არასწორი იყო და ეს ფორმა მათთვისაც არაა მოსახლი, მაგრამ მედიამ მოვლენები არასწორად გააშუქა როცა სოფლელში რელიგიურ დაპირისპირებაზე იყო საუბარი - თავად სოფლის მცხოვრებები ერთმანეთს არ დაპირისპირებიან.

უნდა ავუშენოთ.“ – ამბობს სერგო ჯაიანი. ზოგადად, სამთანყაროს მოსახლეობა რელიგიურობით არ გამოირჩევა. მუსლიმების უმეტესობა საკუთარ სარწმუნოებას ინერციით მიჰყება. ზოგიერთი მათგანი სარწმუნოების შენარჩუნებას თავმოყვარეობის საკითხად განიხილავს, ნანილი კი ქრისტიანების გარემოცვაში გარკვეულწილად თავს იმართლებს საკუთარი სარწმუნოების გამო – „მუსლიმებად დავიბადეთ. ვინ არ იცის ისტორია, ტერიტორიებიც წაგვართვეს და სარწმუნოებაც, თორემ აჭარა საქართველოში ქრისტიანობის უძველესი და ერთ-ერთი პირველი კერა იყო“, – ამბობს სოფლის მცხოვრები, ოთარ ფუტკარაძე. „57 წლის კაცი ვარ და ახლა რომ მოვინათლო, ჩემი თავის უპატივცემლობა იქნება, თორემ ჩემი შვილები და შვილიშვილები ქრისტიანებად მოინათლნენ და იმას აგრძელებენ, რასაც ჭეშმარიტი სარწმუნოება ჰქვია“, – ამბობს კიდევ ერთი აქარელი.

ტურის სახლის ფუნქციასაც ითავსებს. როგორც ზინა იხსენებს, დაახლოებით ერთი წლის წინ მეზობელი სოფლის, ქედას მცხოვრებლების ინიციატივით იქაურმა მოძღვარმა სამთანყაროში სიარული და წირვა დაიწყო: „ჯერ ისე ლოცულობდნენ-ხოლმე, მერე ხელ-ნელა ხატებიც მოიტანა, კანდელი ჩამოყიდა და ახლა სამლოცველო კუთხე გვაქვს. როგორც ჩანს, მუსლიმებსაც ამიტომ მოუნდათ თავისი სამლოცველოს გაკეთება თორემ აქამდე ქრისტიანებიც და მუსლიმებიც სახლში ლოცულობდნენ.“

მუსლიმებს სალოცვად შენობა „სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველომ“ გადასცა. ორსართულიანი შეულესავი შენობა კარებებისა და ფანჯრების გარეშე, მორდეული მავთულის მესერითა და ჩამონგრეული კიბის საფეხურებით. პირველ სართულზე კი მანანწალა ძალი მოკალათებულა თავისი ახალშობილი ლეკვებით. ადამ შანთაძე გვეუბნება, რომ ორგანიზაციას შენობა არ ყყიდია და მართლაც ადგილობრივმა მუსლიმმა აჩუქა. სამმართველოს ნარმომადგენლები ამბობენ, რომ სამლოცველოს გახსნის მოთხოვნა სოფლიდან წამოვიდა. ორგანიზაციაში სოფლის მცხოვრები 100 მუსლიმის ხელმოწერა შევიდა, სადაც სამლოცველოს გახსნას ითხოვდნენ და მათ ამ განცხადების საპასუხოდ გადაწყვიტეს სოფლელების დახმარება.

სოფელში ხელმოწერები იმამის, სულიკო ხოზევანიძის ინიციატივით შეგროვდა. „ლიბერალთან“ საუბრისას ის ამბობს, რომ ხელმოწერების შეგროვება მუსლიმთა სამმართველოდან სთხოვეს, რომ გაეგოთ რამდენი იყო მუსლიმური სამლოცველოს გახსნის მსურველი.

სოფლის მცხოვრებლები ამბობენ, რომ ცალკე სამლოცველოს მოთხოვნაზე არ მოუნერიათ ხელი. „ჩვენ გვითხრეთ – აი, ასე სახლში როგორც ვლოცულობთ, ეს რომ გავაგრძელოთ გინდათ თუ არაო – ამაზე მოვაწერე ხელი“, – ამბობს ოთარ ფუტკარაძე. სამთანყაროები სამმართველოს ნარმომადგენლებს სთხოვენ, აჩვენონ ხელმოწერები, სადაც სოფლელები ცალკე სამლოცველოს მოითხოვენ.

ინგილოებსა და მონათლულ აჭარლებს კი არ უნდათ სამლოცველო სახლის ცალკე არ-

სეპობა დაუშვან, რადგან შიშობენ, რომ მუს-ლიმთა სამმართველო თუ სხვა მუსლიმური რელიგიური ორგანიზაციები მის დაფინანსებას დაიწყებენ და ისლამს წაახალისებენ, ახლა, ბოლო 10 წელია აჭარლები მასობრივად ინათლებიან ქრისტიანულად და თუ გარემო ფაქტორები არ ჩაერევა, ეს ტენდენცია სოფლის სოვეტის ბუნებრივია. „სამლოცველო სახლი რომ გახსნან, მერე ამას გააფართოებენ. ახლა კიდევ 99% ქრისტიანულად ინათლება. პოლიტიკის ამბებს უფრო ჰგავს ეს ყველაფერი, თორებ ერთი კაცი ამას ვერ გააკეთებდა. მუსლიმთა სოფლები არსებობს და იქ არავის მოსვლია აზრად მეჩეთის და სამლოცველოს გაკეთება“, – ამბობს სოფლის მცხოვრები ახალგაზრდა.

სოფლელების განსაკუთრებული გაღიზანება მუსლიმთა სამმართველოს გამოყოფილ სამლოცველოში სხვა ორგანიზაციის, მუსლიმთა კავშირის წარმომადგენლების 31 მაისს ჩასვლამ გამოიწვია. მუსლიმთა კავშირის წარმომადგენლებს, სოფლელების მონათხრობით, სამარშუტო ტაქსებით მოყავდათ მუსლიმები სალოცავად სხვა ქალაქიდან. მოსახლეობამ სამარშუტო ტაქსებს გზა გადაუკეტა და სოფელში არ შეუშვა. ერთ-ერთმა სოფლელმა კი მანქანას ქვაც ესროლა. სოფელში ამბობენ, რომ ქვის სროლა არასწორი იყო და ეს ფორმა მათთვისაც არაა მოსაწონი, მაგრამ მედიამ მოვლენები არასწორად გააშუქა როცა სოფელში რელიგიურ დაპირისპირებაზე იყო საუბარი – თავად სოფლის მცხოვრებლები ერთობაზე და მათთვისაც არ დაპირისპირებან.

ზოგადად სოფლელები, მათ შორის, აჭარა-ლები, მუსლიმთა ორგანიზაციებისადმი უნდობლად არიან განწყობილი. „ამდენი ხანია აჭარელი ხალხი აქ ვართ ჩასახლებული. თუ ჩენი მოხედვა უნდოდათ, ამ დროის მანძილზე სად იყვნენ, გაეგოო რა გვიჰირდა. ახლა რომ მოდიან და ვითომ გვპატრიობენ, დაგვიტებონ თავი,“ – ამბობს ორმა ათაბაგი. ის მარტოხელა დედა და მეუღლის დალუკვის შემდევ ორ მცირენლოვან შვილს ზრდის. სხვა აჭარლებიც საყოფაცხოვრებო პრობლემზე საუბრობენ და უკვირთ, რომ მედიის და საზოგადოების უყრადღება სოფელმა ისეთი თემით მიიქცა, რასაც თავად არ მიიჩნევინ პრობლემად. „2

ნინის წინ ვერახები დაგვერწვა და პაერში დავრჩი. ერთი შევილი ავადა მყავს, 28 წლის გოგოს ხერხემალი დაუზიანდა და დამინვალიდდა, მეორეს ფარმაცევტულზე ვასწავლიდი. ვერახის დაწვის მერე ვეღარ გადავხადე სწავლის გადასახადი და შევაწყვეტინე სწავლა. დედა ვარ ახლა მე? მაგრამ რა ვერა...” „არავინ არ გრძიავრავს და არ გვავიწროებს, არც ლოცვას გვიმლიან ქრისტიანები და პატივის სცემენ ჩვენ სარწმუნოებას. სხვა პრობლემები კი თავზე საყარია“ „მაშინ სად იყვნენ უურნალისტები, 2011-ში 300 ჰექტარი მიწები რო გაგვიყიდეს უცხოელებზე, გზა არ გვაქვს, წყლის პრობლემებია“, – მხარს უბამენ სოფლელები ერთმანეთს. თუმცა იმასაც ყველა განიცდის, რომ მედიის ობიექტივში სოფელი „რელიგიური და-პირისპირების“ სახელით მოექცა. ქრისტიანები და მუსლიმები სოფლის გზაჯვარედინზე სა-ლამორმდე არიან შეკრძილები და მსჯელობენ, როგორ აირიღონ თავიდან სკანდალი. მუსლი-მები ამბობენ, რომ მუსლიმთა სამმართველოს გადაცემულ შენობაში თავად არ შევლენ სა-ლოცვად, მაგრამ რა გააკეთონ თუ სოფელში ისევ ჩამოვლენ სხვა მუსლიმური ორგანიზა-ციების წარმომადგენლები და მლოცველებს ჩამოიყანენ, როგორც 31-ში?! ზოგი მიჩრე-ვს, რომ ჩამოსულებს გზა უნდა გადაულობონ და სალოცავამდე არ შეუშვან, სხვები ამბობენ, რომ ამას მედია სკანდალისთვის გამოიყენებს, ჯობია შევიდნენ სამლოცველოში და თავისი თვალით ნახონ, რომ ცარიელია. აღლუვებული სოფლელები მხოლოდ შებინდებისას იძლე-ბან და თავიანთ ყოველდღიურ პრობლემებს უბრუნდებიან.

„ამდენი ხანია აქარელი
ხალხი აქ ვართ ჩასახლე-
ბული. თუ ჩვენი მოხედვა
უნდობდათ, ამ დროის მან-
ძილზე სად იყვნენ, გაეგოთ
რა გვიტირდა. ახლა რომ
მოღაან და ვითომ გვპა-
ტრონობენ, დაგვანებონ
თავი, – ამბობს ირმა ათა-
ბაგი. ის მარტოხელა დედაა
და მეუღლის დალუპესის
შემდეგ ორ მცირენწლოვან
შვილს ზრდის. სხვა აჭარ-
ლებიც საყოფაცხოვრებო
პრობლემებზე საუკრობენ
და უკვირთ, რომ მედიის და
საზოგადოების ყურადღება
სოფელმა ისეთი თემით
მიიქცა, რასაც თავად არ
მიიჩნევონ პრობლემად.



იღენდობის წარზებულება "თურქი ბაზაფხვები"

ავტორი: ვასო კუჭუხიძე, ფოტო: სეიმურ ქაზიმოვი

სტამბულში ტაქსიმის მოედანზე გეზის სკვერის გარეხვის წინააღმდეგ ეკოლოგისტების მიერ გამართული აქციის დარბევა სახალხო მღელვარებაში გადაიზარდა და პროცესებმა უმრთავი სახე მიიღო. მართალია, ხელისუფლება უკანასკნელი წლების განმა-

ვლობაში წარმატებით ახერხებდა არასასურველი დემონსტრაციების ძალის გამოყენებით დაშლას, მაგრამ ამჯერად ბუნებისდამცველთა მხარდასაჭერად გამოსული 200-მდე დემონსტრანტის დარბევამ ასობით ათასი მოქალაქე გამოიყვანა თურქეთის სხვადასხვა



დაპირისპირებას თურქეთის საზოგადო-ეროვ-პოლიტიკურ ცხოვრებაში საქმაოდ ღრმა ფესვები აქვს და პირდაპირ უკავშირდება ეროვნული იდენტობის ფორმირების პროცესს. დასავლურ და აღმოსავლურ ცივილიზაციებს შორის მომწყვდეული ქვეყანა დღემდე განიცდის იდენტობის კრიზისს. მთელი მეოცე საუკუნის განმავლობაში ორი რადიკალურად განსხვავებული ძალა, სეკულარისტ-ნაციონალისტები და კონსერვატორ-ისლამისტები ებრძოდნენ ერთმანეთს ახალი ეროვნული იდენტობის ფორმირების-თვის და ეს ბრძოლა ჯერ კიდევ არ დასრულებულა. კონფრონტაცია მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს, მაგრამ ძირითადი ხაზი გადის რელიგიასა და პოლიტიკაზე.

ქალაქის ქუჩებში. საპროტესტო აქციები და შეტაკებები პოლიციასთან უკვე ერთ კვირაზე მეტია გრძელდება და სულ უფრო ემსგავსება ტაპრირის მოედანზე მიმდინარე პროცესებს. შესაბამისად, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხებში უკვე დაუფარავად ალაპარაკდნენ „თურქულ გაზაფხულზე“.

არაბული გაზაფხულის მსგავსად თურქეთში მიმდინარე პროცესი კომპლექსური ხასიათის მატარებელია და ძირითადად პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური უკმაყოფილებით არის გამოწვეული, თუმცა ასევე მძლავრად შეიცავს იდენტობების შეჯახებისა და ფასეულობების შეუთავსებლობის ელემენტებს.

ახალი თურქული იდენტობის შექმნის პროცესში ათა თურქმა აქცენტი დასავლურ სეკულარიზმზე გააკეთა, რადგანაც მისი აზრით, ისლამი თურქეთს აღმოსავლეთით ექაჩებოდა. თანამედროვე „ლაიკ თურქ“ (ლაიცისტი თურქი), იგივე „პომო-ქემალი-კუსი“, უნდა ყოფილიყო ურელიგიო ადამიანი, რომლისთვისაც მთავარი ღირებულებები იქნებოდა პროგრესიზმი, მოდერნიზმი და ნაციონალიზმი. 1924 წელს ათა თურქის ბრძანებით გაუქმდა ხალიფატი და სულთანატი. ასევე გაუქმდა რელიგიური სასამართლოები და ტიტულები. თურქეთი კონსტიტუციურად გამოცხადდა სეკულარულ



Սաხելմնիոցուն. გարդա ամսա, գամերլոնիս արածուղուն լատոնուրնի გաճապանամ մոսախլեռնա մոնցպութա պյուրանսա და ისլամուր გազլենաս.

Ախալո օգունիոնս սաճարաջորնի սամերդրոն და սասամարտլոն սոսկըմանի մոմելուարյեծուղո յեմալուստքեն օգցնեն. ույու ուսոնո ჩատվլուն նեն, რոմ ելուսուցլուանի մոսյուլմա პոլուգուրմա პարტիամ աთա տուրքիս ցնաս გաճաշեցուա, սաხելմնիոց გաճաჭրուալյանից ար ույցանեն շուշան, րոցորուց յև մոխճա 1960, 1971, 1980 და 1997 նլութե. ույմբա յեմալուստքեն յրտ რամե- შի շեცდեն, մատո გատվլութե, კულტուրულ և սուլարութապուա პոլուգուրմա იսլամուստვուս սուպուալյուրո დասապրდეն սամուდամու շնდա გամուցալա, մագրամ პորոյիտ մոխճա, ելու- ցնուրաდ გաշրւելութե արագորմալյուրո (ტրագուիուն) ու ფորմալյուրո (կանոնյեն) նորմեბու ուրժյուլո մոսախլեռնիս დიდ նան-

լուստվուս մեռլու շնոშի ցամո ալմոհին და մո- սալցեն. პոլուգուրմա იսլամի կո იստակյե- շետեն օնցո ցամլուրեն. աხալո օգունիոնի մամա կո იսլամուստի մյածացեցելո ուղարկու ցաւուլա ցաւուն ոյցու.

2002 նյու ելուսուցլուանի մոսյուլմա იսլամուստքուրմա „սամարտլուանոնիս და ցա- ցութարյենի პարტիամ“ պյուրա նինամորթեց დი մտացրունի շեცდութեն ցատվալուսնոն და ցաւուն մեռլաֆյուրաც մուկուա. մատ մոյր շեյմենու პոլուգուրմա ուսոնո տուր- շյուլո մոდելո յարս ար ամბոბდա მოდեր- նութիւ, ույմცա արც րելուցուր կանսերցա- գութիւն մորդեბուდա. ուսոնո օմდենա ցարցա անցրեցեն րելուցու լուցերալութիւ մտան շետացենա, րոմ „իսլամուստի յալզունուստի ցաւու- დաც“ կո մունատլուն, րամաც ազգորդութարո յեմալուստքեն նինաալմდեց նրմունանի յա- մրացո մեարամիքու շեստնատ.



■ 2002 նվաճ եղանակությունը-
նամի մռայլմա և սլամիս-
տյուրմա „Տամարտունանքուսա
դա գանցուարյուն է նարդում“
պայմանագրեցու մտա-
շուանքուս շեփումնեցու գանտա-
լունունա դա ցուլունուս
մեարդակյաց մռայլոցա. մատ
մոյր շյումենու პոլուուր-
կարու և սլամիս տպակյուլու
մուզուլու պար ար ամեռածցա
մուզուրնուն մինչեւ, տպաւա ար պ
րունակուր կանայքա-
գուման մուրդյանցա. օսոնո
մուզուրնուն կարցա աներեսդ-
նեն բայուցու լուսակա-
լունուն շյուտացեաս, մոմ
„սլամիս կալունուն պա-
ծագաւ“ կա մռանատունեն,
բամաւ ավտորութարո
յեմալուսպանու նոնամուցաց
ծուանանա պարացու մեա-
դամյարու շյուտունատ.





„სამართლიანობისა და განვითარების პარტია“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგაც საკმაოდ ფრთხილი ნაბიჯებით მოქმედებდა და მხოლოდ მას შემდეგ გადავიდა შეტევაზე, რაც ძალაუფლების მთავარი მონიპოლისტი გახდა ქვეყანაში. 2007 წელს შეთქმულების ბრალდებით ერდოღანის პარტიამ მოწინააღმდეგე ძალის 300-მდე წევრი დააკავა, მათ შორის არმიის 27 გენერალი. ამით სერიოზული დარტყმა მიაყენა ქემალიტებს. 2010 წლის რეფერენცუმში გამარჯვებით კი სასამართლო სისტემაზეც გააურცელა საკუთარი გავლენა. ძალაუფლების ხელში სრულად ჩაგდების შემდეგ კი ერდოგანის გუნდი არანაკლებ ავტორიტარულ ძალად იქცა, ვიდრე ქემალისტები.

სწორედ აქედან დაიწყო ის პროცესები, რაც დღეს ტაქსიმის მოედანზე მინდინარეობს. ავტორიტარული მართვის სისტემა და ისლამისტური ლირებულებები არ არის ის, რასაც თურქული საზოგადოება ხელისუფლებისგან ელოდა. 11 წლის განმავლობაში მმართველმა გუნდმა უამრავ ადამიანს გაუცრუა იმედი და შექმნა ნიადაგი მოწი-

ნააღმდეგე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჯგუფების შექმნა-გაძლიერებისა. იდეოლოგიური განსხვავების გამო დღემდე ეს ძალები გაერთიანებას ვერ ახერხებდნენ, თუმცა ხელისუფლების მიერ გამოყენებულმა ძალადობამ ისინი ტაქსიმის ბარიკადებზე გვერდიგვერდ დააყენა და რეჟიმისთვის საშიშ ძალად აქცია.

დემონსტრაციებს შორის რამდენიმე ძალის გამოყოფა შეიძლება, მათ შორის არიან მემარცხენე თურქები, რომლებიც აღმშოთებით ადვენტიდნენ თვალყურს უკანასკნელ წლებში ქვეყანაში ქლასობრივი უთანასწორობის ზრდას, რაც თვალშისაცემი არ იყო ქემალისტების „უკლასო საზოგადოების“ დროს. ისინი ასევე ენინააღმდეგებოდნენ სამოქალაქო ცხოვრებაში რელიგიური ელემენტების გაძლიერებას, თუმცა საკუთარი რიგების სიმცირისა და რეჟიმის მხრიდან დიდი ზენოლის გამო მასობრივ პროტესტს ვერ გამოხატავდნენ. დღეს კი, რადგანაც გეზას სკვერის ადგილას საგაჭრო ცენტრის აგება იგეგმება, მემარცხენებმა ხელისუფლება მსხვილი ბიძნესის სასარგებლოდ



■ დემონსტრაციებს შორის ასევე მრავლად არიან წარმოდგენილი თურქი ლაბერალებიც, რომლებიც არ აპირებენ შეურიგდნენ უკანასკნელი წლების განმავლობაში საზოგადოებრივი ინსტიტუტებზე ხელისუფლების მხრიდან განხორციელებულ ზეწოლას, ადამიანის უფლებების დარღვევის ტენდენციის ზრდას, პოლიტიკურ დენარის და ჟურნალისტთა დაპატიმრებებს. ჟურნალისტთა დაცვის საერთაშორისო კომიტეტის მონაცემებით დღეს თურქეთში მეტი ჟურნალისტია დაპატიმრებული, ვიდრე ჩინეთსა და ირანში.

■ როული სათქმელია, რა განვითარება ექნება ექნება მოვლენებს და რითი დას-რულდება ეს ყველაზერი, თუმცა ერთი რამის თქმა დანამდვილებით შეიძლება, თურქული საზოგადოების დიდი ნაწილი ჯერ კიდევ არ არის მზად „თურქული გაზაფხულისთვის“, რადგანაც იდენტობის კრიზისში მყოფმა უბრალოდ არ იცის მხარი რომელ ძალას დაუჭიროს.

საკუთარი მოსახლეობის დარბევაში დაადანაშაულეს და საკმაოდ აქტიურად ჩაებინენ საპროტესტო გამოსვლებში.

დემონსტრანტებს შორის ასევე მრავლად არიან წარმოდგენილი თურქი ლიბერალებიც, რომლებიც არ აპირებენ შეურიგდნენ უკანასკნელი წლების განმავლობაში საზოგადოებრივ ინსტიტუტებზე ხელისუფლების მხრიდან განხორციელებულ ზენოლას, ადამიანის უფლებების დარღვევის ტენდენციის ზრდას, პოლიტიკურ დევნას და უურნალისტთა დაპატიმრებებს. უურნალისტთა დაცვის საერთაშორისო კომიტეტის მონაცემებით დღეს თურქეთში მეტი უურნალისტია დაპატიმრებული, ვიდრე ჩინეთსა და ირანში.

აქვე არიან სეკულარისტ-ქრისტიანის მხარდამჭერები, რომლებიც დიდი ქალაქების მოსახლეობის საშუალო ფენის ძირითად ნაწილს წარმოადგენენ. ხელისუფლების მხრიდან დევნის მიუხედავად, ისინი ინარჩუნებენ გავლენას ჯარის საშუალო და ქვედა იერარქიებზე. ამის ნათელი მაგალითია, რამდენიმე დღის წინ მომხდარი შემთხვევა, როდესაც ქალაქ ჰართამი დემონსტრანტების გარშემო სამხედროები განლაგდნენ და პოლიციას მათი დარშევის საშუალება არ მისცეს. ცრემლსადენი გაზის გაშვების შემთხვევაში კი პოლიციას ცეცხლის გახსნით დაემუქრნენ.

დემონსტრანტებს შორის ასევე არიან ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლები. ისინი ენინააღმდეგებოდნენ ათა თურქის „პომოგენური თურქული საზოგადოების“ შექმნის იდეას და ცვლილებების მოლოდინით მათმა დიდმა ნაწილმა სწორედ „სამართლიანობისა და განვითარების პარტიას“ დაუჭირა მხარი, მაგრამ ერდოლანის მთავრობამ არანაკლები რეპრესიები დაატეხა თავს.

და რაც მთავარია, მათ შორის იყო ბევრი სტუდენტი და უბრალო მოქალაქე, რომლებიც არცერთ პოლიტიკურ ძალას არ მიეკუთვნებიან, მაგრამ აღლევებთ ქვეყანაში მიმდინარე პროცესები, ხელისუფლებიდან მომდინარე ძალადობა, პოლიტიკური ისლამის გაძლიერება, ცენზურა, ალკოჰოლის მოხმარებაზე შეზღუდვების დაწესება და ა.შ.

დღეს უკვე დემონსტრანტთა მთავარ მოთხოვნას ხელისუფლების გადადგომა წარმოადგენს და სოციალურ ქსელების წყალობით ანტისახელისუფლებო მუხტი ქვეყანაში ყოველდღიურად ძლიერდება, რასაც თავის მხრივ მმართველი რეჟიმის მიერ გატარებული არადეკვაციური ზომებიც უწყობს ხელს. სამართალდამცავების მიერ გადამეტებული ძალის გამოყენება, რამაც რამდენიმე დემონსტრანტის სიცოცხლეც კი შეინირა, თურქულ საზოგადოებაში გამომსვლელთა მიმართ სოლიდარობას ზრდის. ათასობით მოქალაქე ამარაგებს დემონსტრანტებს საკვებითა და თავშესაფრით, გარდა ამისა, ბარიკადებზე მდგომთა რიგები დღითიდლე ივსება.

თავის მხრივ, უკან დახევას არც ხელისუფლება აპირებს და ამას რამდენიმე-ჯერ საჯაროდ გაუსვა ხაზი ერთოდანმა. დემონსტრანტთა წინააღმდეგ პრძოლაში რეჟიმის ერთ-ერთ მთავარ იარაღს მის ხელში მოქცეული სატელევიზიო მედია წარმოადგენს, რომელიც მაქსიმალურად ცდილობს გამოსვლებს ანტისახელმწიფოებრივი ხასიათი შესძინოს და პარალელურად ხაზს უსვამს უკანასკნელი წლების განმავლობაში ქვეყანაში წარმატებით მიმდინარე ეკონომიკური ზრდისა და მოდერნიზაციის პროცესს, რადგანაც სწორედ რომ ეკონომიკური აღმასვლაა ის, რაც ჯერ კიდევ ბევრ თურქს ხელისუფლების მხარდამჭერთა რიგებში ამყოფებს. დემონსტრანტთა ხელში არსებულ მთავარ იარაღს, სოციალურ ქსელებს, კი რეჟიმი მკაცრი კონტროლისა და შეზღუდვის რეჟიმში ამყოფებს, ასევე დიდ ზენოლას განიცდის პრესის დამოუკიდებელი საშუალებებიც.

როული სათქმელია, რა განვითარება ექნება მოვლენებს და რითი დასრულდება ეს ყველაფერი, თუმცა ერთი რამის თქმა დანამდვილებით შეიძლება, თურქული საზოგადოების დიდი ნაწილი ჯერ კიდევ არ არის მზად „თურქული გაზაფხულისთვის“, რადგანაც იდენტობის კრიზისში მყოფმა უბრალოდ არ იცის მხარი რომელ ძალას დაუჭიროს. ც.



galoba.org.ge



galoba.org.ge



გაუზიარეთა ორგანიზაცია...

ანზორ ერძომაიშვილია, ლექსო თორაძემ და ვანო ჩხარტიშვილია ფონდი „ქართული გალობა“ დააფუძნეს

ახლადდარსებული ფონდი „ქართული გალობა“ ხალ-
ხური შემოქმედების პოპულარიზაციას ემსახურება. მის
საქმიანობაში განსაკუთრებული ადგილი ექნება ტრადიცი-
ული გალობისა და სიმღერის მეცნიერებულ პლეივას, უძე-
ლესი ნიმუშებისა და ჩანაწერების მოძიება-აღმენას. ამის
შემდეგ კი შესაბამისი აუდიო, ვიდეო და ელექტრონული
ვერსიები გამოიცემა. ფონდი ხელს შეუწყობს ამ მიმართუ-
ლებით კონფერენციების, სემინარებისა და სხვა სამუშაო
შეხვედრების გამართვას.

ფონდისთვის პრიორიტეტული იქნება ტრადიციული მუ-
სიკის შესწავლა, ლოტბართა და რეგენტთა დასაქმებისთვის
ხელშეწყობა, განსაკუთრებით, საზღვარგარეთ ქართულ ეკ-
ლესიერთან სამრევლო სკოლებისა და გალობის ცენტრების
შექმნა. ქართული ხალხური სიმღერისა და გალობის პოპუ-
ლარიზაციისთვის ფონდი საქართველოსა და უცხოეთში
კონცერტების, საღამოებისა და ფესტივალების ორგანიზებას
შეუწყობს ხელს, რომელშიც ქართული გუნდები მიიღებნ მო-
ნაწილეობას. ფონდი ანალოგიური ფესტივალების გამართ-
ვას საქართველოში გეგმავს. იგი ხელს შეუწყობს რეგიონებ-
ში ტრადიციული მუსიკის აღორძინებას.

ფონდი „ქართული გალობა“ ტრადიციული მუსიკით და-
ინტერესებულ ყველა ორგანიზაციასთან და პირთახ ითა-
ნამშრომელებს, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგ-
ლებს გარეთ.

ფონდი სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრი-
არქის, უწმინდესისა და უნეტარესი ილია II-ის ლოცვა-კურ-
თხევით ბიზნესმენმა ვანო ჩხარტიშვილმა დააფუძნა. იგი

წლების განმავლობაში ხელს უწყობს ტრადიციული გალო-
ბისა და სიმღერის პოპულარიზაციას. მისი თანადგომით
2006 წელს დაფუძნდა საეკლესიო გალობისა და ხალხუ-
რი სიმღერის უმაღლესი სასწავლებლები, რომლებიც მა-
ღალკალიფიციურ რეგენტებსა და ლოტბარებს ამზადებს.
გაიხსნა - სკოლები ობურგეთსა და სტეფანწმინდაში, ტიხ-
რული მინანქრის სახელოსნო - სნოში, სამრევლო სკოლა
- ლონდონში, აიგო ტაძარი ობურგეთში. ასევე, დაფინანს-
და არაერთი კონცერტი და ფესტივალი, გამოიცა არაერთი
წიგნი და აუდიო პროდუქცია ტრადიციული მუსიკის, საქარ-
თველოს ისტორიისა და კულტურის საკითხებზე.

ფონდის საბჭოს წევრები ლექსო თორაძე და ანზორ ერ-
ქომაიშვილი არიან. ფონდის საპატიო პრეზიდენტია სრუ-
ლიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი
და უნეტარესი ილია II. მისი აღმასრულებელი დირექტორი
ნანა გოთუაა. ფონდის პროგრამების ხელმძღვანელები კი
- გიორგი დონაძე, სვიმონ ჯანგულაშვილი და ბადრი ბერა-
ია.

ფონდის შექმნასთან დაკავშირებით 2013 წლის 11 ივ-
ნის რუსთაველის თეატრში საზეიმო კონცერტი „ქართული
ხალხური სიმღერა - კაცობრიობის საგანძური“ გაიმართე-
ბა. ეს ფონდის პირველი ღონისძიებაა და მასში მონაწი-
ლეობას საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოწვევული
ქართული ტრადიციული შემოქმედების ყველაზე გამორ-
ჩეული ოსტატები მიიღებენ. ფონდი „ქართული გალობა“
ღვაწლმოსილ ადამიანებს საპატიო ჰილდორებსა და ფუ-
ლად პრემიებს გასცემს.

სამნივნო პატიმჩობა ინტენციული ვისტაბეჭდის


4 ივნისს პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა ხელი მოაწერა პარლამენტის მიერ მიღებულ კანონპროექტს, რომელიც ინტერნეტით გამოთქმულ ცილისმწამებლურ თუ შეურაცხმყოფელ განცხადებებს და ფრაზებს კანონსაწინაამღებები აცხადებს.

სეიმურ ქაზიმოვი

აზერბაიჯანის პარლამენტმა ქვეყნის კანონმდებლობაში ცვლილებები შეიტანა, რომელთა თანახმად, ინტერნეტით გამოთქმულ მოსაზრებებსა და კომენტარებში, თუ ისინი ცილისწამების ელემენტებს შეიცავს, სისხლის სამართლის სასკელია გათვალისწინებული. ოპოზიციის აქტივისტები ამ ცვლილებაში იქტომბრის არჩევნებისწინა დებატების კონტროლირების მცდელობას ხედავენ.

აზერბაიჯანში ცილისწამება სისხლის სამართლის დანაშაულადაა მიჩნეული, რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანები შეიძლება საკუთარი კომენტარებისათვის დაისაჯონ. სოციალურ ქსელებზე ამგვარი კონტროლის დაწესება ძალზე აშფოთებთ აქტივისტებს, რომლებიც ფეისბუქს და სხვა საიტებს საპროტესტო მოძრაობის სამართავად და მისი ორგანიზებისთვის იყენებენ.

პარლამენტში განსახილველად შეტანილი პროექტი სასკელის ოთხ დონეს ითვალისწინებს: 100-500 მანათის ოდენობის ჯარიმას, 240 საათიან საზოგადოებრივი სამუშაოს შესრულებას, შრომა-გასწორებითი სამუშაოს ექვსთვიან პატიმრობას. პარლამენტმა ასევე დაადგინა „ადმინისტრაციული სასჯელის“ პერიოდის ხანგრძლივობა



ისეთი „მცირე შეურაცხყოფისთვის“, როგორიცაა უნებართვო დემონსტრაციები მონაწილეობა – 15 დღიდან სამ თვემდე.

ზოთუათ ასკაროვი, პარლამენტის ვიცე-პრემიერი ამბობს, რომ ეს ცვლილებები ძალზე მნიშვნელოვანია. „ჩვენს ქვეყანაში შეურაცხყოფა ადამიანის ღირსების საქმეა“, თქვა მან, – „თუ პირი, ვინც სხვებს შეურაცხყოფს, არ დაისაჯა, შეიძლება

სისხლიც კი დაიღვაროს.“ ამ მოსაზრებას არ ეთანხმებიან უურნალისტები და აქტივისტები. ისინი აცხადებენ, რომ კანონმდებლობაში შეტანილი დანართები არააირ ლოგიკას არ ექვემდებარება და საზიანოა სიტყვის თავისუფლებისთვის.

„თუ ერთი ადამიანი მეორეს შეურაცხყოფს, მაგრამ სხვა ქვეყანაში ცხოვრობს, მაშინ ასეთი პიროვნება როგორ უნდა დაისაჯონ? მაშაადამე, დაისჯება მხოლოდ ის, ვინც ბაქოში ცხოვრობს. კანონის წინაშე პასუხს ის აგებს, ვინც აქ ცხოვრობს, უცხოეთში მცხოვრები პირი კი დაუსჯელი რჩება,“ – ამბობს ჩინგიზ სულთანსოი, „რადიო თავისუფლების“ თანამშრომელი, „ესეც რომ არა, არას ხალხი, ვინც სოციალურ ქსელებში საკუთარი სახელით არაა დარეგისტრირებული და არც საკუთარ ფოტოებს აქვეყნებს. მაშინ ისმის კითხვა, ასეთების მოხელებას როგორ აპირებენ?“ მისი თქმით, კანონში ამგვარი ცვლილების შეტანის ნამდვილი მიზეზი ინტერნეტში გამოთქმული კრიტიკული შეხდულებების შეზღუდვაა. „ვიღაცისთვის ეს ჩვეულებრივი კრიტიკაა, ვიღაცას კი მისდამი მიმართულ შეურაცხყოფად მოეჩვენება და კრიტიკული ფრაზის ავტორი დაისჯება. მაგრამ საინტერესოა, როგორ აპირებს სახელმწიფო ამ-

დენი ნაწერის კონტროლირებას, როცა
ინტერნეტმომხმარებლების ოფენბარა
დღითიდღე იზრდება?“ – კითხულობს
სულთანსო.

„რეპორტიონრების თავისუფლები-
სა და უსაფრთხოების ინსტიტუტმა“
(IRFS), რომელიც უურნალისტების
უფლებებს იცავს, მძაფრად დაგმო
ახალი ცვლილებები. ინსტიტუტის
განცხადებაში ნათქვამია, რომ მათი
დაკანონიერა საარჩევნო დებატების
ჩაცხრობისთვის იყო გამიზნული.
„სისხლის სამართლის კანონმდებლო-
ბაში ამ დანართების შეტანა, რომლე-
ბიც დღეს პარლამენტმა დააკანონა,
აღმაშფოთებელი პოლიტიკური ნაბი-
ჯი იყო, ადამიანებისთვის ინტერნე-
ტით სარგებლობის თავისუფლების
წარმოევის სულმდაბალი მცდელობა
წინასწერების ვითარების ხელოვნურად
ჩაწყნარების ფონზე“, – განაცხადა
ინსტიტუტის დირექტორმა ემინ ჰუ-
სეინოვმა.

„რეპორტიორების თავისუფლებისა და უსაფრთხოების ინსტიტუტი“ და სიტყვის თავისუფლების სხვა დამცველები დიდი ხანია აზერბაიჯანის ხელისუფლებას მოუწოდებენ, ევროპის ბევრ სხვა სახელმწიფოებს მიბაძონ და ცილისნამების დეკრიმინალიზაცია მოახდინონ, ამგვარად, ადამიანებს საშუალება მისცენ, ერთმანეთთან ურთიერთობა სახელმწიფოსა და პროკურატურის ჩაურევლად მოაგვარონ. ევროპულ სახელმწიფოებს შორის მხოლოდ ბელორუსს აქვს მსგავსი კანონი, რომლის ძალითაც ცილისნამება სისხლის სამართლის დანაშაულადაა მიჩნეული. „ეს საკითხი სომხეთმა და საქართველომაც კი მოაგვარა, მაშინ რატომ გვგონია, რომ ჩვენი საზოგადოება არაა ამისთვის მზად?“ კითხულობს არით ალიევი, ორგანიზაციის „ახალი თაობის უურნალისტები“-ის ხელმძღვანელი. „აზერბაიჯანის მთავრობა აცხადებს, რომ ინტერნეტის თავისუფლების შეზღუდვას არ აპირე-

ბს, მაგრამ სინამდვილეში სულ სხვა გვარადაა საქმე.“

Ծլողցըրո յմուլ ծալորովո զր ամօռ-
ծես, րոմ աթալ պալուղեցին ար շեյշին-
դքան. „Տայլ Կողէտա ხանօ, աճամիանեցիմա
ոնցուրնեցիս ճա և սուբալուրո յիշլուցիս
մշևաճլուցուցին գամոցյենքա ճանիցյու-
ճա մտաշրութա և սնորհը յը աճարժցքիս“,
– տյշա մեն. „Մշյուրակեպոյուս մոմերյ առ
զար, արւ օնցուրնեցիտ ճա արւ պետ-
չորցինամո, մյ տայտոնաց, իյմիս ծլողցըրո
աճամիանյին արասագրու մշյուրակեպոյուց,
մացրամ տոյսո ամ պալուղեցին մշյու-
լունայնեցւող թօցո մոտելու ամոյրուցան

**■ აზერბაიჯანში ცილისწამება
სისხლის სამართლის
დანაშაულადაა მიჩნეული,
რაც იმას ნიშნავს, რომ
ადამიანები შეიძლება საკუთარი
კომენტარებისათვის დაისავონ.
სოციალურ ქსელებზე ამგვარი
კონტროლის დაწესება ძალზე
აშფოთებთ აქტივისტებს,
რომელიც ფეისბუქს და
სხვა საიტებს საპროტესტო
მოძრაობის სამართვად და მისი
ორგანიზებისთვის იყენებენ.**

კრიტიკას შეურაცხყოფად აღიქვამს, მე ვერაფერს გავაწყობ.“

აზერბაიჯანის საერთაშორისო პარტნიორობის ჯგუფი, გაერთიანება, რომელიც ისეთ ორგანიზაციებს მოიცავს, რომორებიცაა საერთაშორისო პენ-ცენტრი, „მე-19 მუხლი“, ნორვეგიის ჰელსინქის ჯგუფი, „ფრიდომ პარტია“ და სხვანი საერთაშორისო თანამეგობრობას მოუწოდებენ, კანონმდებლობაში შეტანილი ამ ცვლილების

გამო პაქოზე ზენოლა მოახდინონ.

„ახლა, როცა ოქტომბრის არჩევ-
ნებამდე სულ რამდენიმე თვე დარჩა,
ხელისუფლებას, როგორც ჩანს, გა-
დაწყვეტილი აქვს, რეზიმის კრიტიკა,
მათ შორის ინტერნეტით განცხადებუ-
ლი კრიტიკა ისე აღვეთოს, როგორც
აქამდე არასდროს გაუბედავს. უურ-
ნალისტებისთვის გამოხატვის თავი-
სუფლების სივრცე დღილიდღე იზღუ-
დება და მცირდება, ბლოგერები და
ოპოზიციის აქტივისტები სულ უფრო
მეტად ექცევიან წნეხევეშ, რისთვისაც
გამოიყენება სულ უფრო და უფრო
რეპრესიული კანონები, ხელისუფლე-
ბა არ ერიდება დაპატიმრებას, ფიზი-
კურ თავდასხმას და ცილისნამების
კამპანიებს,“ – ნათქვამია ორგანიზა-
ციის განცხადებაში, „საერთაშორისო
თანამეგობრობამ სასწრაფოდ უნდა
აიძულოს აზერბაიჯანის მთავრობა,
დაიცვას სიტყვისა და გამოხატვის –
მათ შორის, ინტერნეტითაც, თავი-
სუფლება, და ისეთი საკანონმდებლო
რეფორმები გაატაროს, რომელიც ამ
ამოცანებს შეესატვისება.“

4 ივნისს პრეზიდენტმა ილჰამ ალიევ-მა ხელი მოაწერა პარლამენტის მიერ მიღებულ კანონპროექტს, რომელიც ინტერნეტით გამოთქმულ ცილისმანამებლურ თუ შეურაცხყოფელ განცხადებებს და ფრაზებს კანონსაწინაამღადევოდ აცხადებს. ამ კანონის თანახმად შესაძლებელი ხდება სისხლის სამართლის დევნის დაწყება იმ აქტივისტების წინააღმდეგ, რომლებიც მსგავს გამონათქმებს ინტერნეტით გაავრცელებენ. კანონი მათთვის მაქსიმალურ სასკელად სამწლიან პატიმრობას ითვალისწინებს. **■**



მთავარი თემა



ფოტო ლევან გერებეგაძე

13 მაისს ავღანეთში დაღუპული სამი მეომრის სამოქალაქო
პანაშვილი ქაშუეთის ტაძარში, თბილისი, 16 მაისი 2013



ჩვენი სხვისი ომი

ავღანეთში ქართულ სამხედრო ბაზაზე განხორციელებული ტერაქტის შესახებ 6 ივნისის საღამოს გავრცელებულმა ცნობებმა უსწრაფესად დაიპყრო საინფორმაციო სივრცე. ამ დღეს ავღანეთში დალუპულ სამხედროთა რიცხვი 29-მდე გაიზარდა. ISAF-ის მისიაში დღეისთვის 1560-ზე მეტი ქართველი მონაწილეობს.

ირაკლი აბსანძე

ავღანეთში 6 ივნისს დალუპული 7 ქართველი ჯარისკაცის ოჯახებს ყველაზე პირველად ჯეიმს აპატურამ საკუთარი ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე მიუსამძიმრა. ქართულ მედიაში ამ მოქლე სამძიმრის სწრაფმა გავრცელებამ თავდაცვის სამინისტრო ცაიტნოტში ჩააყენა – მათ 21.00 საათზე საგანგებო ბრიფინგი დაანონსეს.

შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსმა, ირაკლი ძნელაძემ ავღანეთის ჰელმანდის პროვინციაში 7 ქართვე-

ლი ჯარისკაცის დალუპვისა და 9-ის დაჭრის შესახებ ოფიციალური ინფორმაცია მხოლოდ 21.44 საათზე გაავრცელა. მანამდე ყველა ქართული სააგნენტო წერდა სავარაუდო ტერაქტის და 5-დან 7-მდე მსხვერპლის თაობაზე.

ძნელი წარმოსადგენი არ არის, რა ჯოვონეთური წუთები გადაიტანეს ამ გაურკვევლობაში ავღანეთში მებრძოლი ჯარისკაცების ოჯახის წევრებმა და ახლობლებმა. ექვსში სალამოსვე გაირკვა, რომ ტრაგედია თვითმკვლელი ტერორისტის მიერ ბაზასთან სატვირთო მანქანის აფეთქებას მოჰყევა. თავდაპირველად სამინისტრო 6 დალუპულ ჯარისკაცზე საუბრობდა, თუმცა მოგვიანებით დააზუსტა, რომ კიდევ ერთი ჯარისკაცი, რომელსაც წანგრევებში ეძებდნენ, გარდაცვლილი იპოვეს.

პრეზიდენტმა სააკაშვილმა იმავე სალამოს პირდაპირ ეთერში მოწეამდიმრა დალუპულთა ოჯახებს და 7 ივნისი გლოვის დღედ გამოაცხადა. პრემიერმა ივანიშვილმა ჯერ წერილობითი მიმართვა გაავრცელა, მეორე დღეს კი ტელევიზიონთაც მიმართა მოსახლეობას. ტერაქტზე პასუხისმგებლობა მოძრაობა თაღიანმა აიღო.

6 ივნისის თავდასხმის დროს დაიღუპნენ საქართველოს შეიარაღებული ძალების მეოთხე ქვეითი ბრიგადის 42-ე მსუბუქი ქვეითი ბატალიონის სამხედრო მოსამასურეები: კაპრალი – თემურაზ ორთავიძე (25 წლის); კაპრალი – გიორგი ადამიოვი (23 წლის); პირველი კლასის რიგითი – ზურაბ გურგენაშვილი (32 წლის); რიგითი – მიხეილ ნარინდოშვილი (26 წლის); კაპრალი – ბორის ცუგოშვილი (29 წლის); პირველი კლასის რიგითი – ზეიად სულხანიშვილი (22 წლის); პირველი კლასის რიგითი – გიორგი ლუქაშვილი (21 წლის, ამ უკანასკნელის ცხედარი წანგრევებში აღმოაჩინეს).

ამით ISAF-ის მისიაში დალუპული ქართველი ჯარისკაცების რიცხვი 29-მდე გაიზარდა. ბოლოს 3 ქართველი ჯარისკაცი 13 აპრილს, იმავე ჰელმანდის პროვინციაში, სამხედრო ბაზაზე თვითმკვლელი ტერორისტისა და მეამბოხეთა ჯგუფის მიერ განხორციელებული იერიშის შედეგად გარდაიცვალა.

■ ძნელი წარმოსადგენი
არ არის, რა ჯოვონეთური წუთები გადაიტანეს ამ გაურკვევლობაში ავღანეთში მებრძოლი ჯარისკაცების ოჯახის წევრებმა და ახლობლებმა. ექვსში სალამოსვე გაირკვა, რომ ტრაგედია თვითმკვლელი ტერორისტის მიერ ბაზასთან სატვირთო მანქანის აფეთქებას მოჰყევა. თავდაპირველად სამინისტრო 6 დალუპულ ჯარისკაცზე საუბრობდა, თუმცა მოგვიანებით დააზუსტა, რომ კიდევ ერთი ჯარისკაცი, რომელსაც წანგრევებში ეძებდნენ, გარდაცვლილი იპოვეს.

რადიო „თავისუფლების“ საერთაშორისო მიმომხილველი კობა ლიკლიკაძე გახშირებული მსხვერპლს ასე ხსნის: „მთავარი მიზეზი მაინც ის მგონია, რომ თალიბანმა ზუსტად აპრილის დასაწყისში გამოაცხადა კოალიციურ ძალებზე ნადირობის ახალი სეზონი. ამ დროს კი 600 კაცით გაზრდილი ქვედანაყოფი ჩავიდა ჰელმანდის პროვინციაში, ყველაზე ცხარე ბრძოლების ეპიცენტრში. თან ჩავიდა ხელისუფლების გაუთავებელი ტრაბაზის ფონზე. მე მგონი ამ ჰიპერაქტიულმა, მეტნილად საკუთარი თავის წარმოჩენისკენ მიმართულმა პიარმა, თუ „სპინმა“ მიაქცევინა ყურადღება ავღანელ ექსტრემისტებს, რომლებმაც ნადირობის თბილებითა სიაში აშკარაა რომ ქართველი სამხედროებიც შეიყვანეს. ლირს აღინიშნოს, რომ 6 ივნისს მომხდარ სისხლიან თავდასხმაზე პასუხისმგებლობა პარასკევს თალიბანმა აიღო.“

„ – ავტომატი მოარტყი პირდაპირ?

– ჰო.

– და ეგრევე ორი დააწვინე თუ სამი?

– ოთხი იყვნენ სულ.

– არა, არა, ოთხი იყვნენ თავიდან, მაგრამ შენ რამდენი დააწვინე? შენ სამი დააწვინე?

– ჰო.

– მეოთხე ვინ მოკლა?

– ბავშვებმა ესროლეს. აი, ამან ესროლა.“

პრეზიდენტ სააკაშვილსა და სამხედრო ოფიცერს შორის შემდგარი ეს დიალოგი რუსთავი 2-ის გადაცემა P.S.-ში 26 მაისს გავრცელდა. კადრში მიხეილ სააკაშვილი და მისი უფროსი ვაჟი ჩანან. სუფრა, რომელსაც ისინი სამხედროებთან ერთად უსხედან, თეთრი გადასაფარებლით, წითელი ხელსახოცებითა და საქართველოს სახელმწიფო დროშებითაა მორთული. პრეზიდენტის ვაჟი პამბურგერს მიირთმევს. სააკაშვილთან მოსაუბრე ოფიცერი მის გვერდით მჯდომარეობაზე ჯარისკაცს თავზე ხელს უსვამს და ამით პასუხიბს სააკაშვილის შეკითხვას – ვინ მოკლა ბაზაზე შემოჭრილი მეოთხე თალიბანი.

„საქართველოს უურნალისტური ეთიკის ქარტია მიიჩნევს, რომ ავღანეთში მყოფი ქართველი სამხედროების უსაფრთხოებიდან გამომდინარე მსგავსი ვიდეო ფრაგმენტის

ეთერში გაშვება დაუშვებელია, რადგან ის ამჟღავნებს სამხედრო ოპერაციის დეტალებს მასში უშუალოდ მონაწილე პირების იდენტიფიცირებით. ამას დაადასტურებენ ქართველი სამხედრო უზრნალისტებიც, ვისაც უკვე ჰქონია ავღანეთში მუშაობის პრაქტიკა. მითომეტეს იმ პირობებში, როდესაც პოლო პერიოდის გახშირებული თავდასხმების შედეგად ქვეყანა კიდევ 3 სამხედრო დაკარგა, “— ვკითხულობთ საქართველოს უზრნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს მიერ 27 მაისს გავრცელებულ განცხადებაში.

მას შემდეგ, რაც გასულ შემოდგომაზე ავღანეთში მივლინებული სამხედროების რიცხვი თითქმის გააორმაგა (ISAF-ის მისიაში დღეისათვის 1560-ზე მეტი ქართველი მონაწილეობს) საქართველო სამხედრო ძალების კონტრიბუტორი ყველაზე მსხვილი ქვეყანა გახდა ნატოს არაწევრ სახელმწიფოებს შორის. საქართველოს ორი ბატალიონი ჰყავს ჰქონიანდის პროვინციაში და დაახლოებით 50-მდე ჯარისკაცი - ქაბულში.

ბოლო ტრაგედიამ სოციალურ ქსელებში ანტი-ნატო რიტორიკის მორიგი ტალღა ააგორა. პარასკევს ფეისბუქზე ქუთაისასა და თბილისში დაანონსდა აქცია ავღანეთიდან ქართველი სამხედროების გამოყვანის მოთხოვნით. საღამომდე გაირკვა, რომ პარლამენტის ძველ და ახალ შენობებთან თითო ორგანიზაციონის გარდა, არავინ მისულა.

კობა ლიკლიკაძე „ლებარალის“ შეკითხვას საზოგადოებაში ნატოს საწინააღმდეგო განწყობაზე ასე პასუხობს: „ეს არ იქნება სწორი ვექტორი! ნატოს სარდლობა არაფერ შეუძინა არ არის. საქართველოს ყოფილი ხელისუფლება 2007 წლიდან სხვადასხვა საერთაშორისო ტრიბუნიდან თავად მოითხოვდა ჯარისკაცების გაზავნას ჰქონიანდში. წინა ხელისუფლების ცალმხრივი გადაწყვეტილებით მოხდა ქვედანაყოფის გაზრდა 1600-ჯარისკაცამდე. ამიტომ პროტესტის სამიზნე, მევფიქრობ, ხელისუფლება უნდა იყოს. ისე კი, გლოვას პროტესტი არ უხდება. ჯერ დაღუპული ჯარისკაცები უნდა დაიკრძალოს ლირსეულად. შემდეგ კი მშვიდად და აკადემიურ ვითარებაში და სტრატეგიულ მოკავშირეებთან კონსულტაციებით უნდა მოხდეს იმის

■ „რისკები შემცირდება მხოლოდ მაშინ, როდესაც თავისუფალი სამყარო, დემოკრატიული სამყარო, გაიმარჯვებს ტერორიზმზე, ტერორისტებზე, მოძალაუფლებზე, ადამიანებზე, რომელსაც არც საკუთარი არის იმის მიზანი და მიმდევით ავღანეთში, სწორედ იმიტომ მონაწილეობს ამოპერაციაში დემოკრატიული სამყარო, რომ ტერორობმი და ის იდეოლოგია, რომელიც მას კვეთს უნდა დამარცხდეს, სხვა შემთხვევაში რისკები იქნება გაცილებით დიდი... ჩვენ გვაქვს ორი არჩევანი, ან თავისუფალ მსოფლიოს-თან ერთად ვებრძოლოთ ტერორიზმს ან ალემოჩ-დებით თავად ჩართული დაჩირქეული ამ უბედურებაში ... ეს არც რუსეთთან ურთიერთობაში დაგვეხმარება. თუ ჩვენ ნატოსკენ სწრაფვაზე უარი ვთქვით, რუსეთი მოჰლ დანარჩენ ტერიტორიას მიითვისებს.“

გარკვევა, თუ რა დამატებითი ზომები უნდა იქნას მიღებული, შემდგომში მსხვერპლის თავიდან ასაცილებლად. ქვედანაყოფის შემცირება უკვე ალბათ აღარ გამოვა. ეს ძალიან გაართულებს აისაფის სარდლობის ამოცანებს. მაგრამ შეიძლება კორექტირება, მაგალითად იმავე ბატალიონის თუნდაც უფრო უხილუათო ზონაში გადაყვანა, რაც არაერთხელ გაუკეთებიათ ანალოგიურ ვითარებაში ბრიტანული თუ ამერიკული ჯარების სარდლობას ავღანეთში.“

პარასკევ საღამოს, ეკა ბერიძის, „მთავარ კითხვაში“ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა დაადასტურა, რომ სახელმწიფო ISAF-ის მისიაში მონაწილეობას კითხვის ნიშნის ქვეშ არ აყენებს:

„რისკები შემცირდება მხოლოდ მაშინ, როდესაც თავისუფალი, დემოკრატიული სამყარო, გაიმარჯვებს ტერორიზმზე, ტერორისტებზე, მოძალაუფლებზე, ადამიანებზე, სწორედ იმიტომ მონაწილეობსაც არც საკუთარი სიცოცხლე ულირთ არაფრად... ჩვენ იმიტომ ვიმყოფებით ავღანეთში, სწორედ იმიტომ მონაწილეობს ამ პერაციაში დემოკრატიული სამყარო, რომ ტერორობმი და ის იდეოლოგია, რომელიც მას კვეთს, უნდა დამარცხდეს, სხვა შემთხვევაში რისკები იქნება გაცილებით დიდი... ჩვენ გვაქვს ორი არჩევანი, ან თავისუფალ მსოფლიოს-თან ერთად ვებრძოლოთ ტერორიზმს ან ალემოჩ-დებით თავად ჩართული დაჩირქეული ამ უბედურებაში ... ეს არც რუსეთთან ურთიერთობაში დაგვეხმარება. თუ ჩვენ ნატოსკენ სწრაფვაზე უარი ვთქვით, რუსეთი მოჰლ დანარჩენ ტერიტორიას მიითვისებს.“

ამ საკითხთან მიმართებაში კატეგორიულია პრემიერი ივანიშვილიც. „ჩვენი ჯარისკაცები საქართველოდან შორს, უცხო მონაზე, საკუთარი სიცოცხლის ფასად ჩვენს ქვეყანას, ჩვენს სამშობლოს იცავენ. ეს ბიჭები ჩვენი სახელმწიფოს სტაბილურობის, ჩვენი შეილების, ჩვენი მომავალი თაობების უსაფრთხოების სადარაჯოზე დგანან. მოუხედავად ამ თავზარდამცემი ტრაგედიისა, ჩვენ ვერაფერი გაგვტეხს, უკან ვერავინ დაგვახევინებს“, – ამბობს ბიძინა ივანიშვილი 7 ივნისს გავრცელებულ ვიდეომიმართვაში. **■**

წოებულის მარცვის სახელი

სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაპატიმრებული მაღალჩინოსნებისა და მეცნიერების საქმის განხილვა ახლოვდება. „ლიბერალის“ მიერ მოპოვებული საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ გამოძიების თავდაპირველი ვერსია შესაძლოა თავდაყირა დადგეს. მასალები საქმეში არსებულ უამრავ თეთრ ლაქაზე მიუთითებს

ზურაბ ვარდიაშვილი

2013 წლის 1 მაისს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოს, ანუ ყოფილი კულტიურული თანამშრომლებმა რვა პირი – შპს „მექანიზატორის“ გენერალური დირექტორი – ვაჟა ნახუცრიშვილი, მისი მოადგილები – მამუკა ივანიაძე და ბესიკ თეთვაძე; სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტექნიკოლოგიების სამსართველოს უფროსი – ომარ თედორაძე, ტექნიკურ მეცნიერებათ დოქტორები – ოთარ ქარჩავა, ზაზა მახარობლიძე, თეო ურუშაძე და გივი ქაიხოსროშვილი დაავაგეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით შპს „მექანიზატორის“ და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მაღალჩინოსნები „სახელმწიფო კუთხით განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხების გაფლანგვის, სამსახურებრივი გულგრილობისა და ექსპერტებზე ზენოლისთვის“ დააპატიმრეს. სასამართლომ შეიდ მათგანს ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. გირაოს სანაცვლოდ მხოლოდ აგრარული უნივერსიტეტის აგრონომიური ფაკულტეტის დეკანი თეო ურუშაძე გაათავისუფლეს.

ამ ფაქტის გამო, ორ მაისს სოფლის მეურნეობის მინისტრი თანამდებობიდან გადადგა. მან უფლებამოსილების შეჩერება გამოძიების დასრულებამდე ითხოვა.



ფარმაკივი გარემოებები

გასულ წელს „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტომ“ მთავრობის განკარგულებით, შეიმუშავა პროექტი, რომელსაც მცირემინიან ფერმერთათვის საგაზაფხულო სამუშაოებში დახმარება უნდა გაეწია.

საგენტო 2011 წლის 26 დეკემბერს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინის-



ტრომ დააფუძნა, თუმცა ყველა უფლებამო-
სილება სოლის მეურნეობის სამინისტროს
გადაეცა. მისი დირექტორია გიორგი ჩხეიძე,
გამგეობას კი პრემიერ-მინისტრი ხელმძღვა-
ნელობს. ეს სააგნეტო თავის მხრივ შპს „მე-
ქანიზატორის“ 100%-იანი წილის მფლობელია.
„შპს“ მცირე თუ მსხვილ ფერმერებს სასოფლო
სამეურნეო ტექნიკით ამარაგდებს.

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესაძენად სახელმწიფო ბიუჯეტიდან 50 მილიონ 41 ათასი ლარი გამოიყო. ამ თანხის განსაკარგად სოფლის მეურნეობის მინისტრის, დავით კირვალიძის 2012 წლის 7 დეკემბრის N2-232 ბრძანებით „სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ნომენკლატურისა და სფეციფიკის დამდგენი ჯგუფი“ შეიქმნა.

„მექანიზატურორმა“ ორმოცდა-
ათი 117 ცხენისძალის „zetor
proxima power 120“ – მარკის
და ასე 136 ცხენისძალის
„zetor fortora 140“-ის მარკის
ტრაქტორი შეიძინა

ჯგუფში რამდენიმე დაკავებულ პირთან ერთად შედიოდნენ – სოფლის-მეურნეობის განვითარების დაპარტამენტის უფროსი კონსტანტინე ხუცაიძე; (ხუცაიძე ჯგუფს ხელმძღვანელობდა) სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების მთავარი სპეციალისტი – ხვიჩა გოჭიშვილი; იურიდიული დეპარტამენტის სახელმწიფო და სასამართლო ორგანოებთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსის მოადგილე – გიორგი გაგუა; შპს მექანიზატორის აგროსერვისის სამსახურის უფროსი – ივანე ბოკუჩავა და შპს მექანიზატორის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის ინსტიტუტის დირექტორი – გიორგი მარდალეშვილი. სხდომებს მინისტრის მარდგილები – დავით შერვაშიძე, შალვა ფიფა და დავით გალეგაშვილი, ასევე სოფლის მეურნეობის ფონდის დირექტორი გიორგი ჩხეიძე რეგულარულად ესწრებოდნენ.

ჯგუფმა 2012 წლის 11, 12 და 13 დეკემბრის სხდომებზე ტექნიკის შეძენის კრიტერიუმები დადგინა. მისი რეკომენდაციით ორი სახის თვლიანი, სახნავი ტრაქტორები იყო საჭირო. ტრაქტორების ერთი ნაწილი – არანაკლებ 115, მეორე ნაწილი კი – არანაკლებ 130 ცხენის ძალის სიმძლავრის უზრდა ყოფილიყო.

ჯგუფის წევრთა გადაწყვეტილება რამდენიმე ნოუანსს ეფუძნებოდა. დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველო ნიადაგის ტიპებით ერთმანეთისგან განსხვავდება და ნაკვეთების დამუშავება სხვადასხვა სიმძლავრის ტექნიკას მოითხოვს. ჯგუფის წევრებმა, მათ შორის მეცნიერებმა, მიიჩინეს, რომ 115 ცხენისძალის ტრაქტორს მისი წევრით მახსასიათებლებიდან გამომდინარე ნიადაგის დამუშავება 3+1 ფრთიანი გუთნით შეუძლია, რაც საქართველოს მინის ნაკვეთების დაყოფის პრინციპზე ყველაზე მეტადაა მორგებული. 130 და მეტი ცხენისძალის ტრაქტორი კი უნივერსალური ტრაქტორების კლასს მიეკუთვნება და ყველა სახის სასოფლო სამეურნეო საქმიანობის შესრულება შეუძლია.

გადაწყვეტილებას მხარი ჯგუფის ყველა წევრმა დაუჭირა, ეს ფაქტი სპეციფიკაციების დამდგენი ჯგუფის სხდომის ოქმებით დასტურდება.

აღსანიშნავია, რომ ჯგუფი მხოლოდ შესა-

ძენი ტექნიკის სარეკომენდაციო პარამეტრებს განიხილავდა და ამა თუ იმ მარების ტრაქტორის თუ სხვა ტექნიკის შესყიდვასთან კავშირი არ ჰქონია.

პარამეტრების დადგენის შემდეგ, გასული წლის 25 დეკემბერს ტექნიკის შესყიდვის კომისია შეიქმნა, რომელმაც ორი თვის განმავლობაში თოთხმეტი სხდომა გამართა. კომისიის წევრები მოლაპარაკებებს არანაკლებ 115 და 130 ცხენის ძალის თვლიანი, და არანაკლებ 90 ცხენისძალიანი მუხლუხოიანი ტრაქტორის შესაძნად ანარმობებდნენ. ისინი ტექნიკის პოტენციურ მომწოდებლებთან ფასებს, მოწოდების ვადებსა და სხვადასხვა პირობებს განიხილავდნენ. მომწოდებლებს კომისია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის უკვე განსაზღვრულ კრიტერიუმებს უგზავნიდა, საპასუხო წინადადებებს დებულობდა და მათ მართებულობაზე მსჯელობდა.

კომისია მოლაპარაკებებს ტექნიკის უშუალო წარმოებლებთან მართავდა და მათ წარმომადგენლებსა თუ დილერებს გვერდს უვლიდა, ამით საშუალების ფასის მატებას გამორიცხავდა.

2013 წლის 14 იანვრის სხდომის ოქმში მითითებულია, რომ მოლაპარაკებების შედეგად თვლიანი ტრაქტორების ორი მომწოდებლი „zetor tractors“ და „claas global sales gmbh“ გამოიკვეთა. კომისიის წევრები მიიჩნევდნენ, რომ ამ კომისიების წარმომადგენლებმა სხვებთან შედარებით უკეთესი წინადადებები წამოიყენეს. მუხლუხოიანი ტრაქტორების შესყიდვის საკითხში უპირატესობა კომპანია CNH (new holland)-ის ტრაქტორებს მიენიჭა.

საბოლოოდ კომისიამ შემდეგი კომპანიების ტრაქტორების ყიდვა გადაწყვიტა:

1. claas – არანაკლებ 115 ცხენისძალის 110 ტრაქტორი, ერთი ერთეულის ფასი 39 850 ევრო, ჯამური ფასი 4 383 500 ევრო.

2. claas – არანაკლებ 130 ცხენისძალის 30 ტრაქტორი, ერთი ერთეულის ფასი 42 600 ევრო. ჯამური ფასი 1 278 000 ევრო.

3. zetor – არანაკლებ 115 ცხენისძალის 50 ტრაქტორი. ერთი ერთეულის ფასი 35 989 ევრო. ჯამური ფასი 1 799 450 ევრო.

4. ზეტორ – არანაკლებ 130 ცხენისძალის

100 ტრაქტორი. 1 ერთეულის ფასი 41 740 ლარი. ჯამური ფასი 4 174 000 ევრო.

5. CNH (new hollad) – არანაკლებ 90 ცხენისძალის 24 მუხლუხონანი ტრაქტორი, ერთი ერთეულის ფასი 40 400 ევრო, ჯამური ფასი 969 600 ევრო.

პრალდება კომპანია zetor-თან გაფორმებულ ხელშეკრულებას „უკავშირდება. „მექანიზატორმა“ ორმოცდათი 117 ცხენისძალის „zetor proxima power 120“ – მარკის და ას 136 ცხენისძალის „zetor fortera 140“ – ის მარკის ტრაქტორი შეიძინა. ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება 5 973 450 ლარი იყო.

Zetor-მა ქართულ მხარეს ტრაქტორები სამ ეტაპად მოაწოდა, და 2013 წლის 12 აპრილისთვის ხელშეკრულების პირობები მთლიანად შეასრულა.

პრალდება

დაკავებულებს პროკურატურამ პრალი სამ მაისს წაუყენა. ვაჟა ნახუცრიშვილს პრალი „სამსახურებრივი თანამდებობის გამოყენებით მართლზომიერ მფლობელობაში არსებული სხვისი ნივთის, დიდი ოდენობით გაფლანგვაში“, „მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის საქმეზე მტკიცებულების ფალსიფიკაციაში“ და „ექსპერტზე განხორციელებულ ზემოქმედებაში“ იდება. ივანიაძეს, თეთვაძეს, თედორაძეს, ქარჩავას და მახარობლიძეს გამოძიება გაფლანგვაში დასმარებას ედავება. ქაიხოსროშვილს მტკიცებულებების ფალსიფიკაცია და ექსპერტზე განხორციელებულ ზემოქმედებაში იდება, ექსპერტზე ზემოქმედებაში ადანაშაულებენ თეოურუმადას.

პრალდების თანახმად, დაკავებულთა ნაწილმა იცოდა, რომ მიწის დასამუშავებლად, 110 ცხენისძალის სიმძლავრის „new holland TD-110“ მარკის ტრაქტორებიც საქმარისი იქნებოდა, რომლის ფასი შექნილ ტრაქტორზე ნაკლები, 28 500 ევრო ღირდა. და მოუხედავად იმისა, რომ new holland-ისგან კომისიამ შეთავაზება არაერთხელ მიღება, „მათ უგულებელყვეს შეთავაზებული წინადადება და არამართლზომიერად მიღება გადაწყვეტილება შეეძინათ არანაკლებ 115 ცხენისძალის სიმძლავრის ტრაქტორები.“ პროკურატურის მონაცემებით

ამით სახელმწიფოს კუთვნილი 1 055 450 ლარი გაიფლანგა.

რაც შეეხება მტკიცებულებათა ფალსიფიკაციას: კომპანია Zetor-ის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული „zetor proxima 120“-ის ძრავის, „Z-145“-ის სიმძლავრე სპეციფიკურიცემბის დამდგრინი კომისიის განსაზღვრულ ოდენობას არ ემთხვეოდა და „სამართალდამცავი ორგანოების მიერ მტკიცებულებად იქნებოდა გამოყენებული“. პრალდების მხარის თქმით, ქაიხოსროშვილი და ნახუცრიშვილი 2013 წლის 20 აპრილს მობილური ტელეფონით ზეტორის წარმომადგენელს, ვინმე ვლადისლავს ესაუბრნენ და ვებ-გვერდზე ტრაქტორის სიმძლავრის შეცვლა მოსთხოვეს. „რაც განხორციელდა კიდეც.“

გამოძიებამ სამსარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში ტრაქტორ „new holland TD-110“-ის მონაცემების შესადარებლად ავტოტექნიკური ექსპერტიზა დანიშნა. პროკურატურა მიიჩნევს, რომ ექსპერტიზამ ტრაქტორების შესყიდვის დროს ფულის გაფლანგვის ფაქტი გამოკვეთა.

სწორედ ამ ექსპერტიზას უკავშირდება მესამე ბრალდება. პროკურატურის მტკიცებით, ქაიხოსროშვილი, ნახუცრიშვილი და ურმაძე სამსარაულში მიმდინარე შედარებაში მონაწილე ერთ-ერთ ექსპერტ, ელგუჯა შაფაქიძეს დაუკავშირდნენ და სთხოვეს, ნიუ პოლანდის ზეტორთან უპირატესობა არ დაეფიქსირებინა. გამოძიების აზრით, დაკავებულებმა ამით სისხლის სამართლის კოდექსი 372-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ჩაიდინეს – განახორციელეს ექსპერტზე ზემოქმედება.

თეთრი ძალები საქმეში

1. ადვოკატ სოსო ბარათაშვილის თქმით, პრალდების მხარის მიერ სასამართლოში წარდგნილი არც ერთი მტკიცებულებით არ დასტურდება, რომ სპეციფიკაციების დამდგრინი ჯგუფის წევრებმა იცოდნენ, თითქოს ნიუ პოლანდის 110 ცხენისძალიანი ტრაქტორი მიწის დასამუშავებლად საკმარისი იყო.

2. თავის მხრივ არ არსებობს არგუმენტები, რომლებიც პროკურატურის ამ დაშვებას დაადასტურებს. ამასთან თუ ზოგადად 110

■ სოსო ბარათაშვილი
მიიჩნევს, რომ დაკავებულებს აღმცვეთი ღონისძიება ყოველგვარი საფუძვლის გარეშე შეეფარდათ. ის „ლიბერალთა“ საუბრისას გამაურებული საქმების, მაგალითად გიგი უგულავას პრალდებას ისხენებს, სადაც ანალოგიური და უფრო მოტივირებული პრალდებით თბილისის მერი სასამართლო დარბაზიდან ყოველგვარი აღმცვეთი ღონისძიების, მათ შორის გირაოს გარეშეც კი გათავისულდა.

ცხენისძალიანი ტრაქტორი შეესაბამება მიწის დამუშავების მოთხოვნებს. გაუგებარია, რატომ აპელირებს პროკურატურა მხოლოდ ნიუპილანდის ტრაქტორებზე.

3. ბრალდების მხარის შეუძლებობაში არაფერია ნათეამი, თუ რა შეიძლებოდა ყოფილიყო ფულის გაფლანგის მოტივი. ეს კი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რადგან სახელმწიფოს ფულის გაფლანგა სარგებლის გარეშე დამაჯერებლობას მოკლებულია.

4. ბრალდების ის ნაწილი, რომელშიც გამოიხება მტკიცებულების ფალსიფიკაციაზე საუბრობს, რომლის მიხედვითაც, ვინმე ვლადისლავ ქაიხოსროშვილმა და ნახუცრიშვილმა საიტზე მონაცემები შეასწორებინეს, გულუბრყვილოდ გამოიყურება, ვინაიდან ერთია რანერია საიტზე, და მეორეა ჩამოყავანილი ტრაქტორი, რომლის სიმძლავრის შემოწმება რომელი არ არის.

5. ცალკე აღნიშვინის ლირსია არითმეტიკული გაუგებრობა, რაც პროკურატურის გათვლებში ერთი შეხედვითვე იკვეთება. ბრალდება და კავებულებს 1 055 450 ლარის გაფლანგვას ედავება. ფასთა შორის სხვაობა 117 ცხენისძალიანი „zetor proxima power 120“ და ოურქული ნარმოების „new holland TD-110“-ის მარკის ტრაქტორებს შორის 7489 ევროა. ვინაიდან ზეტორისგან 117 ცხენისძალიანი მხოლოდ 50 ტრაქტორია ნაყიდი, გაფლანგვის დადასტურების შემთხვევაშიც კი თანხის ოდენობა 7489 X 50 -ზე, ანუ 374 450-ზე მეტი არ შეიძლებოდა ყოფილიყო.

ადვოკატის აზრით, ასეთი შეცდომები გამოძიების ნაჩეარევად და არაობიერტურად წარმართვაზე მიუთითებს.

რაც შეეხება ექსპერტიზის დასკვნას: ექსპერტებმა შეაფაქიძემ და ბედიამ მთელი რიგი პარამეტრების შედარების შემდეგ დაადგინეს რომ „გამოსაკვლევად მოცემულ ორივე ტრაქტორს გააჩნია დაახლოებით ერთი და იგივე ტექნიკური მახასიათებლები, ერთი და იგივე დანიშნულება და დაახლოებით ერთნაირად შეძლებენ ტექნოლოგიური ოპერაციების შესრულებას“.

ადვოკატ ბარათაშვილის თქმით, ექსპერტებს გამომძიებლებმა ტრაქტორების არანორი მონაცემები მიაწოდეს. წონა, მაპრუნი მომენ-

ტი და კიდევ რამდენიმე პარამეტრი. ნიუპილანდის მონაცემები გაზიარდეს, ზეტორის კი – შეამცირეს.

თუმცა, მოუხედავად ამისა, ამავე დასკვნაში ვკითხულობთ: „არსებული თეორიული გამოკლევები ვერ იძლევა ერთი ტრაქტორის მეორის მიმართ უპირატესობის დამტკიცების საშუალებას. ამის დასადგენად საჭიროა საველე, საექსპლუატაციო გამოცდების ჩატარება. მით უმეტეს, რომ დამატებით მოძიებული მასალების მონაცემები არ ემთხვევა წარმოდგენილ პარამეტრებს (განსაკუთრებით ტრაქტორების მასების შემთხვევაში), რაც გავლენას მოახდენს ტრაქტორების წევით თვისებებზე და ბუქსაბაზე“.

ჩვენ ვნახეთ ვიდეოჩანაწერი, სადაც ექსპერტი შეაფაქიძე სამხარაულის ბიუროს წარმომადგენელს უჟინება, რომ მათ თავდაპირველად არასწორი მონაცემები მიაწოდეს, მათ შორის ტრაქტორების წონა და მათ მიერ პალასტის დამატების შესაძლებლობები. ამ საკმაოდ დაძაბულ დაალოგში იკვეთება, რომ გამოძიება ტრაქტორების მონაცემებს შეგნებულად აყალბებდა და ნიუპილანდის ზეტორზე უპირატესობის წარმოჩენას ცდილობდა. რითაც გამოძიება თანხის გაფლანგვის დადასტურებას გეგმავდა.

სოსო ბარათაშვილი მიჩნევს, რომ დაკვებულებს აღმკეთი ლონისძიება ყოველგვარი საფუძვლის გარეშე შეეფარდათ. ის „ლიბერალთან“ საუბრისას გახმაურებული საქმეებს, მაგალითად გიგი უგულავას ბრალდებას იხსენებს, სადაც ანალოგიური და უფრო მოტივირებული ბრალდებებით თბილისის მერი სასამართლო დარბაზიდან ყოველგვარი აღმკეთი ლონისძიების, მათ შორის გირაოს გარეშეც კი გათავისუფლდა.

აღვეთის ლონისძიების შეფარდების ერთ-ერთი საფუძველი ისაა, თუ რამდენად შეუძლია გათავისუფლებულ ბრალდებულს მოწმებზე ზემოქმედება. „როგორ შეიძლება ამ ადამიანების და გიგი უგულავას გავლენების შედარება?“ – კითხვას სვამს ადვოკატი.

„მრჩება შთაბეჭდილება, რომ არსებობს ორი სხვადასხვა სასამართლო, ერთი – რაღაც კატეგორიის ადამიანებისთვის, სადაც მაღალ სტანდარტებს იცავენ, და მეორე – სადაც ზუსტად იგივე ვითარებაა, როგორიც 2012 წლის 1

ოქტომბრამდე, არჩევნებამდე არსებობდა". – ასკვინის ბარათაშვილი.

დაკავებულები გლდანის საპყრობილები საიას ოურისტმა ნათა კაციტაქემ მოინახულა. ოურისტის თქმით, პატიმრებმა მას განუცხადეს, რომ პროკურორი და გამომძიებლები მათზე ფინქლოგოურ ზენოლას ახორციელებდნენ და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ. დაკითხვა იწყებოდა საღამობით და ზოგჯერ 8 საათის განმავლობაშიც კი გრძელდებოდა. პატიმრების განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ მათ მოდულის შენობაში დიდი ხნის განმავლობაში უწევდათ ყოფნა, უშუალოდ დაკითხვის პროცესი მხოლოდ საათი ან საათნაცვარი გრძელდებოდა.

დაკავებულებმა საქმეში მონაწილე პროკურორ შოთა რიჟამაძის მხრიდან ზენოლაზე სასამართლოს წინაშეც განაცხადეს და მისი საქმიდან აცილებაც მოითხოვეს, რაც მოსამართლემ არ დაკმაყოფილა.

პოლიტიკური კვალი

რამდენადც მოტივის გარეშე თანხის გაფლანგვა დამაჯერებლობასაა მოკლებული, იმდენადვე გულუბრყვილობაა იმაზე ფიქრი, რომ თუ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მაღალინობების და მეცნიერების საქმე „იკერება“, ამაში პოლიტიკური ინტერესები ჩართული არ იყოს.

სისხლის სამართლის ამ კონკრეტულმა საქმემ პოლიტიკური ელფერი თავიდანვე შეიძინა. მინისტრმა დავთ კირვალიძემ თანამდებობა დატოვა და განცხადა, რომ გამოიძიების შედეგებს დაელოდება. საქმეს გამოეხმაურა პრემიერ-მინისტრი, რომლის თქმითაც, მინისტრის თანამდებობაზე დაბრუნების საკითხი გამოიძიების შედეგებზეა დამოკიდებული.

კირვალიძე სოფლის მეურნეობის მინისტრის თანამდებობას ჯერ კიდევ 2003 წლიდან 2004 წლის თებერვლამდე იკავებდა. 2008 წლს კირვალიძე წინ ბურჯვანაძის მიერ დაფუძნებული დემოკრატიული განვითარების ფონდის 19-კაციან მრჩეველთა საბჭოს წევრი იყო. რამდენიმე წლის წინ კირვალიძეს პუმანიტარული ტვირთების არამიზნობრივ გადანანილებაში დასდეს ბრალი და 250 ათასი ლარის გადახდა დააკისრეს. ყოფილი მინისტრის საცხოვრებელ

ბინაში ჩერეკა ჩაატარეს, თუმცა სამართალდამცავებმა რაიმე დოკუმენტს ვერ მიაკვლიეს.

როგორც ჩანს, ის კოლეგების ნდობას იმსახურებდა. მის სიმართლეში ეჭვი არ ეპარება იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანს, საგარეო საქმეთა მინისტრ მაას ფანჯიკიძეს, განათლების მინისტრ გორგი მარგველაშვილს...

როგორც „ლიბერალს“ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა კონფიდენციალურად განუცხადა, მინისტრის გადადგმის შემდეგ სამინისტროზე ზეგავლენის მოხდენის პერმანენტული მცდელობები მიმდინარეობს. რაც საბოლოოდ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტის ბიზნესის კონტროლს უკავშირდება. „ლიბერალის“ წყარო ერთ-ერთ დაინტერესებულ მხარედ პრემიერ-მინისტრის მრჩეველ გა ხეხაშვილს, მთავარი პროკურორის მოადგილე ლაშა ნაცვლიშვილს და შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილ მოადგილს გელა ხევდელიძეს ასახელებს.

თავად ხეხაშვილი „ლიბერალთან“ საუბრისას ამ დაინტერესებას გამორიცხავს და აბსურდს უწოდებს.

სანტერესოა, რომ გარკვეული, მათ შორის კვერცხის ბიზნესის ლობირებაში ხეხაშვილს, ნაცვლიშვილს და ხევდელიძეს ბრალი უურნალისტმა გიორგი ფარესიშვილმაც დასდო, რასაც მისი პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოს გავრცელება მოჰყვა. გამოძიების კვალიშს მინისტრის მოადგილე გელა ხევდელიძემდე მივიდა. აღსანიშნავია, რომ ვიდეოს გავრცელების ფაქტს ლაშა ნაცვლიშვილი, ანუ უურნალისტის მიერ მისი დისკრედიტირების მცდელობაში ხევდელიძესთან ერთად დადანაშაულებული პირი, იძიებდა. ხევდელიძე სასამართლო გირაოთი ისე გაათავისუფლა, რომ ბრალდებული პროცესზე არც კი გამოცხადებულა. აღსანიშნავია, რომ სევდელიძეს, ისევე როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელთა და მეცნიერთა აღმევეთი ლონისძიების საკითხზე გადაწყვეტილება, ერთმა და იმავე მოსამართლემ, ზვიად ესებუამ გამოიტანა

დაკავებულთა საქმის წინასასამართლო სხდომა 21 იქნისაა ჩანიშნული. როგორც ჩანს, ამ პროცესს საზოგადოებსა და მედიის ყურადღება არ მოაკლდება. ■

■ „მრჩება შთაბეჭდილება, რომ არსებობს ორი სხვადასხვა სასამართლო, ერთი – რაღაც კატეგორიის ადამიანებისთვის, სადაც მაღალ სტანდარტებს იცავს, და მეორე – სადაც ზუსტად იგვე კოთარებაა, როგორიც 2012 წლის 1 იქტიმბრამდე, არჩევნება-მდე არსებობდა“. – ასკვინის ბარათაშვილი.

"პოლიტიკური ეავთაცხელათაში" ესმი

გიორგი ჭეიშვილი

გორის რაიონის სოფელი დიცი გასულ კვირას მთელი ქვეყნის ყურადღების იქცა. ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის მოსაზღვრე სოფელში რუსმა სამხედროებმა მათვულხლართების გასავლებად საჭირო სამუშაოების ჩატარება დაიწყეს. ქართული მხარის მიერ რუსეთის ფედერაციის სოფელი საპროტესტო ნოტის გაგზავნისა და ინციდენტზე საერთაშორისო გამოხმაურების შემდეგ ე.წ. ადმინისტრაციული საზღვრის გავლების პროცესი რამდენიმე დღეა რაც შეჩერებულია.



„უცბად გადაიღე ფოტოები და უკან გავბრუნდეთ, დღეს რაღაც გააქტიურებულები არიან“, – გვეუბნება ქართველი გუშაგი და მწვანე აბრიდან ასიოდ მეტრში გვაჩერებს, გვიხსნის რომ ე.წ. ადმინისტრაციულ საზღვართან მეტად მიახლოება მხოლოდ ჩვენთვის კი არა, მათთვისაც სახიფათოა.

ქარელის რაიონის სოფელ დვანის მსგავსად, გორის რაიონის სოფელ დიცსა და ოკუპირებული ტერიტორიის გამყოფ ე.წ. ადმინისტრაციულ საზღვართან ჩაბეჭონებულ მწვანე ბანერზე სავარაუდოდ – „Республикае Хуссар Ирыстон“, „Республика Южная Осетия“ – ნერია, შეუიარაღებელი თვალით ნარწერის გარჩევა შორი მანძილიდან შეუძლებელია.

„ძალებით პატრულირებენ რუსები, ამ პერიმეტრზე 10 საგუშაგო აქვთ, თუმცა მავთულხლართები აქ ჯერ არ გაუბამთ. ბოძების ჩასმა სადაც დაიწყეს იქ ვერ მივალთ, სახიფათოა“, – გვეუბნება მეგზური და გვთხოვს, უკან დავბრუნდეთ.

ე.წ. ადმინისტრაციული საზღვრიდან რამდენიმე ასეული მეტრის მოშორებით, საფიხვნოში დიცელები არიან შეკრებილნი. ამბობენ, რომ ბოლოდროინდელ მოვლენებზე საუბარი აღარ სურთ, რადგან აქამდე მათი პრობლემებით არავინ ინტერესდებოდა.

„სანამ რამე არ მოხდება, მანამდე რატომ არავინ მოდის? ხალხი შიმშილით იხოცება აქ. ახლა რუსები რომ გააქტიურდნენ, მაშინ გავახსენდით. რა უნდა ვქნათ? ან რას ფიქრობენ, როგორ გონიათ, გავალთ და რუსებს შევებრძოლებით მავთულხლართებს ნუ აგებთ-თქო?“, „საზღვირსპირას ნაკვეთი გვაქვს, ჩემი შვილი ავიდა გუშინ გვიან და იმ ტერიტორიაზე 25-მდე რუსი სამხედრო დახვდა“, „ნელის სათავეები იქით არის, თუ წყალი არ გვექნა ვერაფერსაც ვერ მოვიყვანთ, მერე კიდევ, რამდენიც იქით გადავიდა, იმდენი დაიჭირეს. პატრონი არ ჰყავს ამ სოფელს, პატრონი!“, – ამბობენ ადგილობრივები.

„მე არ ავსულვარ საზღვრამდე, მაგრამ ამშობენ, 300 მეტრითაა გადმოწეული. ჩვენი სარწყავი მილი იქით მხარეს აღმოჩნდა და შეიძლება ნაკვეთების მორწყვის საშუალება არ მოგვცენ. სოფლის ბალები, სათავსოები და ეზოებიც მოხვდა იქით, საქონელი თუ გადავიდა, მის დაბრუნებაზე ზედმეტა საუბარი. ერთი ნაბიჯის გადადგმის საშუალება აღარ გვაქვს, ხალხი განიცდის ამ ყველა-ფერს“. .

■ „მე არ ავსულვარ საზღვრამდე, მაგრამ ამშობენ, 300 მეტრითაა გადმოწეული. ჩვენი სარწყავი მილი იქით მხარეს აღმოჩნდა და შეიძლება ნაკვეთების მორწყვის საშუალება არ მოგვცენ. სოფლის ბალები, სათავსოები და ეზოებიც მოხვდა იქით, საქონელი თუ გადავიდა, მის დაბრუნებაზე ზედმეტა საუბარი. ერთი ნაბიჯის გადადგმის საშუალება აღარ გვაქვს, ხალხი განიცდის ამ ყველა-ფერს“. .

ჩვენი სარწყავი მიღი იქით მხარეს აღმოჩნდა და და შეიძლება ნაკვეთების მორწყვის საშუალება არ მოგვცენ. სოფლის ბალები, სათავსოები და ეზოებიც მოხვდა იქით, საქონელი თუ გადავიდა, მის დაბრუნებაზე ზედმეტია საუბარი. ერთი ნაბიჯის გადადგმის საშუალება აღარ გვაქვს, ხალხი განიცდის ამ ყველაფერს“, – წეს ნოდარ ჯარიმელაშვილი.

დიცის მკვიდრის, თამაზ გულისაშვილის თქმით, რამდენიმე დღეა, რაც რუსმა სამხედროებმა ორი კვირის წინ დაწყებული სამუშაოები შეაჩერეს – „სადაც ვიცოდით რომ საზღვარი გადიოდა, იმის აქეთა ახლა გადმოწეული. აქამდე წყალი სადაც იყო იქ გადავიოდით, ახლა უკვე გვეკრძალება. ჩვენებური ბიჭიც მაგიტომ დაიჭირეს, როსტომ სოსიაშვილი ბალში წლის გადასაგდებად იყო ასული და იქ დააკავეს. 3-4 სახლიც მოხვდა საზღვრის იქით, კაცმა არ იცის, როდის რა მოუვლით რუსებს თავში, მაგათან ყველაფერია მოსალოდნელი.“

სამუშაოების შეჩერებაზე სოფლის ერთ-ერთი მცხოვრები ტელეკომპანია „თრიალეთთან“ საუბრობს. ილია ბერუაშვილის თქმით, რუს ოფიცერთან საუბრისას შეიტყო, რომ სასაფლაოსა და სოფლის მიმართულებით სამუშაოები ბრძანების მიღებამდე შეჩერებულია.

დიცის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული, ზაქარია ვატიტაძე ამბობს, რომ მავთულხლართების გასაპელად საჭირო სამუშაოები ორი კვირის წინ დაიწყო, თუმცა მას შემდეგ, რაც ეს ამბავი გახმაურდა და მომხდარს საერთაშორისო ორგანიზაციებიც გამოეხმაურნენ, პროცესი შეჩერდა.

„ამ პროცესის გაგრძელების შემთხვევაში სასაფლაოც იქით მხარეს მოყვებოდა. ეს ამბები რომ ატყდა, რუსებმა მუშაობა დასავლეთის მიმართულებით განაგრძეს – ერედის გზის მეორე მხარეს რასაც ეძახიან იქ საზღვრავენ ოკუპირებულ ტერიტორიას. ბოძების ჩარჭობამდე ამ ადგილიდან სამასი მეტრის მოშორებით სათვალთვალო კამერები დააყენეს და

აფიქსირებენ რა ხდება პერიმეტრზე, შეიძლება ამიტომაც ფიქრობს მოსახლეობა, რომ ე.ნ. საზღვრები გადმოწეულია. რუკა გვაქვსო ამბობენ და იმის მიხედვით საზღვრავენ ტეტრიტორიას“, – ყვება ზაქარია ვატიტაძე.

27 მაისს სოფელ დიცში ე.ნ. ადმინისტრაციულ საზღვართან რუსი სამხედროების მიერ დაწყებულ სამუშაოებს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გამოეხმაურა. მაია ფანჯიკიძის თქმით, საზღვრის თვითნებურად გადაწევა საერთაშორისო ნორმების დარღვევაა, რუსეთის ფედერაციას კი საპროტესტო ნოტა გადაეგზავნება – „ეს იქნება ჩვენი საუბრის თემა, როდესაც ამ კვირაში შევხვდები საქართველოში აკრედიტირებულ დიპლომატიურ კორპუსს. ეს ასევე იქნება უცნევის მოლაპარაკებების თემა. ჩვენ მოვითხოვთ ამ ფატამდე არსებული მდგომარეობის აღდგენას“.

ამ თემაზე კომენტარი საქართველოს პრემიერ-მინისტრმაც გააკეთა – „მთავრობის სხდომაზე ისიც კი განვიხილეთ, რომ ვითხოვთ მონიტორების გაზრდას, არ გამოვიცხავთ პოლიციელების რაოდენობის გაზრდასაც, თუ ეს არ გამოიწვევს საერთაშორისოების უკმაყოფილებას. მათთან შეთანხმებით და მოთმინებით მგონი ყველაფერს დავალაგებთ. რაც მთავარია, ვეხმარებით მათ, ვინც დაზარალდა, მაქსიმალურად დავუდგებით გვერდით, ვისაც შეეზღუდა ეს უფლებები, მაგრამ არ შეიძლება ემოციურად და აგრესიულად. ჩვენ ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას გავაცანით სიტუაცია, ყველა ჩავაყენეთ საქმის კურსში, ყველანაირი ტიპის განცხადება გავაკეთოთ. მონიტორების გაზრდას შევძლებთ, შეიძლება პოლიციაც დაგამატოთ და გავმაგროთ ადგილობრივი მოსახლეობა... პოლიტიკურად ამაზე მეტი დღეს საჭირო არაა, დაველოდოთ მოვლენებს, ვნახოთ საიდან მოდის და რადონებება ეს გადაწყვეტილება მიღებული“.

ინფორმაცია სოფელ დიცში მახლობლად ღობებების ჩადგმის მიუღებლობის შესახებ ევროკავშირის სადამკვირვებლო

მისია ოფიციალურ ვებ-გვერდზეც გამოქვეყნდა.

ე.წ. ადმინისტრაციულ საზღვარზე შექმნილ დაძაბულ ვითარებას რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინიც გამოხმაურა და აღნიშნა, რომ ყველაფერი, რასაც სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე დისლოცირებული რუსი მესაზღვრები აკეთებენ, ქვეყნის ხელისუფლების პირდაპირი მითითებით ხდება, რადგან ისინი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ორმხრივი სახელმწიფო შეთანხმების თანახმად იმყოფებიან.

ამავე საკითხზე ისაუბრა დე-ფაქტო სამხრეთ ოსეთის უშიშროების სამსახურის საზღვრის დაცვის განყოფილების უფროსმა სერგეი კოლბინმა, მისი თქმით – „რუსულმა მხარემ მიიღო უფლებამოსილება სახელმწიფო საზღვრის დასაცავად და ამ უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში სამხრეთ ოსეთის საზღვრის დაცვის კუთხით საჭირო კომპლექსურ ღონისძიებებს ატარებს. ამ ჩამონათვალში შედის საინიცირო ხასიათის თავდაცვითი ღონისძიებებიც, რაც თავდაცვითი ხასიათის შენობების აშენებას თავისთავად გულისხმობს, სიმართლეს არ შეესაბამება ფაქტი, რომ ეს ნაგებობები სამხერთ ოსეთის საზღვრებს სცდება“.

დიცას და დვანში რუსი სამხედროების მიერ დაწყებული სამუშაოებისა და ე.წ. ადმინისტრაციული საზღვრის გადაკვეთის ბრალდებით ადამიანების დაკავების საკითხებზე 31 მაისს ერგნეთში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების ჯაფუტის სამუშაო შეხვედრაზე იმსჯელეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილის, კახა ქემოკლიძეს თქმით, რეგიონში არსებულ პრობლემებზე ქართულმა მხარემ დეტალური ინფორმაცია წარადგინა, თუმცა ვერც რუსეთის ფედერაციის და ვერც დე-ფაქტო ცხინვალის წარმომადგენლების მხრიდან აღნიშნული პროცესების გამამართლებელი ვერც ერთი ლეგიტიმური არგუმენტი ვერ მოისმინა.

შეხვედრაზე განხილული საკითხების შესახებ ოსური დელეგაციის ხელმძღვანელმაც ისაუბრა – „საუბარი იყო იმის შესახებ, რომ დაკავებების რიცხვები იმატა, თუმცა ჩვენ ალვნიშნეთ, რომ ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ქართული მხრიდან არაინფორმირებულობა იყო. მინდა გითხვათ, რომ ქართული მხარის მიერ გადაჭარბებულია ბრალდება, თითქოს სახელმწიფო საზღვარმა 300 მეტრით გადმოიწია. ეს თემა დღევანდელ შეხვედრაზე საერთოდ არ წამოჭრილა“, – განაცხადა ხოს გაგლოვემა.

კონფლიქტის ზონაში მიმდინარე პროცესები განიხილა უურნალ „ლიბერალის-თვის“ მიცემულ ინტერვიუში რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა. მისი განცხადებით, რუსეთი მის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიას ითვისტებს – აფიქსირებს, აზუსტებს იმ ტერიტორიას, რომელსაც თვითონ თავისად, ქართული მხარე კი – ოკუპირებულად თვლის.

„განსაკუთრებულ ვნებათაღელვებს მხოლოდ პოლიტიკური საფუძველი გააჩნია. რეალურად ეს იმის გაგრძელებაა, რაც 2008 წლის აგვისტოში დაიწყო. რუსებს უნდათ ქართველები ჩაითრიონ დისკუსიაში, სად გადის ეს არარსებული საზღვარი. საიდან გადმოვიდნენ 300 მეტრით? რა არის ის, საიდანაც 300 მეტრით გადმოვიდნენ? ანუ შენ უკვე შენს ცნობიერებამი რაღაც ხაზი გაავლე, ამას აღიარებ და ამბობ, რა საშინელებაა, რომ 300 მეტრით გადმოვიდნენ? რუსებს სწორედ ის უნდათ, რაზეც “ნაციონალური მოძრაობა” საუბრობს. რუსებს უნდათ, რომ ჩაგვითრიონ. ამიტომა მათი ქცევა საკმაოდ უტიფარი და თავხედური, რათა საზოგადოებრივი მღელვარება გამოიწვიონ და ვიდაცამ გვითხრას, ბოლოს და ბოლოს რაღაც გააკეთოთ, რამე მოიმქმედეთო“, – განაცხადა პაატა ზაქარეიშვილმა.

რუსეთის მხრიდან საუბრის ორმხრივ ფორმულში გადაკვანასა და ამ საკითხთან დაკავშირებულ საფრთხეებზე საუბრობს პოლიტოლოგი კორნელი კაკაჩია. მისი თქმით,

■ რუსეთის მხრიდან საუბრის ორმხრივ ფორმულში გადაკვანასა და ამ საკითხთან დაკავშირებულ საფრთხეებზე საუბრობს პოლიტოლოგი კორნელი კაკაჩია. მისი თქმით, როგორც კი რუსეთის მთავრობა დარწმუნდა, რომ საქართველო უარს არ ამბობს დასავლეურ საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაზე, შეგახსენებს, რომ არც ისინი ცვლიან არაფერს და ამის შედეგია ე.წ. ადმინისტრაციული საზღვრზე განვითარებული მოვლენები.

■ „გარდა იმისა, რომ ეს ზანის მომტანია, ვერ გვედავ რა პოზიტიური შე-დევი შეძლება მოიტანოს, მით უმტკის, რომ რუსეთს ფაქტორუად მეტი მანევრის საშუალებას ვაძლევთ. უნდა გავაულეროთ მცავით შეფასება, რომ გვინდა და-ლოგი რუსეთთან, მაგრამ ამ პროცესში თამაშის წესებს ყველა უნდა სცეს პატივი. ასევე შეგვეძლო აბაშიძე-კარასინის შეხვედრის გადადება, არა დაილოგზე უარის თქმა, უბრალოდ გზავნილი, რომ მოძოთ ჯერ საერთაშორისო ფორმატში განვიხილოთ მომხდარი ინციდენტი და შემდევ გავა-გრძელოთ ეს შეხვედრება. აუცილებელია საერთაშო-რისო ზენოლის მობილიზ-ბა რუსეთზე. თუ ვიტვით, რომ ეს რაღაც პროვოკაცია იყო, ვერც სხვა გააკეთ-ბს ისეთ განცხადებას, რომ კრემლზე ზენოლა მოახდინოს. უფერტური იქნებოდა საერთაშორისო მრავალმხრივი ფორმატე-ბის საგანგებოდ მოწვევა. ეს ყველა ცენტრი საერთოველოს მხრიდან განგაშის ზარს გამოიწვევდა და უწევის მოლაპარაკებებისთვის ამ ზენოლის მაქსიმალურად აკმულირება იქნებოდა შესაძლებელი“.

თქმით, როგორც კი რუსეთის მთავრობა დარწმუნდა, რომ საქართველო უარს არ ამბობს დასავლურ საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაზე, შეგვასესნეს, რომ არც ისინი ცვლიან არაფერს და ამის შედეგია ე.წ. ადმინისტრაციული საზღვრზე განვითარებული მოვლენები.

„მათ სურთ, ქართულ-ოსური ურთიერთობები იმ სიბრტყეში გადაიყენონ, სადაც საუბარი არა ტერიტორიული მთლიანობისა აღდგენაზე, არამედ შედარებით უმნიშვნელო საკითხებზეა. აქ ორი დილემაა – ერთი, რომ ავყვეთ ამას, ეს არ შეიძლება და არც ის იქნება სწორი საერთოდ რომ არ გვქონდეს რეაქცია. სამწუხაროდ საქართველოს არავითარი ბერკეტი არ აქვს, რომ რეალობა შეცვალოს. აქ ძალის-მიერი პოზიციიდან საუბარი არ გამოდის. მოგვწონს თუ არ მოგვწონს ერთადერთი გამოსავალი ისევ საერთაშორისო თანამე-გობრობასთან აპელირება გვრჩება. ახლა-ხან რუსეთში რამდენიმე კონფერენციას დავესწარი, ვესაუბრე ე.წ. ექსპერტებს და მათი რიტორიკიდან მთლიანობაში რაც შევამჩნიე ისაა, რომ რუსეთი საქართველოს მიმართ ამ პოლიტიკას ისევე არ შეცვლის, როგორც საქართველო არ ცვლის თავის ევრო-ატლანტიკურ მიმართულებას“, – ამბობს კორნელი კაკაჩია.

მისივე თქმით, რუსეთ-საქართველოს პრობლემა საერთაშორისო პოლიტიკის ნაწილია და რუსეთთან ერთი ერთზე დარჩენით ეს კერძო პრობლემა გახდება, რაც ქართული მხარისათვის წამგებიანია – „ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ არსებობს უწევის მოლაპარაკებების ფორმატი. აქ სხვადასხვა საერთაშორისო ფაქტორია ჩართული და რუსეთს ამ ფორმატიდან გამოსვლას და საქართველოსთან მოლაპარაკებების ერთი ერთზე გადაყვანა სურს. ამას არ უნდა წამოეგოს ახალი ხელისუფლება. თუ ერთ ან მეორე მხარეს რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილებები, ან საოცარი გეოპოლიტიკური ტრანსფორმაცია არ მოხდა და ამან არ შეცვალა დინამიკა, არ მოხდა, ორი ქვეყნის ურთიერთობაში სერიოზული ცვლილებები ვერ წარმომიდგე-

ნია, რადგან ორი სახელმწიფოს ხედვა და ინტერესი ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდის“.

რუსეთის მოქმედებაში ხარისხობრივ სიახლეს ვერ ხედავს „საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, ელენე ხოჭარია. მისი თქმით, დიცის ინციდენტთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი იყო გრიგორი კარასინის პოლიტიკური განცხადება, რომელმაც მეტი აღნიშნა, რომ პროცესი კრე-მლისგან იყო მართული.

„ეს იყო მიზანმიმართული აქტი და რაც მთავარია ეს ახალი მთავრობის პირობებში ხდება. ახალმა მთავრობამ რუსეთთან პოლიტიკური დიალოგის დალაგება სცადა, ამას კი რუსეთის ასეთი ქმედება მოჰყვა საპასუხოდ. ერთი მხრივ, რუსეთის ქმედებები საქართველოს ახალ მთავრობასთან თამაშის ახალი წესების მოსინჯვას ემსახურება – ამონმებენ, რამდენი გაუვათ ამ მთავრობის პირობებში, როგორი იქნება საერთაშორისო საზოგადოების რეაქცია, როგორ იმოქმედებს ეს ყველა-ფერი უწევის პროცესზე, გაგრძელდება თუ არა რამეს ქართული მხარე რუსეთის პოზიციის შესაცვლელად და ა.შ. მეორე მხრივ, სავარაუდოა, რომ რუსეთის ეს ნაბიჯი საქართველოსთვის დასავლურ კურ-სზე უარის თქმის მცდელობაა.

ელენე ხოჭარია აღნიშნავს, რომ განცხადებების ფორმით საქართველოს მეტი შეფასება უნდა ჰქონდეს, რაც ბოლომდე არ ჩანს პრემიერისგან ჯერ კიდევ ისმის გზავნილები, რომ ამას კრემლი არ აკეთებს და ეს ადგილობრივი პროვოკაციაა – „გარდა იმისა, რომ ეს ზიანის მომტანია, ვერ ვხედავ რა პოზი-ტიური შედეგი შეიძლება მოიტანოს, მით უმტკის, რომ რუსეთს ფაქტიურად მეტი მანევრის საშუალებას ვაძლევთ. უნდა გავაუდეროთ მეტი შეფასება, რომ გვინდა დიალოგი რუსეთთან, მაგრამ ამ პროცესში თამაშის წესებს ყველამ უნდა სცეს პატივი. ასევე, შეგვეძლო აბაშიძე-კარასინის შეხვედრის გადადება, არა

დიალოგზე უარის თქმა, უბრალოდ გზა-
ვნილი, რომ მოდით ჯერ საერთაშორისო
ფორმატში განვიხილოთ მომხდარი ინცი-
დენტი და შემდეგ გავაგრძელოთ ეს შე-
ხვედრები. აუცილებელია საერთაშორისო
ზენოლის მობილიზება რუსეთზე. თუ ვი-
ტყვით, რომ ეს რაღაც პროვოკაცია იყო,
ვერც სხვა გააკეთებს ისეთ განცხადე-
ბას, რომ კრემლზე ზენოლა მოახდინოს.
ეფექტური იქნებოდა საერთაშორისო
მრავალმხრივი ფორმატების საგანგებოდ
მოწვევა. ეს ყველაფერი საქართველოს
მხრიდან განვაშის ზარს გამოიწვევდა და
ჟენევის მოლაპარაკებებისთვის ამ ზენო-
ლის მაქსიმალურად აკუმულირება იქნე-
ბოდა შესაძლებელი“.

ცხინვალის რეგიონის საოუპაციო ხა-
ზის გასწვრივ ბოლო პერიოდში განვითა-
რებულ მოვლენებზე 5 ივნისს პრალაში
გამართულ შეხვედრაზე საქართველოს
პრემიერ-მინისტრის სპეციალურმა წარ-

მომადგენელმა ზურაბ აბაშიძემ და რუსე-
თის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგი-
ლე გრეგორი კარასინმაც ისაუბრეს.

„ბატონ გრიგორი კარასინს დავუდას-
ტურე ქართული მხარის ლრმა შეშფოთება
ბოლო ხანს ცხინვალის რეგიონში ადმი-
ნისტრაციულ საზღვარზე განვითარებულ
მოვლენებთან დაკავშირებით, რაც მძიმე
პუმანიტარულ პრობლემებს უქმნის ად-
გილობრივ მოსახლეობას და უაღრესად
უარყოფითად აღიქმება საქართველოს
მთელი მოსახლეობის მიერ. ბატონმა კა-
რასინმა განაცხადა, რომ ვითარების შე-
სასწავლად ზომები იქნება მიღებული და
საკითხი საგნობრივად ჟენევის საერთაშო-
რისო კონსულტაციების მორიგ რაუნდზე
განიხილება“, – განაცხადა შეხვედრის შე-
მდეგ ზურაბ აბაშიძემ.

ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებე-
ბის მორიგი 24-ე რაუნდი 25-26 ივნისს
არის დაგეგმილი. **¶**

Radio Commersant

marketing@commersant.ge
+995 32 2505 955



ბიზნესის პერსონალური რალი

Commersant.ge

ჩემის ცვენა ჩასათბი

ვლადიმირ პუტინის მესამე საპრეზიდენტო ვადის პირველი წლის შეჯამებისას ცხადად ჩანს, რომ რეჟიმის ბუნება იცვლება. „მართული დემოკრატიის“ თორმეტწლიანი მმართველობის პერიოდი დასრულდა. ახალი სისტემა უფრო მკაცრია და დაუდნობელი, თუმცა ამასთანავე უფრო მოწყლვადი.

კადრი ლიკი



პუტინის ხელისუფლებას აქამდე ჰქონდა პოლიტიკური მხარდაჭერა სხვადასხვა ყაიდის ამომრჩევლისგან, ქვეყნის ამა თუ იმ სფეროს ელიტათა ღლიალობა, კონტროლი უხვ ეკონომიკურ რესურსებზე, ახლა კი პოლიტიკური მხარდაჭერაცა და რუსეთის ეკონომიკური ძლევამოსილებაც შეეცემილია, რაც პუტინს აიძულებს, საკუთარ პრიორიტეტებსა და ამა თუ იმ, ხშირად ურთიერთგამორიცხავ დასაყრდენს შორის გააკეთოს არჩევანი უნინდელივით ყველაფრის ერთად ქონა დღეს უკვე

შეუძლებელია, და არჩევანი, რომელსაც პუტინი გააკეთებს, მხოლოდ მისი რეჟიმის სიცოცხლისუნარიანობასა და ხანგრძლივობას კი არ განაპირობებს, არამედ მნიშვნელოვანი იმპლიკაციების შემცველიც იქნება პოსტპუტინისეული რუსეთის რაგვარობის გამოსაკვეთად.

პუტინის რუსეთში შექმნილი ახალი რეალობისადმი დღეს ევროპის საბჭოს ახალი პოლიტიკა აქვს მისასადაგებელი, მაგრამ ამაზე მეტადაც კი, რუსეთში მიმდინარე ცვლილებათა ბუნებისა თუ მასშტაბების გააზრება ესაჭირო-



ება, რათა რეჟიმის ცვლილებას ამ ქვეყანაში მომზადებული შეხვდეს.

დღეს ცხადად ჩანს, რომ ვლადიმირ პუტინის ხელახლა გაპრეზიდენტების პირველივე წელს ქვეყანა ფუნდამენტურ ცვლილებებს განიცდის. რუსული „მართული დემოკრატიის“ ხანა, რომლის დროსაც კრემლი პოლიტიკური სცენის მანიპულირებას „მართულთა“ თანხმობით ახერხებდა, 12 წელს გაგრძელდა და დასრულდა. ეს გადასვლა იმდენად მყაფიოდ იკვეთება, რომ უკვე შეიძლება ითქვას: რუ-

სეთში რეჟიმის ცვლა მიმდინარეობს. ახალი და უფრო მკაცრი სისტემა მრავალ შინაგან წინააღმდეგობას შეიცავს, რომელიც მისსავე სიმყარეს უთხრის ძირს. უახლოესი რამდენიმე წელინადი სწორედ ამ ნიშნით იქნება აღნიშნული.

„მართული დემოკრატია“, ზოგადად, რუსული პოლიტიკა განსაკუთრებული, ილუზორული, იმიტირებული სისტემა იყო, მისი ზედაპირული სიდიადე მაგიურ ხრიცხე იდგა: პოლიტიკური ლანდშაფტი, მასმედია, საჯარო დისკუსიები – ყველაფერი, რაც იდეოლოგის სფეროს განეკუთვნება, ზემოდან, კრემლის სპინით იმართებოდა და სცენასავით იდგმებოდა. ეს ვითარება შესაძლებელს ხდიდა, პოლიტიკური პარტიები უცბად შექმნილიყო და ასევე უცბად დაშლილიყო. მედია მძაფრ ცენზურას ემორჩილებოდა, რეალური დისკუსიები ხელოვნურით იყო ჩანაცვლებული, პირველი კი — აღკვეთილი. კუთილისინდისიერად მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების მარგინალიზაციისთვის რუსული სახელმწიფო საკუთარ „არასამთავრობო“ ორგანიზაციებს აარსებდა. ამ ვირტუალური სისტემის არსი კარგად მოიხელთა ალექსანდრ დუგინმა, რუსული ნაციონალიზმის იდეოლოგმა და პუტინის მხარდამჭერმა, რომელმაც თქვა: „ყველაფერი ძალიან ეფექტური იყო, მაგრამ, ამავე დროს, სრულიად მნიშვნელობაგამოცლილი. ამ გამოცლილობამ გიგანტური მასშტაბები შეიძინა და მუქარის შემცველი გახდა“.

ეს ანალოგია რომ განვავრცოთ, პუტინის სისტემა ერთგვარი პერატურული სისტემა იყო, რომელიც მართულ დემოკრატიას იმით „ამუშავებდა“, რომ მის „სოფთოვეარს“ და „ჰარდვეარს“ ერთმანეთთან აკავშირებდა. ამას პუტინის უზარმაზარი პოპულარობაც აადვილებდა, რომელიც, თავის მხრივ, თავს ხელოვნურად შექმნილი პარტიებით იმყარებდა. პუტინი იყენებდა ერთმანეთის მკაფიოდ გამომრიცხავ „მესიჯებს“ – მაგალითად, ლიბერალური ეკონომიკური რეფორმები საბჭოთა სიმბოლიზმის რესტავრაციის პარალელურად მიმდინარეობდა, რამაც მას საზოგადოების განსხვავებული ჯგუფების გაერთიანება მოახერხებინა, რომელთაც შემდგა პუტინის მხარდაჭერა იმ ფიგურებსა და ძალებზე გადაიტანეს, ვინც მათოვის მისალებ ხაზს უფრო მკაფიოდ ატარებდა.

■ ლიბერალური ეკონომიკური რეფორმები საბჭოთა სიმბოლიზმის რესტავრაციის პარალელურად მიმდინარეობდა, რამაც მას საზოგადოების განსხვავებული ჯგუფების გაერთიანება მოახერხებინა, რომელთაც შემდგა პუტინის მხარდაჭერა იმ ფიგურებსა და ძალებზე გადაიტანეს, ვინც მათოვის მისალებ ხაზს უფრო მკაფიოდ ატარებდა.

დაიტანეს, ვინც მათთვის მისაღებ ხაზს უფრო მქაფიოდ ატარებდა.

„მართულ დემოკრატიას“, როგორც სისტემას, წყვალი პუტინის პოპულარობის კლებისთან ვე შეუდგა. მისი ეროვნის მასტები 2011 წლის სექტემბრშივე გამოაშეარავდა - ეს ის პერიოდია, როცა პუტინის, როგორც საპრეზიდენტო კანდიდატის დაპრუნება დაანონსეს.

ძალზე მნიშვნელოვანია ის ცვლილება, რომელიც ვლადიმირ პუტინის მხარდამჭერთა შორის შეინიშნება: იმ ადამიანთა ოდენობის მძაფრი კლება, რომლებიც პუტინის ფიგურას მომავლის ოპტიმისტურ ხედას უკავშირებდნენ. იმათ მოტივაციას, ვინც მას მხარს ახლაც უჭერს, სანდო ალტერნატივის უქონლობა (რაც თავისთავად „მართულ დემოკრატიას“ პირობებში რუსულ პოლიტიკაში განვითარებული კრიზისის მოტანილია) განსაზღვრავს.

დროის მსვლელობასთან ერთად, თაობათა ცვლაც ხდება იმის მიზეზი, რომ ადამიანები მეტი და მეტი გაღინიშნებით ეკიდებიან იმ მომენტს, რომ პუტინის მმართველობა შეგნებულად იწვევს საბჭოთა ხანის მოგვარან პერიოდის ასოციაციებს. ახალგაზრდა რუსები კი, რომელთაც საბჭოთა წარსულთან უშუალო მოგონებები არ აკავშირებთ, პუტინის ამ მიზანმიმართულ ალუზიებს უბრალოდ ვერ აღიქვამენ.

პუტინი, რომელსაც ერთ დროს ყველა ძირითადი სოციალური ჯგუფის მხარდაჭერა ჰქონდა და რომლის რიტორიკაშიც ნებისმიერი რუსი ადამიანის მოთხოვნები ნაწილობრივ მაინც იყო ინკორპორირებული, ახლა სრულიად მქაფიოდ კარგავს ქალაქებში მცხოვრებ ინტელექტუალურ კლასს. როგორც წესი, ამ ჯგუფებში მომწიფებული უკმაყოფილება წარმოშობას-ხოლმე იმ მუხტს, რომელიც მოსახლეობას ქუჩის საპროტესტო გამოსვლებისკენ უბიძებებს. მათ საპირნონედ ახლა პუტინი საკუთარი ძალაუფლების მობილიზებას რუსეთის პროვინციულ უმრავლესობაში ცდილობს, მაგრამ ცხოვრებით არც ადამიანების ეს კატეგორიაა კმაყოფილი: მართალია, პოლიტიკური თავისუფლებების მოპოვება მათთვის ნაკლებად აქტუალურია, მაგრამ, სამაგიეროდ, სისტემის „ჩავარდნებს“ - კორუფციას, ძირითადი სერვისების უხარისხობასა და ხელ-

მიუწვდომლობას, ჯანდაცვისა და განათლების სისტემების ნაკლოვანებებს ისენი უფრო მძაფრად შეიგრძნობენ.

რაც შეეხება „სისტემურ ცდომილებებს“, სიტუაცია ეკონომიკურმა სირთულეებმა კიდევ უფრო დაამძიმა. ადრინდელი ეკონომიკური ზრდა, რომელმაც პუტინის მმართველობას ძირი გაუმაგრა, შენელებულია: 2012 წლის პირველ კვარტალში მისი ნიშნული 4,8% იყო, ნლის გასრულებისთვის კი 2,1%-მდე დაცა, ხოლო 2013 წლის პირველი კვარტლისთვის - 1,1%-მდე.

ათწლეულების განმავლობაში, რუსეთის ეკონომიკა ნავთობის ფასებზე იყო დამოკიდებული და პუტინის ნამდვილად გაუმართლა, როცა მისი ხელისუფლებაში მოსვლის ათწლეული ამ ფასების ზრდით აღინიშნა. ნავთობის ფასებზე ამგვარი დამოკიდებულების საფრთხე ცხადად 2009 წლის კრიზისის დროს გამოჩნდა, რომელსაც რუსეთი დიდწილად წინა ათა, სიუხვის წლის განმავლობაში დაგროვილი ფულადი რეზერვების წყალობით გადაურჩა. თუმცა ეკონომიკური ზრდის ახლანდელ შენელებას უფრო მეტად შიდა ფაქტორები განაპირობებს, ვიდრე საერთაშორისო ვითარება. რუსეთის ეკონომიკა სრული სიძლავრით მუშაობს: უმუშევრობა მართლაც არა დიდი, მაგრამ ქვეყნის შიდა მოთხოვნილებები და მომარაგება არადამაკამყოფილებებია. კორუფცია, რენაციონალიზაციისა და პოლიტიკური ჩარევის შიში, კაპიტალის გადნება ვითარების დამაძიმებელი ფაქტორებია. მიმდინარეობს არაეფექტურად მომუშავე სახელმწიფო კორპორაციებს მიერ უფრო ეფექტური ოლიგოგრეატული კომპანიების შესყიდვა, რომელიც, თავის მხრივ, მწყობრად მომუშავე საშუალო ბიზნესებს ყიდულობენ. „ასე ეკონომიკის სფეროს მართვა წარმოუდგენელია,“ - ამბობს ამასთან დაკავიშრებით პეტერისონის ინსტიტუტის ეკონომისტი ანდერს ოსლუნდი. რევოლუციური ცვლილებების გამო თხევადი ბუნებრივი გაზის სფეროს გაზპრომის პოზიციები პირველად შეირყა 2001 წლის შემდეგ. ამ ვითარების მომყოლი შედეგები რუსეთის ბიუჯეტზე ამ რამდენიმე წლის განმავლობაში აისახება, და სურათს დიდად ვერც ნავთობის ფასების ამჟამინდელი სტაბილურობა შეცვლის.

სწორედ ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდა შეიძლებოდა ყოფილიყოფ ის ფაქტორი, რომელსაც დაეყრდნობოდა პუტინის ერთგვარი კონტრაქტი საკუთარ მოსახლეობასთან – ცხოვრების მზარდი სტანდარტები პოლიტიკური ლოიალობის სანაცვლოდ – მაგრამ ამგვარი კონტრაქტი ორივე მხარისთვის რისკის შემცველია. ეჭვეჭვეშ ახლა მხოლოდ პუტინის უნარი კი არ დგას, შეძლებს თუ ვერა ის მოქალაქეებისთვის კეთილდღეობის ზრდის გარანტირებას – დღეს მოსახლეობის ერთი ნაწილიც სათუოდ ხდის ამგვარი კეთილდღეობის სიკეთებს. ამგვარ გარიგებაში კორუფციისა და ძირითადი სერვისების უკამარბაზე თვალის დახუჭვა დღეს ბევრს ზედმეტად მაღალ ფასად ეჩვენება.

მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური და ეკონომიკური მიზეზებით უკამაყოფილებას სულ უფრო და უფრო ნიუიერი ნიადაგი ექმნება, რესული ოპოზიცია ამ ფაქტორის გამოყენებას თავის სასარგებლობ სრულად ჯერ ვერ ახერხებს. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს. პირველი: მოსახლეობის უკამაყოფილება და ელექტრონური ციკლი ერთმანეთს არ ემთხვევა. პროტესტის მძლავრი ტალღა ქვეყანაში მხოლოდ 2011 წლის დეკემბერში, სახელმწიფო დუმის არჩევნების შემდეგ წამოიმართა, მაგრამ საპრეზიდენტო არჩევნებისთვის, რომელიც მომდევნო წლის მარტში უნდა გამართულიყო, ვერ მოესწრო საპროტესტო ძალების მობილიზება და ოპოზიციის ისეთი ერთიანი კანდიდატის წამოწევა, რომელსაც მოქალაქეებისთვის მძლავრი მესიჯი ექნებოდა გამზადებული.

მეორე: რესული ოპოზიცია დაქსაქსულია და წაიღიგოა, ამის გამო კი ერთიანი სტრატეგიის ჩამოყალიბებასა თუ კონფლატის დასახელებას ვერ ახერხებს. ახლანდელი ეგრეთ წოდებული არასისტემური ოპოზიცია, ნაციონალისტებიდან დაწყებული და სოციალისტებით დამთავრებული, სხვადასხვა პოლიტიკური და სოციალური სპექტრის წარმომადგენელთა წაზავს წარმომადგენს, ამიტომ საერთო „პირზორი“ სტრატეგიის განსასაზღვრად წაიდაგო არასაკმარისია, „ნეგატიური“ სტრატეგია კი მხოლოდ პუტინის ფიგურის საყოველთაო მიუღებლობას ეფუძნება. თითოეულ იდეოლოგიურ ბანაკს საკუთარი რადიკალები

და ზომიერი ფიგურები ჰყავს, და სანდახან სხვადასხვა ბანაკის რადიკალებს უფრო მეტი აქვთ ერთმანეთთან საერთო, ვიდრე საკუთარ, მაგრამ ზომიერ თანამოაზრებითან. ამ ძალებს შორის ცალკე დისკუსიის საკითხია, მთლიანადაა არსებული სისტემა დასანგრევი, თუ მხოლოდ ლიდერების შეცვლაც იქმარებს, ხოლო სისტემის ძირითადი ნიშან-თვისებები უნდა შენარჩუნდეს. ეს განხეთქილებები ქმნის იმ სიძნელებს, რომელთა გამო რუსულ ოპოზიციას მოსახლეობამდე საკუთარი მესიჯის მიტანა ვერ მოუხერხებია. ამ ეტაპზე ოპოზიციის ლიდერები საპროტესტო მოძრაობის შენარჩუნებას ახერხებენ, მაგრამ მოქმედების წარმმართველი ხაზი დღეს ოპოზიციას დაკარგული აქვს.

ამ ყველაფრის მიუხედავად, პუტინი საკუთარი ძალაუფლების განმტკიცებას მცდელობას არ აკლებს. „2011 წლის ბოლოს პუტინმა მართლაც შიში ჭამა“, – ამბობს ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი ვლადიმირ მილოვი, „მიტომ ახლა ცდილობს, მათზე, ვინც მაშინ შეაშინა: გამპროტესტებლებზე, დამოუკიდებელ არასამთავრობო ორგანიზაციებზე და მის-თვის არასაკმარისად სანდო ელიტებზე შერი იძიოს“. პუტინი ახლა 2000-იანების გამოცდილებას იხსენებს, როცა ხელისუფლებისადმი არაკეთილგანწყობილი ძალების განადგურება მიზანმიმართულად დაიწყო, რისთვისაც კანონიერს მიმსგავსებულ ხერხებს იყენებდა. პარალელები ბევრია: ხერხები, რომლებითაც მაშინ მოწინააღმდეგებებს არაკეთილგანწყობილ ბიზნეს-ელიტაში იშორებდა, ახლა სურს, პოლიტიკური ელიტის მიმართ გამოიყენოს, ან მას „თამაშის ახალი წესების“ გაზიარება აიძულოს.

თანდათანობით პუტინის ახალი რეზიმის კონტურები იყვეთება და ელიტებთან და ამომრჩევლებთან შეთამაშებული „მართული დემოკრატიის“ წაცვლად ახლა უფრო მკაცრი სისტემა იკვეთება, რომელიც თავის მომაგრებას მეტ-ნაკლებად იმპლიციტური მუქარის, შანტაჟისა და კონტროლის მეშვეობით ცდილობს.

რესუეტის ეს საშინაო გამოწვევები ევროპის საბჭოს დიდ თავსატებს უჩინს. როცა პუტინი ხელისუფლებაში პირველად მოვიდა, მისი საგარეო პოლიტიკა დასავლეთისადმი კეთილ-

■ რაც შეეხება „სისტემურ ცდომილებებს“, სიტუაცია ეკონომიკურმა სირთულეებმა კიდევ უფრო დამძიმება. ადრინდელი ეკონომიკური ზრდა, რომელმაც პუტინის მმართველობას ძირი გაუმარა, შენელებულია: 2012 წლის პირველ კვარტალში მისი ნიშნული 4,8% იყო, წლის გასრულებისთვის კი 2,1%-მდე დაეცა, ხოლო 2013 წლის პირველ კვარტლისთვის – 1,1%-მდე.

■ სწორედ ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდა
შეიძლებოდა ყოფილიყო
ის ფაქტორი, რომელსაც დაყურდნობოდა ჟუტინის ერთგვარი კონტრაქტი
საკუთარ მოსახლეობასთან – ცხოვრების მზარდი სტანდარტები პოლოტიკური ლოიალობის სანაცვლოდ – მაგრამ ამგვარი კონტრაქტი იორივე მხარისთვის რისკის შემცველია. ეჭვეჭვაშ ახლა მხოლოდ ჟუტინის უნარი კი არ დგას, შექლებს თუ ვერა ის მოქალაქეებისთვის კეთილდღეობის ზრდას გარანტირებას – დღეს მოსახლეობის ერთი ნაწილიც სათუოდ ხდის ამგვარი კეთილდღეობის სიკეთებს. ამგვარ გარიგებაში კორუუფისა და ძირითადი სერვისების უკანონობაზე მარობაზე თვალის დასუჭვას, რომელიც მისი პიროვნების შემოქრად აღიარებას და მოლდოვას ინტერესების დაცვას ვლადიმირ პუტინი მისი პრივილეგირებული ინტერესების სფეროში შემოქრად აღიარებას და მოლდოვას ამ მიდგომით კარგად ასასიათებს ამერიკელი ექსპერტი, რუსეთის მცოდნე რობერტ ნიურიკი: „პუტინმა კარგად უნდა გაიაზროს, რომ „დასავლეთისკენ სწრაფვა“ საგარეო პოლიტიკის პროექტი ვერ იქნება; ეს შინ გამოსაყენებელი პროექტია.“

რაც უნდა ძალიან კდილობდნენ დასავლელი ლიდერები რუსეთის ნაკლოვანებებზე თვალის დასუჭვას, დემოკრატიული პოლიტიკური ქეცევის ნორმების უგულებელყოფა მათ ურთიერთობაში მუდმივი დაძაბულობის მიზეზად რჩება. აშშ თეორიულად მაინც ახერხებს მოსკოვთან სტრატეგიულ კავშირებზე დაალოგის ნარმობას. ეკროპა უფრო მეტად ზარალობს ამგვარი „ხახუნის“ გამო, თუნდაც ეკროპის ნორმატიული კულტურის, რუსეთთან მისი სიახლოების და ურთიერთდამაკავეშებელი ძალების ნაირგვარობის გამო.

ეკროპის ქვეყნებში რუსეთი წლების განმავლობაში განსხვავებულად აღიმება. ზოგიერთი ქვეყანა მასთან უფრო მჭიდრო ურთიერთობის მომხრეა, ზოგი – ამ მხრივ მეტ თავშეკავებას ემხრობა, მაგრამ სხვაობა მხოლოდ მის მიმართ პოლიტიკის შემუშავებაში არ მდგომარეობს: ეკროპაში რუსეთის მიმდინარე პროცესებსაც განსხვავებული ანალიზი უკეთდება. დღეს, როგორც ეკროპის საბჭოს საგარეო პოლიტიკის საკითხებზე მომუშავე პროგრამის 2013 წლის შეფასებითმა დოკუმენტმა

ცხადყო, ევროპის საბჭომ რუსეთის მეტნილად საერთო ხედვა შემუშავა, თუმცა, როცა საქმე მისი შიდა პოლიტიკის შეფასებაზე მიდგება, აქ იდეების ნაკლებობა შეინიშნება.

ეკროპის საბჭოს ბევრი ხერხი არ აქვს, რომ შიდა პოლიტიკურ თავისუფლებებთან დაკავშირებული სიტუაციის გამოსასწორებლად მოსკოვზე ზენოლა მოახდინოს, მაგრამ გარკვეული შესაძლებლობები მაინც გააჩინია. ამას გარდა, ეკროპის საბჭოს ხელახლა აქვს გასააზრებელი, როგორ შეიძლება დაეხმაროს რუსეთის სამოქალაქო საზოგადოებას, რომელიც უცხოური გრანტებით ფინანსირების გამო წნევებამ მოქცეული. საჭიროა ფიქრი რუსული არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსების გაზრდაზეც. ამას გარდა, ეკროპის საბჭოს მუდმივად უნდა ეჭიროს თვალი იქითვენ, თუ როგორ იცვლება რუსეთის პოლიტიკური ლანდნაფუტი. ეკროპებმა დაპლომატიუმმა ხელი უნდა შეუწყონ იმ საბჭოურ პრაქტიკას, როცა არასისტემურ ოპოზიციას სახელისუფლებო სისტემის ზომიერი ან ლიბერალური ელემენტები, ასევე დამოუკიდებელი, მაგრამ სახელმიწფო სისტემის მიმართ ტოლერანტულად განმავლობილი ინტელიგენცია უერთდებოდა. პირები, რომლებიც ეკროპის პოლიტიკის ჩამოყალიბებაში განმასაზღვრელ როლს თამაშობენ, რუსულ საპროტესტო ძალებს უნდა დაუახლოვდნენ, და არა მხოლოდ მას, არამედ სისტემით უკავიყოილო ელიტების ნარმომადგენლებსაც.

ეკროპის საბჭომ პრიორიტეტად უნდა აირჩიოს რუსეთის მეზობელ სახელმწიფოებში დემოკრატიული განვითარების ხელისშეწყობა, განსაკუთრებით, აღმოსავლეთ პარტიის პიროვნების ქვეყნებში. რუსეთისათვის მოქმედებების შეზღუდვა შესაძლებელია მსოფლიო საგარეო ორგანიზაციის შეთანხმებების ძალით, ხოლო ბრიტანეთში იგი უნდა აიძულოს, იმ შეთანხმებებს მისდომის, რომლებზეც ხელი აქვს მონერილი. **■**

თარგმნა ქუთა ქანთარიამ
პირველად გამოქვეყნდა: http://ecfr.eu/page/-/ECFR81_PUTIN_MEMO_AW.pdf
იქეჭდება შემოკლებით.

0000 iOS-0ს030ს



ლიტერატურა - ახლა გავა მკვეთრებებს iPhone, iPad და iPod Touch-ზე

იპონის ყველაზე
მიმღებ ჰაბანები!
www.lit.ge

0000 iOS-0ს030ს სამართლებრივი მინისტრის მინისტრი 03006000 lit.ge-b 6056360 ფა პოლიტიკის 01336b iPhone, iPad და iPod Touch-ზე

ავტორების გადამზადება, მდგრადი მოწყვეტილების iTunes-ზე 80d36630 „IOTA READER”



ბალამნუვაში ბექოცა საჭარვალოსთვის

ზორად დევდარიანი



ფოტო გ. გორგაძე ჭარიანი

ქართველი ჯარისკაცები ავღანეთში

ხალხი, რომელიც ბრძოლისგან იღლება, გადაშენებისთვისაა განწირული.

მერძოლი ხალხის მიერ არჩეული ბრძენი ხალხით მართული სახელმწიფო – შემდგარი სახელმწიფოა.

ხშირად მიფიქრია, რამ გამოგვატარა ეს საუკუნეები: რამე მისია გვაქვს (ნატოს მისიაში არ აგერიოთ), წერილი გვაქვს ვინმესთვის გადასაცემად გამოტანებული, ზეციური წილზედრობის თემაა, თუ რა ხდება?

ალბათ, მაინც ბრძოლაა. ოღონდ არამარტო მტერ-თან ბრძოლა. ბრძოლა ყველასთან და ყველაფერთან. მათ შორის, – საკუთარ თავთან. ამიტომაცაა, რომ

თან გადავრჩით და თან – ისე რა. თან ვართ და თან ვერ ვართ.

ნეტავ, ისე კარგად ვიცნობდეთ საკუთარ თავს, როგორც მტრები გვიცნობენ. სასაცილოა ჩვენი მცდელობები – ამოვხსნათ რა სურთ, რა ზრახვები აქვთ ჩვენთან მიმართებით მაშინ, როდესაც ვერ გაგვირკვევია – ჩვენ რა გვინდა.

ირანი, თუ ოსმალეთი, ოსმალეთი თუ რუსეთი, „ჩრდილოეთი“ თუ „დასავლეთი“. დავსდევთ ამ საწყალ მზეს და ხან საიდან ამოგვყავს და ხან საით ჩაგვყავს.

ერთმანეთი არ გვიხოცია თუ არ ვხოცავთ ამ არჩევანში?

გადმოულახავთ კიდეც საზღვარი და არაერთხელ დაუცყრივართ! აგერ, საზღვარი 300 მეტრით გადმონიერს წინა კვირას. შაგრამ რამდენი ფეხსაცმელი გაგვიცვეთია „პატრონის“ ძებნაში? ტაქტიკურ სვლებს არ ვგულისხმობ ოლონდ, როცა ჩათრევას ჩაყოლა ჯობს. უფრო, იმ პოლიტიკურ სვლებს ვგულისხმობ, როცა ხალხი ფეხებზე გყიდია და საკუთარი კეთილდღეობისთვის, ერთი და იმავე საუკუნის ერთი და იმავე წლის ერთსა და იმავე დღეს ჯაუფებად იყოფილი, იყოფი და გარბოდი და გარბია „პატრონის“ საშორენლად.

გადამწყვეტი ბრძოლაა საქართველოსთვის!

და ეს ბრძოლა ცხინვალისა და სოხუმის საოკუპაციო საზღვრებთან არ არის. შეცდა ის, ვინც ამგვარად ჩათვალა. ეს ბრძოლა დღეს, 21 საუკუნეში, ყველგანაა გაჩადებული. საქართველოს გადასარჩენად საბრძოლველია ნიუ-იორკში, ათენში, სტამბულში, მოსკოვში, სტრასბურგში, უენევაში. ვარშავასა და ვილნიუსშიც.

გადამწყვეტი ბრძოლაა და ეს ბრძოლა არ დაწყებულა 2008 წელს – ერთი-ორი საუკუნით ადრე დაიწყო. საუკუნები გრძელდებოდა ბიზანტიის, მონღოლების, ირანისა და ოსმალეთის გავლენა საქართველოზე. ახლა რუსთავის ჯერია. ის თუ დაგამშვიდებს ადამიანს, რომ კაცობრიობა განვითარდა. ინტერნეტით რევოლუციები ხდება და 30-40 წლიანი ერთმართველები მარცხდებიან ხალხთან ბრძოლაში. გლობალიზაციამ, პროგრესმა, ლირებულებებმა შესაძლებელი გახადა ერთდროულად მცირე სახელმწიფოს დიდი მტერიც ყავდეს და დიდი მეგობარიც და როგორლაც აკავებდნენ ერთმანეთს.

ასე იყო 2008 წელსაც. დიდ მტერს – რუსეთს, დიდი მეგობარი დაუპირისპირდა – „დასავლეთის“ სახით. ამერიკის პრეზიდენტმა და სახელმწიფო მდივანმა ბრიფინგი

■ ასე იყო 2008 წელსაც. დიდ მტერს – რუსეთს, დიდი მეგობარი დაუპირისპირდა – „დასავლეთის“ სახით. ამერიკის პრეზიდენტმა და სახელმწიფო მდივანმა ბრიფინგი მოაწყვეს, სადაც გაცხადდა, რომ აშშ ჰუმანიტარულ ოპერაციას იწყებდა საქართველოში. სამხედრო სატვირთო თვითმფრინავები, სამხედრო ფლოტი. მერე ევროპაც გამოცოცხლდა (რომელიც 1921 წელს ვერ გა-მოცოცხლდა სათანადოდ) და საქართველო იმ მომენტისთვის გადარჩა, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივში, თითქოს გაიწირა 200-300 მეტრობით ოკუპაციისთვის. გაიწირა გლობალური პოლიტიკის ინტერესებისთვის. რა ვქნა, ასე მგონია, რომ გაიწირა, იმიტომ, რომ იმასაც ვხედავ, რომ ღირებულებებზე წინ დიდი ევროპული მოთამაშები ეკონომიკას აყნებენ.

ჩვენ კი გვეუბნებიან: ევროკავშირის და ნატოს წევრები გახდებითო. ერთი დღეც მოვა და გახდებითო.

მე რომ მყითხო, არ მგონია, რომ ნატოს წევრი კვეყნების ნაწილი დემოკრატიის სტანდარტით, თავდაცვის ინფრასტრუქტურით, მოსახლეობის 70%-იანი მხარდაჭერით, საუკუთარი წელილით ნატოს ეგიდით განხორციელებულ ოპერაციები, დასავლური კურსის ერთგულებით, საქართველოს აღემატებოდეს.

გამიჭირდება სხვა სახელმწიფოს დასახელება ჩვენს რეგიონში, რომელიც ნატოს წევრობას საქართველოზე მეტად იმსახურებდეს.

თუ ნატოზე რუსეთი რეალურად ვერ ახდენს გადამწყვეტ გავლენას გაფართოების გადამწყვეტილებისას, საქართველო იმსახურებს წევრობას და ეს ნატოს ინტერესებია და არა ქველმოქმედება საქართველოსთან მიმართებაში.

მაგრამ თუ დასავლეთი ჩვენ დემოკრატიისა და თავდაცვის ინფრასტრუქტურის დასავლეთ ევროპულ სტანდარტს გვინეს და არა სამხრეთ თუ აღმოსავლეთ ევროპულს, მაშინ არც სურს ჩვენი წევრობა და განცხადება – „საქართველო გახდება ნატოს წევრი“ – მითია.

თუ არ ვართ საერთაშორისო შეთქმულების (როგორ ვერ ვიტან ამ თეორიებს) მსხვერპლი და 1 ოქტომბრის არჩევებიც ამის ნაწილი არაა, მაშინ დასავლეთის მხრიდან ხუფრო ნათელ პერსპექტივას და თამამ მხარდაჭერას ვიმსახურებთ.

საქართველოსთვის ვიბრძოდით ერაყში და საქართველოსთვის ვიბრძოდით ავღანეთშიც.

მაგრამ გადამწყვეტი ბრძოლა თბილისშია! ასე რომ, დაღლა დაივიწყეთ! **■**

1921 წელს ვერ გამოცოცხლდა სათანადოდ და საქართველო იმ მომენტისთვის გადარჩა, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივში, თითქოს გაიწირა 200-300 მეტრობით ოკუპაციისთვის. გაიწირა გლობალური პოლიტიკის ინტერესებისთვის.

რა ვქნა, ასე მგონია, რომ გაიწირა, იმიტომ, რომ იმასაც ვხედავ, რომ ღირებულებებზე წინ დიდი ევროპული მოთამაშები ეკონომიკას აყნებენ.

ჩვენ კი გვეუბნებიან: ევროკავშირის და ნატოს წევრები გახდებითო. ერთი დღეც მოვა და გახდებითო.

მე რომ მყითხო, არ მგონია, რომ ნატოს წევრი კვეყნების ნაწილი დემოკრატიის სტანდარტით, თავდაცვის ინფრასტრუქტურით, მოსახლეობის 70%-იანი მხარდაჭერით, საუკუთარი წელილით ნატოს ეგიდით განხორციელებულ ოპერაციები, დასავლური კურსის ერთგულებით, საქართველოს აღემატებოდეს.

გამიჭირდება სხვა სახელმწიფოს დასახელება ჩვენს რეგიონში, რომელიც ნატოს წევრობას საქართველოზე მეტად იმსახურებდეს.

თუ ნატოზე რუსეთი რეალურად ვერ ახდენს გადამწყვეტ გავლენას გაფართოების გადამწყვეტილებისას, საქართველო იმსახურებს წევრობას და არა ქველმოქმედება საქართველოსთან მიმართებაში.

მაგრამ თუ დასავლეთი ჩვენ დემოკრატიისა და თავდაცვის ინფრასტრუქტურის დასავლეთ ევროპულ სტანდარტს გვინეს და არა სამხრეთ თუ აღმოსავლეთ ევროპულს, მაშინ არც სურს ჩვენი წევრობა და განცხადება – „საქართველო გახდება ნატოს წევრი“ – მითია.

თუ არ ვართ საერთაშორისო შეთქმულების (როგორ ვერ ვიტან ამ თეორიებს) მსხვერპლი და 1 ოქტომბრის არჩევებიც ამის ნაწილი არაა, მაშინ დასავლეთის მხრიდან ხუფრო ნათელ პერსპექტივას და თამამ მხარდაჭერას ვიმსახურებთ.

საქართველოსთვის ვიბრძოდით ერაყში და საქართველოსთვის ვიბრძოდით ავღანეთშიც.

მაგრამ გადამწყვეტი ბრძოლა თბილისშია! ასე რომ, დაღლა დაივიწყეთ! **■**

ციტატები



„ჩვენ სწორედ იმიტომ ვიმყოფებით ავღანეთში, რომ
ტერორიზმი და ის იდეოლოგია, რომელიც ტერორიზმს კვებავს,
დამარცხდეს“.

პარლამენტის თავმჯდომარე, დავით უსუფაშვილი.



„აქციები დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს, ჩვენ ვერ მივესალმებით
სისასტიკეს.“

რეჯეფ ტაიპ ერდოღანი – თურქეთის პრემიერ-მინისტრი.



„ტერორიზმი 21-ე საუკუნის უდიდესი გამოწვევაა, მასთან ბრძოლა
ურთულესი და ამავე დროს მეტად საპატიო მისიაა, რომელსაც
ქართველი სამხედროები ლირსეულად ასრულებენ. ეს ბიჭები
უცხო მიწაზე, ჩვენ სამშობლოს იცავენ, ჩვენი სახელმწიფოს
სტაბილურობის, ჩვენი უსაფრთხოების სადარაჯოზე დგანან.
ჩემი დავალებით, საქართველოს თავდაცვის მინისტრი უკვე
ავღანეთშია. ჩვენ გავაგრძელებთ ბრძოლას მშვიდობიანი
მსოფლიოსა და მშვიდობიანი საქართველოსთვის.“

საქართველოს პრემიერ მინისტრი ბიძინა ივანიშვილი.



„ამ თემაზე მიმდინარეობს სერიოზული დისკუსია, მათ
შორის, სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობით, და არის
ორმაგი აზრი – განადგურდეს ეს ჩანაწერები თუ გარკვეული
დროით შეინახოს, თუნდაც იმისთვის, რომ დავადგინოთ, ვინ
აწარმოებდა ამ ჩანაწერებს და რამდენად კანონიერი იყო. თუ
გვინდა, რომ მომავალში აღარ განმეორდეს მსგავსი ჩანაწერების
გაკეთება, პასუხი უნდა აგონ მათ, ვინც ამას აკეთებდა“.

სასჯელალსრულების მინისტრი, სოზარ სუბარი.



www.uchnobifm.ge



გვარი ეპინამ გაცი

www.tv9.ge